

# ივერია

1882

№ XI, ნოემბერი.



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1882

196

## შინაარსი:

I საწყალი ზიგა, ჰოქმა, ი. ბაქრაძისა . . . . .	5
II ისტორიული სურათები, (ქართული ქალი) (შემდეგი). მღ. დიმ. ჯანაშვილისა. . . . .	17
III ციხე შიგნიდამ გატეხილი, რომანი (შემდეგი). . . . .	43
IV მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიურედ შაქრისა . . . . .	68
V ქართული თეატრი . . . . .	88
VI შინაური მიმოხილვა. ბ-ნ მეისნერის პროექტი შესახებ ღვინის აღებ-მიცემობის, ღვინის კეთებისა და არაყის ხდისა ამიერ-კავკასიაში—განკარგელება ამის თაობაზედ მთავარ-მართებლისა—სამეურნო. საზოგადოება და მისი მოქმედება ამ პროექტის შესახებ—ცალკე კამპისია—აზრი წარმოთქმული კამპისიაში—ცალკე აზრი თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილისა—დასკვნა კამპისიისა—დასკვნა სამეურნო საზოგადოების საერთო კრებისა—ცალკე აზრი თ. ი. შალიკაშვილისა, ბ-ნთ იოსელიანისა და ელიოზოვისა—განხილვა ამ ცალკე აზრებისა და ბაასი მათ გამო სამეურნო საზოგადოების კრებაში.	97
VII მანცხადებანი. . . . .	116

# ივერია

საკულტივო და სალიტერატურო  
ჟურნალი.

---

წელიწადი მეექვსე.

№ XI.

---

თბილისი.  
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.  
1882



ՀՈՒՍԵՆ

ՄԱՍԻՍ-ԱՅԵՆԻՍ ԵՄ ԵՄՈՒՄՆԵՐ

ԵՄ ԵՄՈՒՄՆԵՐ

ԵՄ ԵՄՈՒՄՆԵՐ

**Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Ноября 1882 г.**

ԵՄ ԵՄՈՒՄՆԵՐ

ԵՄ ԵՄՈՒՄՆԵՐ

1882

## საწყალი გიზა.

(ამბავი ყმაწვილებისთვის).

### I

ერთს ტყის ჰიჩასსა,  
გორის ძიჩასსა,  
სოფელი აჩის გაშენებული,  
წინ უძევს ველი,  
დასათესელი  
და ვენახებით დამშვენებული.  
ანკა წყალი,  
ჩქარ მოჩვენალი,  
ვენახებთ შორის მიმოჩქრიალებს;  
ცქვიტი მერცხალი,  
ფრენაში ძალი,  
მის ტალღებს ფრთას სტემს და დასტრიალებს.  
მტრეთა ღულუნი,  
გვრიტთა კრუტუნი,  
ისმის ძალის ხეებიდამა;  
მწყრისა ძახილი,  
გულ-ამოსკვნილი,  
მოდის აქა-იქ ყანებიდამა.

ვიშ მალაღუჩი!  
 დაუგდეთ ყუჩი,  
 დაბურყულს ტყეში წოგოჩა გალახს,  
 და ჯაფარაჭა,  
 ქუჩდი-ბაჭაჭა,  
 ხან კატებჩ კნაკის და ხან ჭრიალახს.  
 ამ სოფელშია,  
 მკათათვეშია,  
 მოხდა ამბავი დიდ სამწუხარო,  
 და ეს ამბავი,  
 გულ-მოსაკლავი,  
 მინდა გაიმხო შვილო თამარო.

## II

სოფლის ბოლოზედ,  
 ტრიალს მინდოჩზედ,  
 შრომისა შვილი მკიდნენ უანასა,  
 გულთ ხარობდენ,  
 არ მოსწორობდენ,  
 გულავ მოსაკლას ამისთანასა.  
 ჭრამის გრიალი,  
 ნამგლის ტრიალი,  
 უანას არხეკდა, ამრიალებდა,  
 მშიშარა მწუკლსა,  
 ზურისა მტეკლსა,  
 გულს უხეთქავდა, აწიოკებდა.

მაგრამ ტოროლა,  
 მუშტისა ტოლა,  
 მოძვლებს თავზედა დასტრიალებდა,  
 ხან მთა და ბაჩში,  
 ხან მადლა ცაში,  
 შტვენდა, გალობდა, დატრიალებდა...  
 მკიან და მკიან,  
 წინ-წინ გაჩბიან,  
 მეძნეული ძნის შეკვრას ვერ ასწრობს.  
 უანის პატრონი,  
 სოფლის პატრონი,  
 თავს ადგას მუშებს, ღვინოს სთავაზობს.  
 სვე გაიტანეს  
 და დაისვენეს,  
 მოძვალთ ნამკლები დაატრიალეს;  
 მუხის ძირშია,  
 იმის ჩრდილშია,  
 ტუბილად სიმღერა ჩააკრიალეს:

ს ი მ ღ ე რ ა .

1

«გავლესოთ ძმებო ნამგალი»,  
 დღეს ვნახვით, ვინც მამაცია;  
 ზედავთ უხვი მოსაკალი  
 ჩვენთვის ღმერთსა მოუცია.  
 თანა ვმკოთ და თან ვიმღეროთ,  
 ჭკეუნის ბურჯად ჩვენს გოთვლიან;

წელს რამ ხალხი შევიჯვრეთ  
მადლობას შემოგვიტოვლან.

## 2

დღე და ღამე ოთხში ვცურავთ,  
საქმეს ვხადით ღვთის საამოს;  
სხანს ბედმა წილად გვარგუნა  
ჩვენ ვიშრომით და სხვამ სჭამოს...

ახა, ძმანო, ერთიც დაკვრათ,  
მეძნეულა მოგვეტ მხარი;  
გაკათავით და შეუკრათ  
ბატონს კარგი პურის ჯგარი.

## III

დიდ მუხის ძიქში,  
მდგარს უანის პიქში,  
ამ სოფლის ბავშვნიც მოგვრევილიყვნენ,  
ხანა მღერობდენ,  
ხან თამაშობდენ,  
ხან ჩიტებს სდეკდენ, ბუდეს უშლიდნენ.  
მერე მღერითა,  
გზა-გზა შტკენითა,  
საბანათა გაიქცნენ წყალზედ;  
არ წაიუვანეს,  
მარტო დასტოვეს,  
პატარა გიგა ტრიალს მინდორზედ.  
დიდ ხანს ტიროდა,



ტოლთ მიჭყუიროდა,  
მაგრამ მის ხვეწნა აჩვიან ისმინა.  
რა დაჩნა მარტო,  
მოსტეხა ხის რტო,  
ჩიტს გამოუდგა და მოილხინა.  
მას დიდ ხანს სდია,  
ვერ მოეწია,  
დაილალა და ჩაჯდა ყანაში,  
იქილამ სჭკრეტდა,  
ჩოგოჩრტა ჭოვრუნდა,  
ცქვიტი მეტრხალი ლაყვარდსა ცაში.  
მის ცქერაშია  
და ალქსშია  
ყანაში ტკბილად მას ჩაეძინა;  
ყანამ შჩიალით,  
ჩიტმა ცქრიალით,  
ჩვენს მონადირეს უთხრეს ნანინა.

IV

მზემ გადიწკურა,  
სოლმ დაჭბურა,  
დაბინდდა, მისწყდა ჭოვრის გრიალი;  
მინდვრის ჩიტებმა,  
დალალოლებმა,  
შესწყვიტეს ფრენა, შტკენა, ტკრციალი.  
მიწყნარდა არე,

იქმნა მღუმიანე,  
 მთა და ბაქშია აწკინ ხმაურებს,  
 მხლელდა უანა,  
 ნიავისგანა,  
 ზღვის ტალღებით ღელავს, შრიალავს.  
 ამ დროსა ბავშვსა,  
 ბუდითა შავსა,  
 გამოეღვიძა ღრმა მიწისაგან,  
 იწყო ტირილი,  
 გულ-ამოსკვნილი,  
 შეშინებულმა სიბნელისაგან.  
 თან დადიოდა  
 და თან ჭყვიროდა:  
 «მიშველე, კვდები, ვამე დედაო!  
 ან წამიყვანეს,  
 მარტო დამავდეს,  
 ამხანაგებმა მინდოწმედო...»  
 იმედ მიხდილი,  
 მუხლ მოკვეთილი,  
 დაეცა, — უანა ზედ გადაეფინა;  
 ტირილით დაღლილს,  
 ძალა გამოცლილს,  
 ჰატარა გიგას მსწრაფლ ჩაეძინა.

## V

მთვარე დიადი,  
 ვითა ხმიადი,  
 მთების იქილამ ამოეყუდა:  
 იწყო კაშკაში,  
 მთასა და ბაჩში,  
 განათდა კელი და ღაღა-ღუღა,  
 გიგას კი სძინავს,  
 მძიმედა ფშვინავს,  
 ხადრი მთვარე მას არ ახარებდა,  
 ხანდისხან მწკაკად,  
 გულ-მოსაკლავად,  
 «კამე დედა!» დაიკვნესებდა.  
 სულ დათვი, მკელი,  
 მშხამელი კელი,  
 მას სიზმარშია ელანდებოდა,  
 და მათის შიშით,  
 ტირილით, ვიშით,  
 საწყალი გიგა ძილში ხტებოდა.  
 მაგრამ მშველელი,  
 ნუგეშ-მცემელი,  
 აჩუკინ იყო ეხლა ბავშვისა,  
 და მხალხოდ მთვარე  
 სხივ-მომთუნარე,  
 «იყო მოწამე იმის ტანჯვისა.  
 ყანაც აყრილი,

თაკ-თაკ დასრული,  
 მძინარე გიგას გადაჭტუნოდა;  
 გეგონებოდა  
 ეცოდებოდა.  
 რამ იმას ღამე არ შესტივნოდა.

## VI

მთვარე გაშვებებს,  
 წყალი ლაპლაპებს,  
 დუმილი სუთუკს მთლად მინდორზედა;  
 მხალხლად ისმოდა,  
 ვითა ტიროდა,  
 საწყალი გიგას ბედ-კრული დედა.  
 დედა საწყალი,  
 დედა გამშრალი,  
 თან შვილს ეძებდა და თან ტიროდა.  
 ასე მოსთქვამდა,  
 მსმენელს გულს სწავდა,  
 იმის ცოდვითა ქვაც კი იწოდა:  
 «ვამე შვილს,  
 ჰაწიკ, ტკბილს,  
 ვაი შენს დედას! შენს დამკარგავს!  
 ვინ იცის გტოვს,  
 ცრემლები გტოვს,  
 ვინ შეგობრალებს ბედ-კრულს, ბედ-შავს!...»  
 მამაც ამ დროსა,

სოფლის ბოლოსა,  
 გიგას ეძებდა ქუდ-მოკლეჯილი;  
 მოკლე ყანები,  
 ტყე და ჭალები,  
 მაგრამ მაინც ვერ იპოვნა შვილი.  
 მუხნით დაღლილი,  
 იმედ-მიხდილი,  
 საწყალი მამა დაბრუნდა შინა;  
 ამის მნახავმა,  
 დედამ ბუდ-შავმა.  
 რძივე ხელი თავს წაიშინა...

## VII

გათენდა დილა,  
 კვალად იხილა  
 თვალმა ბუნება გაღვიძებული;  
 მიმქრალდა მთვარე,  
 წყნარად მოარე,  
 დილის სინათლით შეშინებული.  
 ნაცვლად ცისკარმა,  
 პირ-მოცინარმა,  
 აღმოსავლეთით იწყო ღაყღაყი;  
 ნეტა ვის გულსა,  
 სუკდით მოცულსა,  
 არა გაჭკურნავს ეს გარყვინაყი!

შეხვთ ბუნჭყვდა,  
 დანამულწედა,  
 რა ტკბილის ხმითა გალობს ბულბული;  
 იმის მღერასა,  
 გულის ძგერასა,  
 ყურს უგდებს მწუკისი სულ-განაბული.  
 აგერ სერწედა,  
 მწვანე ველწედა,  
 გამაიშალა ბლავილით ცხვარი;  
 მათ თუხის ხმაწედა,  
 თრთლის შრიალწედა,  
 დაფთხა კურდღელი გულ-მომიშარი.  
 ამ დროს ყანაში,  
 ხან ტყე-ჭალაში,  
 გიგოს დედ-მამა მიმოვიდოდენ,  
 შვილს დაეძებდენ,  
 ვერ პოულობდენ  
 და ამით ჯაკრით იხრცებოდენ...

## VIII

დღისა მნათობმა,  
 ქვეყნისა მთობმა,  
 დაჭყერა რქოვს თუკად ყანები;  
 იმის სხივებწედა,  
 ვით ნაში ველწედა,

დალანლანობდენ ბასრი ნამკლები.

მუშაკთ სიმღერა,

ნამკლების ყლერა,

გვალად გაისმა მთასა და ველში;

მეუჩმეს ძნითა,

ტკბილ სიმღერითა,

მიაქვს უჩემი თავის სოფელში...

მუშებმა მკის ღრეს,

ზედ შუა-ღღის ღრეს,

იზოგეს ბავშვი მიტვალვებულ.

ეს იყო გიგა,

ვანი რა რიგა

ქქონდა მას სახე დასიკებულ!

თვითონ გლესებმა,

მის მეზობლებმა,

საწყალი გიგა ძლივსაღა იტნეს.

ბავშვი მამკვდარი,

უღროდ დამკვნარი,

სოფელში იმავე წამს წასვკენეს.

დედ-მამის გკემს,

თავ-პირში ტემს,

არ ინახდა, — იყო საზარე;

მათი წუხილი,

გულის დუდილი,

არც ენით ითქმის შვილთ თამარე.

გიგა დამარხეს,

ზედ ქვა დაადეს,

და იმ ქვაზედა ასე სწევიან:  
 «განშორდა მშობლებს,  
 აწ აქ მდებარებს  
 ბუკისგან მკვლარი გიგოს მტკიცია.»

ი. ბაქრაძე.

1882 წ.

*[Faint, mostly illegible handwritten text, likely bleed-through from the reverse side of the page.]*



## ისტორიული სურათები.

(შემდეგი \*).

ქეთევან დედოფლის შემდეგ დედა-გატებს უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ მამა-გატებზე, ვიდრე წინათ. ახლა ისინი უფრო ძლიერ ერევიან პოლიტიკურს საქმეებში და დიდი გავლენაც აქვთ ხალხის ცხოვრებაზე. ამისათვის საჭირო დროს მეფეები იყვანენ მძევლად მათს ცოლებს. ასე მოიქცა მაგალითებზე კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი, შვილი ქეთევან დედოფლისა. ლუარსაბ მეფის სიკვდილის შემდეგ იმან მოიწადინა ქართლ-კახეთის შეერთება. ამ განზრახვის თანახმანი იყვნენ გავლენის მექონნი თავად-ახნაურნიცა; მაგრამ თეიმურაზი ბატონაშვილებს ვერ ენდო. ვინც იმათ შორის უფრო გავლენიანი და გამორჩენილი კაცი იყო, იმათი ცოლები თავისთან მძევლად მიიყვანა; მაგრამ ბატონაშვილებმა მაინც უღალატეს იმას. რადგან სპარსეთს არ ჰსურდა ქართლ-კახეთის შეერთება და გაძლიერება, ამისათვის იმან (სპარსეთმა) დასვა ქართლის სამეფო ტახტზე როსტომ მუხრან-ბატონი. ისინი მაშინვე იმას მიემხრნენ. თეიმურაზს ეს ეწეინა და მოიწადინა მათ ცოლებსათვის, რომელნიც მძევლად ჰყვანდა, ცვირ-პირის დაჭრა. მაგრამ ამის წინააღმდეგი გაუხდა მას ცოლი ხვარაშან დედო-

\*) «ივერია» № 10 1882 წ.

ფაღი. ეს იყო ლუარსაბ მეფის დანი. იმან ნება არ მისცა ქმარს დედათათვის ამ გვარი შეურაცხყოფა მიუყენებინა.

ზარათაშვილები თუძცა წინააღმდეგნი გაუხდნენ თეიმურაზის ქართლ-კახეთის შეერთებაზე, ქართლის თავადობამ მანცხელი არ აიღო თავის განზრახვაზე. 1634 წელს როსტომ მეფე მოვიდა თბილისს და დაიწყო სამეფოს გამგეობა. მაგრამ ამავე წელს იმას უღალატეს: შაჰი ერისთავმა, იოთამ ამილახორმა, ნოდარ ციციშვილმა, გიორგი გოჩაშვილმა და კვდემოზ ქათალიკოზმა. ესენი იყვნენ თეიმურაზის მომხრენი. რადგან როსტომი მაჭმადის მოწოდუნე იყო, თავადობას და ხალხს არ უნდოდა მისი მეფობა. იმათ ჭსურდათ თეიმურაზის მეფობა და ესეც ამის მოწადინე იყო. ასტყდა მათ შორის ბრძოლა, მაგრამ როსტომმა ისინი დაამარცხა და მოიძვუკდია შავრეთის ციხეში. ნოდარ ციციშვილს რომ გაუჭირდა საქმე, «ჩათრეულს ჩაყოლილი ამჯობინა.» მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მათ შორის შუამავალი, რომ მეფე და მოღალატენი შეერიგებინა? ციციშვილმა აღიჩინა ამ საქმისათვის თავისი დედა. იმან გაგზავნა ის მეფესთან სახვეწნელად. «რომ მოვიდა, მეფემ დიდი პატივი დასდვა და სახვეწარი დაუჯერა: გაცლის გზა სთხოვა, ვითარცა ნათესავი იყო მეფისა და მეტე დედათა შიგან სიკეთეზედ ნაქები იყო და საქართველოში ძველადგანვე წესად იყო, რომ ვისაც განჭირებია — შესახვეწრად ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდიან, — მეფემაც გაათავა ძველი წესი და უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისის მხლებლებითა და ქონებით, ჩემს სამეფოში კი ნულარ დადგება»<sup>1)</sup>. ეს ამბავი მოხდა 1638 წელს.

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 520

ამის შემდეგ (1642 წელს) აუტყდათ ბრძოლა ახლა  
 რივე მეფეთ—თეიმურაზსა და რუსტომს. პირველს ან უნ-  
 დოდს მეორის მეფობა ქართლში. დიდ ხანს იბრძოდეს. ბო-  
 ლახ თეიმურაზი დამარცხდა. ის მოამწყვდიეს ქიზიუს სოფ-  
 მადარბში და ენებათ მისი დაჭერა. გაუჭირდა თეიმურაზს საჭ-  
 მე; მაგრამ აქაც ქალი აღმოუჩნდა მას მშველელად. რადგან მი-  
 სი ცოლი ხვარაშან დედოფალი რუსტომ მეფის ბიძა-შვილი  
 იყო, მივიდა მასთან, შეეხვეწა—ქმარი მისი მშვიდობიანად გა-  
 ნეტევებინა. რუსტომმა ხათრი ან გაუტეხა და აღასრულა ნე-  
 ბა მისი: «მისცა ცხენები და ჯოჯინი, უძღვნა მრავალი, წა-  
 რუძღვანა ქათალიგორში ურდუბეგაშვილი ქრისტეოფორე და გა-  
 ისტუმრა იმერეთში იმავე ღამეს, ხოლო თვითონ დაიპყრა კა-  
 ხეთი»<sup>1)</sup>. ამ სახით შეერთდა რუსტომის მეფობით ქართლ-  
 კახეთი.

მაგრამ ამის შემდეგ ქართლის მეფეს ან დაჭკლებია ტახ-  
 ტის მეტოქე. 1656 წ. მეფე თეიმურაზი წავიდა რუსეთს, მი-  
 ვიდა მოსკოვს, სთხოვა რუსეთს შემწეობა, მაგრამ, რომ ვერას  
 გახდა, დასტოვა იქ თავის შვილის. შვილი ნიკოლოზი, რომელ-  
 საც შემდეგში თუშებმა ერეკლე დაარქვეს, და მოვიდა ისევ იმე-  
 რეთს (1659 წელს), შედგა ბერად ღ 1663 წელს გარდაიცვალა.  
 აი ეს ერეკლე დაიბარა რუსეთიდან თეიმურაზის ასულმა იმე-  
 რეთის დედოფალმა დარეჯანმა ღ მოიწადინა კახეთის ქართლისა-  
 გან გაცალკეება. იმას განზრახვა ქცონდა: თუ კახეთში არა, იმე-  
 რეთში მაინც არის გავამეფებ ირაკლისაო. ის მოვიდა კახეთ-  
 ში 1662 წელს, როცა ჯერ მისი პაპა თეიმურაზი ცოცხალი  
 იყო და მოინდომა მამა-პაპის ტახტზე აღსვლა; მაგრამ კახ-

<sup>1)</sup> იხ. ქართლ. ცხოვ ნაწ. მე II, გვ. 46 და 49.

ტანგმა ნება არ მისცა. მოუხდათ ბრძოლა. ერეკლე დამარცხდა გაიქცა და შევიდა გაღმა-მხარს თორღუას ციხეში. ვახტანგი მას არ მოეშვა: მივიდა ჭ გარს შემოადგა ციხეს. იმას უთუოდ დაიჭერდა ვახტანგი, თუ რომ დედა არ მიშველებოდა. ის დაურბილებლად გამოვიდა ციხიდან, მივიდა წინაშე ვახტანგისა და უთხრა მხნედ: «რა რიგი არის, რომ მეუბმე მეუბის შვილი დაატყვევოს და გაამაჭმადიანოს. გეხვეწები ხელი აიღო ჩვენს გადარჩეულებასე და მისცე ჩემს შვილს გზა და განუტეო.» ქართველთა ჩვეულებისამებრ მეუბმე ხათრი ვერ გაუტეხა დიდებულს ქალს, «მისცა გზა ერეკლეს და გაისტუმრა ფარულად»<sup>1)</sup>

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ დედათა შუამდგომლობას ისეთი სიძლიერე ჰქონდა, ისეთი ფასი ედვა, რომ მისი სიტყვისა ჭ თხზვის გატეხას ვერავინ ბუღავდა. ვახტანგს ერეკლე არ უნდა გაემო, რადგან სპარსეთს არ ესამოვნებოდა და ამისთვის დასჯიდა კიდეცა, მაგრამ ჩვეულების წინაშე ის თავს იდრეკს, მის აღსრულებისთვის თავს არ ზოგავს და «ფარულად განუტეებს.» ერთის სიტყვით, სადაც დედა-კაცი შუამდგომლობს, იქ პირადს სარგებლობას ადგილი არა აქვს. 1714-სა და 1716 წ. ვახტანგ მეექვსეს შვილმა ბაქარმა დაატუსაღა თავისი მტრები და მამის ბრძანებით თვალები უნდა დაუთხარა მათთვის, მაგრამ რუსუდან დედოფალმა, ბაქარის დედამ, «არ უთუღა», და იხსნა ისინი დასჯისაგან (იხ. იქვე).

ვახტანგ მეუბისაგან დამარცხებული ერეკლე პირველი წავიდა ისევ რუსეთში (1664 წელს). აქედგან ის დაბრუნდა და მივიდა სპარსეთში, საცა დარჩა 14 წელს. აქ შეირთო იმან

1) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მ-II, გვ. 52, 78, 79 და 126.

ცოლად ანა ჩოლოყაშვილის ასული და მიიღო მანჭაძის სჯუ-  
 ლი. ამ ქალისაგან მას ეყოლა სპარსეთში ორი შვილი: დავი-  
თი და ელენე, რომელსაც სპარსულად ბანჯანუმ ერქო. ანამ  
 თუძცა სჯული შეიცვალა, მაგრამ, არც თვითონ დაივიწყა თა-  
 ვისი სამშობლო ენა, და არც შვილები დასტოვა მისი უცო-  
 დინარი. მისმა შვილმა დავითმა — თუძცა «სრულიად მიქცეული  
იყო წესსა. ზედა და სჯულსა მანჭაძისასა, იყო უძეცარი ქარ-  
თკელთა ზნისა, — წიგნი და ენა ქართული და სპარსული იცო-  
და წარჩინებულად.» სამშობლო ენა იმან შეისწავლა სპარსეთ-  
 ში დედისაგან, რომელიც ისეთი მოხერხებული დედა-გადა იყო,  
 რომ იქიდანვე მეცადინეობდა სამშობლო ქვეყნის დიდებასა და  
 ერთობისათვის. როცა დაბრუნდა სპარსეთიდან საქართველო-  
 ში, იმან დაუყოვნებლივ მიიღო ისევ ქრისტიანობრივი სჯუ-  
 ლი. მისი ქმარი მეფე ერეკლე ამის შემდეგ ისევ სპარსეთში  
 წავიდა და იქ მოკვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამას უკან გაჭ-  
 უვა შვილი დავით, რომელიც კასეთში მეფედ იყო დანიშნუ-  
 ლი მამის მაგიერად, მაგრამ ანა დედოფალმა ფეხი აღარ მო-  
 იცვალა სამშობლოდან. იმას ჭყვანდა კიდევ მესამე შვილი თე-  
იმურაზი, რომელიც მას საქართველოში გაუჩნდა და იყო ამის  
 ანაბრად. დავითმა ეს დასტოვა თავის შემკვიდრედ. იმას ამ  
 დროს ცოლად ჭყვანდა ბაინდურ ერისთვის ქალი. მაგრამ ქართლ-  
 კახეთის ერთობისათვის დედამ გააშეკებინა შვილს კანონიერი  
 ცოლი სამღვდლოების თანხმობით და შერთო ვახტანგ მე-  
 ექვსეს ასული თამარ; მოყვრობის საშუალებით იმან შეაჩივრა  
 კახეთისა და ქართლის სამეფო გვარნი. თეიმურაზ მეორემ და-  
 იწყო მეფობა, მაგრამ ყოველისთვის მომქმედი იყო დედა  
 მისი ანა. მის დაუკითხავად თეიმურაზი სამეფოში არას აკე-  
 თებდა. ის მოკვდა 1716 წელს და დაასაფლავეს აღაპერდს.

მისი შვილის-შვილი იყო სახელგანთქანი მეფე ერეკლე მეორე.

დედის სიკვდილის შემდეგ თეიმურაზი მანც კერ განთავისუფლდა დედა-კაცის გავლენისაგან. იმას საქართველოში ჰყვანდა თავის ძმის დავითის ცოლი. ანა დედოფალი რომ გადაიცვალა, კახელებმა უარ-ჰყვეს თეიმურაზის მეფობა, მაგრამ ეს რძალი მას წაესარჩლა, დაამკვიდრა ტახტზედა და მისი შემწეობით, წყალობითა და ნება-ყოფლობით განაგებდა კახეთს მეფე თეიმურაზ მეორე<sup>1)</sup>.

ამავე ხანებში მოქმედებს სპარსეთში დიდის წარმატებით ჩერქეზოვის ქალი, რომელიც იყო ცოლი სპარსეთის ხელმწიფისა. ამ დედოფალს ქმრისა და შვილის სიკვდილის შემდეგ დარჩა მცირე-წლოვანი შვილის-შვილი შაჰ-ახას მეორე. რადგან მას ჯერ არ შეეძლო სახელმწიფო საქმეების მართვა, ამისათვის სპარსეთის გამგეობა ამ ჩერქეზოვის ქალს ეჭირა. „უაენი უმაწვილი იყო, ამბობს ქართ. ცხოვ., ბებია მისი ჩერქეზის ქალი იყო, და ჭკუიანი მანდილოსანი ბრძანებლობდა მისი სიტყვა გადიოდა.“ სპარსელებს ეს არ მოსწონდათ და ენებათ მისი გაგდება სახელმწიფოდგან. იმათ ძალიანა სწყინდათ, რომ სპარსეთში ქართველობა ძალიან გაძლიერდა და ენა ამოიდგა. ამ დროს აქ იყო 30,000 ქართველთაგან შემდგარი ჯარი. ამათ შორის ბევრი სახელმწიფოში უპირველეს თანამედრობის ხარისხზე ასულიყვნენ: ზოგნი იყვნენ მინისტრებად, ზოგნი ჯარის უფროსად, ზოგნი სასახლის გამგებულად. შაჰის მცველ ჯარსაც (ამაღას) შეადგენდნენ აგრეთვე ქართველები. რადგან ქართველი ქალები ძალიან ღამაზები იყვნენ, ამი-

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 131, 133 და 136.

სათვის არ იყო ისეთი წარჩინებული სპარსელის ოჯახი, რომ ქართველი ქალი არ ყოფილიყო. ამ სახით თვით ხელმწიფე-ნიც დედით ქართველნი იყვნენ. ამ ყაზალ უზირკელესი დედოფალიც ქართველია. ამ გარემოებათა გამო ქართველთ დიდი გაუგენა ჭქონდათ სპარსეთში. ეს სწუინდათ აქაურს ხანებს და ეწადათ უკენტა გვარეულობის გაწეკეტა.

მაგრამ დედოფალს ძლიერი მომხრენი ჭყვანდნენ. ჯერ ამათი გაწეკეტა იყო საჭირო, იმათ მოუშორებლად მტერობის გამოცხადება საშიში იყო. ამისათვის ჯანი-ხანმა ლაღატობით, ლოცვის დროს, მოჭკლას დედოფლის პირველი მინისტრი მიწისა—თავი ეტიმადოკლე და მეტე ეწადა მისი ამალის ამოწეკეტა, ხოლო ამის შემდეგ ახალ-გაზდა ტახტის მეტეკიდრეც უნდოდა მოეკლას და დედოფალიც გაეღვენა.

ეს ამბავი დედოფალმა შეიტყო, მაგრამ ხმა არ ამოიღო. არც უჩვენა მტრებს სახე, ვითომც იმას შეტყობილი აქვს მათი განზრახვა. მან უბრძანა იმათვე: «რადგან მიწისა-თავი ეტიმადოკლე მოგიკლავთ, ახლა, ვინცა გნებავდეთ ის დასვით პირველ მინისტრად; მე საქმეში აღარ ვერეკიო.» მაგრამ ამ დროს სიამშ-ხანს ძალვით მისწერა ქართველად: «რას იქნა თქვენი კაცობა, და ან რითა სხანს თქვენი ერთგულება ჩემს ოჯახისადმი? ჯანი-ხანმა ეტიმადოკლე (პირველი ვეზირი) მომიკლას და თქვენ ეს დასთმეთ და არა სთქვით-რას. დღეს არის თუ ხვალე თქვენც დაგხრცენ და მეტე შეილსაც მომიკვლენო. ახლა თუ ჩვენი ერთგულნი ხართ, ნულარ აგვიანებთ, თორემ კიდევ ისინი დაგასწრობენ. ვისაც ენდობი ქართველის შვილებს, უბრძანე ყოველ ღამეს იარადით სასახლეში მოვიდნენ და ვინც მტრები არიან, ცოცხლებს ნუ გაუშვებთო.» ამ საქმეში ერევნენ წაღვ ერისთავი და იოთამ ამილახოვი, რომელ-

თაღ, როგორც ზემოთა ვსთქვით, თეიმურაზ პირველის დროს ქართლ-კახეთის შეერთება ენებათ. მეშვიდე ლამეს, დედოფლის ბრძანებისამებრ, ქართველთ სავატიო შეილები იარაღ-შემორტყმულნი ხელმწიფის სასახლეში მოვიდნენ. მეორე დღეს ჯანი ხანიც დაიბარეს. ის ამაყად და შეუზოვრად მოვიდა სასახლეში. ქართველნი რომ წინ მიეგებნენ იმას ეგონა უწინდებულად პატივსა-მცემენო. მაგრამ ამ დროს სტაცეს ხელი და იქვე მოჭკლეს. მერმე წაუშინეს მის მომხრეებს, რომელნიც მასთანა ჰყვანდა. ერთის წამის განმავლობაში მოჭკლეს 24 ხანი, სულთანი და ბეგლარი, და მათი მძოვრები ქალაქის მეიდანზე გადაყარეს. ამის შემდეგ დედოფალმა უბრძანა მათი ქონებისა და ოჯახების აკლებაც, და ისე გაძლიერდა, რომ ქართველთ შემწეობით სპარსელებს სისხლს უშრობდა და ეკულას მუხანათებს ეძახდა.

დედა-კაცების მძლავრობა, ანუ უკეთა ვსთქვით, მათი გავლენა მამა-კაცებზე მარტო ქართლ-კახეთის ისტორიაში არა სჩანს. იმათს სიტუვას იმერეთშიაც დიდი ძალა აქვს. მაგრამ იმერეთში ქალების მოქმედებას სხვა სარჩული უდევს. აქა აქვთ მათ სახეში უფრო პირადი სარგებლობა, და არა მთელის ქვეყნის ინტერესი. ავით თუ კარგად ქართლ-კახეთში ქალები მოქმედებენ იმ განზრახვით, რომ ქვეყანას სარგებლობა მოუტანონ. იმერეთში კი შემდგარა სხვა-და-სხვა პარტიები, რომლებშიაც ქალები დიდს მონაწილეობას იღებენ, მაგრამ მხოლოდ საკუთარს გაძლიერებას, გაძლიერებას ზ სარგებლობას მიესწრათუებიან და ამ სურვილის მისაღწევად ისინი მეტის-მეტად ბოროტად მოქმედებენ. მაგალითად, ერთობის ჩამოსაგდებად და გასაძლიერებლად ქართლ-კახეთის მეფემ ვახტანგ მეხუთემ და მისმა ცოლმა მარიაშვილმა მოიწადინეს თავის შვილის არჩილი-



სათვის ვამიუ დადიანის ასულის შერთვა და დანიშნეს კიდევცა; მაგრამ ცოლი დადიანისა ამაზე თანახმა არ გახდა. «შორს არის, მე ქართლში ქალს არ გაკათხოვებო», და იმდენი ჭქნა, რომ უარი ათქმევინა ქმარს. «უსმინა მანცა და მისცა ბუყან ღოღობერიძეს ქალი იგი ცოლად, და მოჭხდა ამის გამო შოგოთი ბრძოლა (1661 წ.) ურთიერთ შორის»<sup>1)</sup>.

ამავე დროს იმერეთში მოქმედებს გახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი. ეს იყო სახელგანთქანი შერვაში ერისთვის ცოლად ნამყოფი. ის მან შეირთო დიდი მოურავის სააკაძის რჩევით. მაგრამ 1629 წელს თეიმურაზმა მოჭხკლა ეს თავისი სიძე და დარეჯანი წაიყვანა დუშეთიდან გახეთში. ამავე წელს იმან მიათხოვა ის იმერეთის მეფის შვილს ალექსანდრეს. მაგრამ 1660 წ. ალექსანდრე მოკვდა ბ დარეჯანს მასგან შვილი არ დაჩნა. გამეოდა მისი გერი ბაგრატო, მაგრამ სამეფოს განაგებდა დარეჯანი, და არა ისა. დედი-ნაცვალმა მას ძალად შერთო თავისი ძმის დავითის ასული ქეთევან და მოხუჭა თავის ხელში სრულად მეფის უფლება, მაგრამ ეჭვის თვის შემდეგ ის დაიჭირა, წაართვა განთიერი ცოლი, დასთხარა თვალები, შეირთო თავათ ქმარი ვახტანგ ჭუნაშვილი და დაიწყო თავის ნებაზე სამეფოს გამგეობა. იმერეთში ეს საქმე არ იყაბუჯეს. მაგრამ დარეჯანის დამარცხება მართლ იმერეთს არ შეეძლო. სთხოვეს შემწეობა ახალციხის ფაშას ალანს. უკანასკნელი მოვიდა ჯარით, დაიჭირა დარეჯანი, მისი ქმარი და ქეთევანი: წაიყვანა ახალციხის მხარეს და დაასახლა ოლთისს; იმერეთში კი გამეოდა ისევ ბაგრატო, რომელიც ახლა უსინათლო იყო.

1) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 51 და 203.

რადგან დარეჯანმა ამას ცოლი ქეთევანი წაართვა, ამისათვის ის დაინიშნა ახლა ქართლის მეფის ვახტანგის ძმის ქალზე, რომელსაც ერქო თინა. ის უკვე წაიყვანეს იმერეთში, მაგრამ ბაგრატმა ჯერ-ჯერობით მასზე ჯვარი არ დაიწერა. თუმცე მის დაზე თამარზე სჭერია მას თვალი, რომელიც ლევან დადიანს ჰყვანდა ცოლად. აუტებს ამას ბრძოლა ზ დაამარცხა, წაართო ცოლი თამარი და მასზე ჯვარი დაიწერა; თინას განება თავი; დადიანს კიდევ ძალად შერთო ცოლად თავისი ქვრივი და და მისცა მერმე სამთავრობო.

იმერეთში ასე არეულ-დარეულად რომ მიმდინარეობდნენ სამთავრო საქმეები, ბოროტი დარეჯანი გულ-ხელ-დაკრეოილი არ იჯდა ოლთისში. იმან გამართა მიწერ-მოწერა ქართლის მეფესთან. ის უჩხევს ვახტანგ მეფეს: შერთე ქეთევანი შენს შვილს არჩილს, რომლის გამეფებაც შენ იმერეთში გსურსო, და მეც იმდენი შეძლება მომეცო, რომ თავი დავიხსნა ფაშისაგანო. საქმე გარიგდა. მისცეს ფაშას 20,000 მარხილი. არჩილმა შეერთო ქეთევანი. დარეჯანი განთავისუფლდა. მოვიდა ქმარით ისევ იმერეთში და ფაშის შემწეობით 1668 წელს ხელ-მეორედ გამეფდა. ბაგრატის ქართლში გაიქცა. მაგრამ ძვირად დაუჯდა დარეჯანს ამდენი არევ-დარევა ქვეყნისა. ამავ წელს ერთ დილას, როცა ის ქუთაისის ციხეში თავს იხურავდა და იკაზმებოდა, შეუარდა ოთახში ხოსია ლაშხიშვილი და მოჰკლა დარეჯან დედოფალი შუბით და ამის შემდეგ იმერლობამ მას ზედ წაკლა ქმარიცა<sup>1)</sup>.

გამეფდა იმერეთში კიდევ ბაგრატ უთვალა. მაგრამ დადიანმა ის არ მოასვენა. ის მტრობდა მას ცოლის წართმევი-

<sup>1)</sup> იხ, ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 202—205.

სათვის, რადგან თამარი იყო ფრანდ კეკლეუცი და აღმატებული მშვენიერებითა, სრული უმეტესად, შეეცინენ მას აგრეთვე გიორგი გურიელი და ახალ-ციხის ფაშაცა<sup>1)</sup>. განდა თამარი ბრძოლისა და სისხლის დანთხევის მიზეზად. ბევრი სისხლი დაიღვარა მის გულსათვის, და ამ აწუღობის ბოლო აღარა სჩანდა. მაშინ ბაგრატმა განიზრახა გურიელთან შერიგება. მისცა მას ცოლად თავისი ასული დარეჯანი, რომელიც მას თამარისაგან ჰყვანდა, «რათა დაუტეონ მან ტროიასა თამარისა.» ის იყო მაშინ 11 წლისა. ამაკე წელს მანუხარ დადიანმა 8 წლის ქალზე ჯვარი დაიწერა. ეს ქალი იყო კახტანგ მეფის შვილის არჩილის ასული.

არჩილისა და მანუხარ დადიანის მოყვრობის განზრახვას ის იყო, რომ კახტანგს ჰსურდა იმერეთში თავის შვილის გამეფება და ამისთვის საჭირო იყო დადიანის მოძირობა. 1678 წელს მის მოძირობით იმან მართლაც ჩამოაგდო ტახტიდან ბაგრატი და გამეფა არჩილი. ამან კიდე დადიანს ლეკანს მადლობა იმით გადაუხადა, რომ დაიჭირა სვანდის ციხეში თავისი ბიძა-შვილი თამარი, ცოლი ბაგრატისა, და მისცა იმასვე ცოლად.

მაგრამ 1679 წელს ბაგრატმა ისევ დაამარცხა გიორგი გურიელის შემწეობით დადიანიცა და არჩილიც, წაჰკვანა ლეკანს ისევ ცოლი თვისი თამარ და კიდევ დაიპყრო იმერეთი. იმან იმეფა კიდევ ორი წელიწადი. მოკვდა 1681 წელს. გაუხარდა გურიელს. განუტევა ცოლი თვისი დარეჯან და შეერთა სიდედრი თამარ. ამ მიზეზით გამეფდა გურიელი იმერეთში. თამარი განდა ახალის ქმრის ძლიერი მოყვრული. ქართლის

1) იხ. იქვე გვ. 205.

მეფეს გიორგი მეთორმეტეს ჭსურს გაამეფოს ალექსანდრე, შვილი ხაგრატ უთვალისი, მაგრამ დედა ამის წინააღმდეგია. ძუ ლომსავით ის დასტრიალებს მთელს იმერეთს თავს. მისი წინააღმდეგია ყველა, მაგრამ ამდენს თჳევსში ის კიდევ არ გატყდა და არ მოხელდა მისი მხურვალე გვამი. ის ეწინააღმდეგება მთელს იმერეთს, მეფე გიორგის და ახალ-ციხის ფაშას. არ უნდა რომ დაუთმოს შვილს მეფობა. ყველას ურჩევნია მას ახალი ქმარი გიორგი გურიელი. ის დადის მთელს იმერეთში და აჩივებს ხალხს, არ მიემხროთ ალექსანდრეს, ჩემს შვილსაო. ამ განზრახვით ის წავიდა სამეგრელოშიაცა, საცა ქმარ-უოფილი მისი ლევანი უკვე მკვლარი იყო, «რათა არა მიემხრნენ ოდიშარნი ალექსანდრესაო.» მაგრამ ამ მოგზაურობაში მან შეტრად დალია თვისი უღუთო სული. ხალხში ხმა გაკარდა, რომ დედოფალი ორსულად იყო და «მობასა შინა შუა ტეცხლი და მოკვდაო»<sup>1)</sup>. ამაკე დროს ქაინოსრო ციციშვილის რძალმა, აგრეთვე სახელად თამარმა, ხმა დააგდო ხალხში, რომ ვინც ქრისტეს სჯულს უარს ჭყროს და მანკადიანდება, მისი სული სიკვდილის შემდეგ ძალის ლეკვად იქცევა, ღამ-ღამობით ამოდის სამარადგან და წკაკწკაკობს სასაოფლოზედაო. ასე ემართება გივი ამილახორის ანდრუასურის შვილის სულსაო, ამტკიცებდა ის საშინულის ფიცითა, ამასვე ამტკიცებდა ერთი კილაცა თჳკლენიშვილი თავის ძამის სულის შესახებ, და არც გასაკვირია, რომ ამ დროს ასეთი ხმები ვრცელდებოდა ხალხში. ეს დრო მეტის-მეტად მწარე დრო იყო საქართველოსთვის. «ყამთა ამათ იქმნა განტეკება ცოლთა, კვლა კაცთა და იდუმალ ტყვის ყიდვა და უჭურონი სჯულსა-ზედა მრავალნი საქმენი»<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> იხ. იქვე გვ. 209.

ამ დროს იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში თავადიც, აზნაურიც, მღვდელიც, ბერიც, კრიც, მეფეც და დედაცატებიც ყველანი ზნე-გაფუჭებულნი არიან. იშვიათად ნახავთ მაღალ წოდების ქალს, რომ მთლად არ მისცემოდეს გულისთქმის დაკმაყოფილებასა. ცოლისაგან ქმრის განტეკება და ქმრისაგან ცოლისა, ურთი-ერთისთვის დალატობა, ცოლთაგან ქმრების ხოცვა, თავად-აზნაურთაგან ორ-ორ ცოლის ერთად შერთვა — ეს ყველაფერი შეადგენს მაშინდელ დროსთვის დაუზრახველ მოკვლენას. ამ დროს ქალი ზნეობით და კეთილის აღზრდილობით კი არ ფასდება, არამედ გლისპობით, მზაკობით და სხვანი. დიდებულნი თავადნი ეძებენ იმისთანა ქალს, რომელსაც ძლიერი და გაკლენის მექანი ნათესავები ჰყავს. აქ კეთილ-ზნეობას ადგილი არა აქვს: ისინი მოყვრობით ეძებენ გაძლიერებას და არა ჭკუით და ცოდნით. მაგრამ თუ სიმკეს თუხი გადაუბრუნდა, დამარცხდა, დამბლა გახდა, დაიხაგრა, მაშინვე იმას განონიერს ცოლს ართმევენ და სხვას აძლევენ, რომ ამ საშუალებით კიდევ შემძლე მომხრეები იშოვნონ და გაძლიერდნენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მიმხვდარვართ: ქალები აკაკშირებენ, ამეგობრებენ, უნერგავენ და შთაავონებენ მამაკაცებს ურთი-ერთის შემწეობას მოყვრობის მიზნით, თუ ამის მომხდენი არის მხოლოდ უბრალო ხათრი და სიყვარული ცოლისა? თუ სიყვარული და ხათრი ცოლებისა ამოქმედებს ერთად მოყვრებს, მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დამბლა ქმარს მაშინვე ართმევენ ცოლს და აძლევენ უფრო მხნეს, ძლიერს და გაკლენიანს? ამის მიზეზს ჩვენ ვერ მივხვდარვართ, მაგრამ იმ ფაქტს კი ცხადად ვხედავთ, რომ მოქმედებაში, თუ არა უფრო ძლიერი, ნაკლებნი აღარ არიან ქალები მამაკაცებზე. ისინი ორივენი ჭიშპობენ, იბრძვიან, ხოც-

კენ მოწინააღმდეგეთ და ამ მხრით არიან ერთსა და იმავე ჭა-  
პან-წიგებში. არიან ისეთნი დრონიც, როცა ქალების ხელშია  
მთლად ბურთი და მოედანი მოქმედებისა. ისინი განაგებენ იმე-  
რეთის ხალხის ცხოვრებას; მამა-კაცნი მოქმედებენ იმათის ჩა-  
გონებით და განკარგულებით. ერთის სიტყვით, დედა-კაცების  
გავლენა კაცებზე ისეთი ძლიერია, რომ ვისაც მამა-კაცს ჭსურს  
ქვეყნის ბედის ხელში ჩაგდება, — ეძებს სიძეობას გამოჩენილ  
და გავლენიან კაცისას. ასე ჭფიჭრობს არამც თუ თავადი, არა-  
მედ თვით მეფეცა. უკვლას ჭსურს ქალების შემწეობით იდე-  
სასწაულოს ყაძი თვისის საწუთრო ცხოვრებისა.

1683 წელს ალექსანდრე მეოთხე გამეფდა თუ არა იმე-  
რეთში, მაშინვე თავისი დაი დატოვანია, გურიელის ცოლად ნამ-  
ყოფი, მისცა პატა აბაშიძეს, რადგან ამ დროს ეს კაცი ძლიერ  
განდიდებულ იყო. მეფეს სურვილი აუსრულდა. აბაშიძეები და  
მიქელაძეები რადგან მოყვრობით ნათესავნი იყვნენ, უკვლანი  
იმას მიემხრნენ მძახლობისა გამო. ამ სახით მეფემ შეადგინა  
ძლიერი პარტია გურიელის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ დროს არც ეს უკანასკნელი ზის გულ-ხელ-  
დაკრეფილი. ისიც მეტადინებებს გაძლიერდეს მეფის წინააღმდეგ.  
რატის ერისთავმა შოშიტამ, ბეჟან ლორთქიფანიძემ, გიორგი  
ლიპარტიანმა (ჩიქვანმა) და გურიელმა შეკრეს ურთი-ერთ  
შოქის პირობა — იმოქმედონ მეფის წინააღმდეგ. ამათ არ ენე-  
ბათ ალექსანდრეს მეფობა.

ასტყდა მათ შოქის ბრძოლა. მეფემ ისინი დაამარცხა,  
მაგრამ ბრძოლაში პატა აბაშიძე მოჭკლეს. მეფეს მოაკლდა  
ძლიერი მომხრე. მაშინ ის შეუჩინდა რატის ერისთავს პაპუნას,  
გადაიბირა, გააშვილებინა კანონიერი ცოლი, ასული ბეჟან ლორ-  
თქიფანიძისა, მოიყვანა თავისთან კიდევ დაქვრივებული დაი და-

რეჯან და მას შერთო. იმავე დროს ლევან დადიანს შერთო თავისი მეორე დაი თინათინ და ამით ისიც გაიმეგობრა შეი-  
რია და მომხრეთ გაიხადა.

მაგრამ საუბედუროდ ალექსანდრეს მტრად გაუხდა ქართლის მეფე გიორგი მეორემეტე. ამას უნდოდა გაემეფებინა იმერეთში თავისი უფროსი ძმა არჩილი. ამ განზრახვის აღ-  
სასრულებლად იმან შერთო თავის ძმის ლუარსაბის ასული ელენე რაჭაში ქაინოსრო იაშვილს და მოუყენა არჩილს შემ-  
წოდ. ამით გადაამტკნა ალექსანდრე მეფე და იაშვილი ერთმან-  
ერთს. ამით ერთმანერთი კარგად შებერტყეს. მეფე დასუსტდა. ამ დროით ისარგებლა არჩილმა და მართლაც გამეფდა ხელ-  
მეორედ იმერეთში. მაგრამ ის მანც არ ამეფეს. ახალ-ციხის  
ფაშის შემწეობით ალექსანდრემ 1691 წელს გააგდო ის იმე-  
რეთიდან და დაიჭირა ისევ თავისი სამკვიდრო ტახტი. მა-  
შინ არჩილმა განზრახა რუსეთში წასვლა; გადაიარა რაჭიდან  
კავკასიის მთები და მივიდა ჩერქეზეთში ყილჩიურ ბატონთან.  
ამასთან დიდ-ხანს დარჩა. ყილჩიურ მას დიდს პატივს სცემდა:  
ანადიმებდა და ანადირებდა, მაგრამ გულში კი ნამდვილი მტე-  
რობა ედვა. სპარსეთის შაჰს თურმე დიდ-ძალი ფული გამო-  
ეგზავნა ყაზიუმუხის ხანისათვის ღეთხრუნა, როგორმე ქრთა-  
მის მიტოვით არჩილი დაიჭირე და გამომიგზავნე აქაო. იმას  
ეს ამბავი ყილჩიურსთვის შეეტყობინებინა და დიდი ქრთამიც  
მიეცა. ესეც თანახმა გამხდარყო და ეძებდა მარჯვე დროს მის  
დასატყუებლად; მაგრამ ისე ნაირად, რომ თვითონ არ გა-  
მოჩენილიყო, ამისთვის იხსნავდა თავისთან და განგებ პატივს  
სცემდა.

1692 წელს არჩილი გაემგზავრა რუსეთისკენ. ყილჩიურ  
გაუდევნა მას უგან. ერთ ვიწრო ხეობაში ჩასაფრებული მისი

გაბეი გამოცვივდნენ და რძმა მათგანმა სტაცეს უმრად ხელი აქედ-იქიდგან მკლავებში. იშიშვლეს ხმლები არჩილის მხლებლებმა. რძმა ბერმა ნიკოლაოზ ახაშიძემ და შალიკა-შვილმა წაიძრეს მახვილები, რომელნიც მათ სამოსელს ქვეშ ჰქონოდათ დამალული ღ განათავისუფლეს არჩილი. ასტუდა სასტუკი ბრძოლა. «იხადა მეფემან შვილდ-კაპარჭი და მოსწრა მწაკალნი.» დიდ ხანს იბრძოლეს, მაგრამ მეფე მაინც ვერ დაიჭირეს. «განკლავ ბრძოლით მეფემან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით. მაგრამ ჭენებსში ცხენს შარდი დაეჭირა, «განსივდა და ვერლანა რბოდა.» მაშინ კიდევ მოესივნენ ჩერქეზნი და ასტუდა კვალად ბრძოლა. მეფემ კიდევ «ძლიერად იბრძოლა.» ჩერქეზთ იმედი გადუწყდათ მის დაჭერასზე. მაშინ იხმარა ერთმა ლეკმა ცბიერება, მიუახლოვდა მეფეს და უთხრა: «რად მოიკლავ უებროსა თავსა? კმა არს სიმხნედ, რომელი დღეს ჰყავ შენ! აწ დაიძაბლე თავი და მოკედ ჩემდა, ვოფრავ განგარინო ყოვლისაგან.» — მეფემ უპასუხა: «არა მიკენდო ჩერქეზთა, გარნა მოვალ შენდა.» მაგრამ ამანაც გასტენა თავისი თიტი და მიიყვანა ის ყიფჩიყოს სახლში. სახლის პატრონი არ ეჩვენა არჩილს.

«მასვე ღამეს ყიფჩიყოს ცოლმა გაგზავნა მეფე არჩილი ბასიანს,» რომელიც შეადგენდა ქართუელთა სამოღობულოს და „სპანი მისნი დიგორს“, რომელიც აგრეთვე იყო ნაწილი სასართულოს სამეფოსი<sup>1)</sup>. ამ უკანასკნელს მარცაში იყვნენ ამ დროს არჩილის შვილნიცა<sup>2)</sup>.

ჰქონდა თუ არა ყიფჩიყოს ცოლსაც განზრახვა არჩილის

<sup>1)</sup> იხ. ვახუშ. გეოგ. გვ. 450 და 452.

<sup>2)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 61.



განთავისუფლებისა, ეს ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ბასიანში მცხოვრებ ქართველებისა და რსების ქალებმა არჩილი არ დაანებეს მტერს. მოვიდნენ თუ არა კაცები არჩილის წასაყვანად, მაშინვე შეიყარნენ ბასიანის ქალები, მოისადეს ლეჩაქები, მივიდნენ ქმრებთან და უთხრეს ვაჟ-კაცურად: «ან ჩვენი ლეჩაქები დაიხურეთ თავზე და თქვენი ქუდები ჩვენ მოგვეცით, ანუ ჩვენ არასოდეს არ მივცემთ, არჩილს უიღვიყოს.» მეორე ღამეს ბასიანისა და დიგორის ქალებმა მართლაც განთავისუფლეს არჩილი და მისი მოგზაურნი და გამორსტუმრეს ქართლს<sup>1)</sup>.

ამ დროს მეფე ალექსანდრეს მაგრად ეჭირა თავისი ტახტი. ის იყო «მხნე, ახორვანი, ჭაქოვანი და უხვი», მაგრამ ზნეგათუჟებულად ჭქონდა. იგი იყო ხელად-მქცევი, ცუნდრუკი, უღვთო და ტყვით გამყიდველი. პირველი მისი ცოლი არ იყო კანონიერი. ის ჭყვანდა იმას ხასად; მაგრამ რა შვილი რამ გაუჩნდა—გიორგი და სვიმონი, მოიწადინა მისი განტყუება და შეერთვა გიორგი აბაშიძის ასულისა, რათა? რისთვის? ამიტომ რამ გიორგი, თუძცა წინად ბერი იყო, მაგრამ მერმე გაკრეჭილ იქმნა (1685 წ.) და ისე გაძლიერდა იმერეთში, რამ თავის ძმას პაატა აბაშიძეს დაემჯობინა დიდებით და მძლავრობით. ამასთან დამოუკრება ახლა ძლიერ საჭირო იყო მისთვის. იმან სთხარვა მას ქალი თამარ, რომელიც ჯერ ათის წლისა იყო. ის შეირთო, მაგრამ ცოლს არ უყვარდა იგი განუგნობისათვის. ეს სიმულვილი თამარს უფრო გაუცხოველდა, რაცა ალექსანდრემ ქართლის რბევა დაიწყო და აქაური ხალხის ტყვედ ყიდვა. «ამისათვის სიმულობდა ცოლი თავისი თამარ და მიზეზს უდგა განტყუებად.» დაუწყო იმან მამას

1) იხ. იქვე გვ. 214 და 215.

ხვეწნა: განმარტოვებულ ქმარს და მიმართულ ქართლის მეფეს გიორგისათვის. რადგან იმერეთის წარჩინებულ მებატონეთაგან სძულდათ ალექსანდრე, ამისათვის ახალი თანახმა გახდა ასულის თხოვნაზე. შეიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავი პაპუნა და სრულიად იმერეთის წარჩინებულნი, შეიპყრეს ის და მისცეს გიორგი მეფეს დასასჯელად. იმანაც მიიყვანა რუისს, დაახრჩო და დაოჯახა მუნვე ეკლესიაში <sup>1)</sup> 1695 წელს.

გასაკვირია, რომ ამ დროს, როცა იმერეთის ხალხში ასე დატყევილია ქრისტიანობის უნე, ქართლში მტკიცედ აღიზანდნენ ცოლ-ქმარობის კავშირს. იმერეთში აღვილია ეკლესიურის კანონის დარღვევა, ქართლში კი შეუძლებელია. მაგალითად ხსენებული თამარ სთხოვს გიორგი მეფეს შეძირეთ ცოლად და დაიჭირეთ იმერეთი, მაგრამ ის უარს ეუბნება. ამის შემდეგ სთხოვს ახლა აჩივს ცოლად შეერთვას და სამუდამოდ იმერეთის ტახტის დაპყრობას, მაგრამ ისიც უარს ეუბნება.

დაუცხრამელია თამარმა მამინ შეერთო ერთი ვილაცა მეფეთა მიმართესავე გიორგი, რომელიც იმყოფებოდა რდიშს ჭკუისუკად სცხოვრებდა. ამ კაცს არ ჰქონდა არც შესამჩნევი ჭკუა-გონება, არც დარბაისლური ყოფა-ქცევა, არც მეფის შესაფერი უნე და გამაყრდილება. მან იცოდა მხოლოდ გლეხთა მუშაკობა და იყო სუბარცა. ამისათვის არ უყვარდა ის თამარსა, რისა გამო ერთის წლის შემდეგ გაგდო სახლიდან. მამინ იმერეთის ტახტს თვითონაც ჩამოეცა და გამეფა თავისი გერი სვიმონ, რომელიც პირველ ქმარს ალექსანდრეს ხასისაგან ჰყვანდა და ცოლად შეერთო თავისი დანიკა, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალს ქმარს, ნასყიდა იაშვილს წაართო.

<sup>1)</sup> იხ. ქარს-ცხოვ. გვ. 215.

მაგრამ იმერეთის დიდ-კაცობა მაინც თამარს ემოწინაღობდა, მას ემსახურებოდნენ და იყვნენ მის წინაშე განუძობლებლად. სვიმონს მხოლოდ ახდრილი მეთაობისა ჰქონდა, მაგრამ თამარს ესეც შეჭურდა შვილისა და დისათვის და აუტუხს ბრძოლა.

შეშინებული სვიმონ გაიქცა ქართლს. დარჩა ბურთი და მოკლადანი მოქმედებისა ისევე თამარს. რომ უფრო სიძლიერე, გაგლენა და სახელი ჰქონოდა ხალხში, მან განიზრახა ლიპარიტ ჩიქვანის ქმრად შეერთვა. ისიც მის სურვილზე თანახმა გახდა: გააგდო თავისი კანონიერი ცოლი, რომლისაგანაც შვიდი შვილი ჰყვანდა და დაიწყო ქორწილისათვის მზადება. შეუთვალა თამარსაც მზად იყავი.

მაგრამ უგანასკნელმა კვლავ მოითმინა და თვითონ გაემგზავრა. მივიდა ოდიშს და ჩამოწმდა გიორგი მიქელაძის სახლში, რომელიც თამარის ბიძა იყო. მიქელაძემ უთხრა დის-წულს: «რად მიხვალ ოდიშს? ჩემი დის-წული ხარ, მოიტყადე ჩემთან და დაიბარე თვითონ ლიპარიტი აქ, დაიწერთ აქვე ჟვარი და მე გაჩაღებინებო ქორწილი თქვენი სკადრისაო.» დაუჯერა იმანაც სიტყვა თავის ბიძას. დაიბარეს ლიპარიტი. მოვიდა ის მიქელაძესთან ცოტაოდენის კაცითა, მაგრამ მიქელაძემ არ აღასრულა თამარის წადილი: მოვიდა თუ არა ჩიქვანისი, მაშინვე დაიჭირა იგი და უთხრა მრისხანებით: შენ უბრალო აზნაური ჩიქვანისი რა ისეთი დიდი კაცი გამხდარხარა, რომ დღეს ჩემს დას (?) განუტევე და სხვას ირთამო? ეხლავე თავს გაგაგდებინებ, თუ თამარს მიჩონს არა სცხებო!» შეშინდა ლიპარიტი და აღასრულა მისი ბრძანება.

მიქელაძეს ეგონა თამარ ჰატივსა სტემს მიჩონს და კვლავ გაბედავს ხათესაგობის დარღვევას ეკლესიის კანონის წი-

წინააღმდეგად; ამის შემდეგ თვით ლიბერტიც აღარ შეირთავს  
 მას ცოლათა; მაგრამ მოსტყუვდა: თამარ არ დასცხრა. ის  
 უფრო გაკაპასდა და გაანხხლდა. ახიჩა თავისი სიტყვა და  
 აღარ გადასთქვა. რაც ერთხელ დაიხვია ენაზე, მეტე უარი  
 აღარა სთქვა. შეუჩნდა ლიბერტს, დაატოკებინა კანონიერი  
 ცოლი და შეირთო ქმრად. «მიერიდგან უხმობდნენ თამარს  
 ოდიშის და იმერეთის დედოფლად.» დაიწყო მან მეუობა იმე-  
 რეთშიაც და სამეგრელოშიაც. მაგრამ ვაი იმ მეუობას! ცეცხლს  
 აწვიმებდა უკელაზე, ვინც მისი წინააღმდეგი იყო. უკელანი შე-  
 შინდნენ მისგან. სვიმონ მეფემ, მისმა გერმამ, არ იცო-  
 და მის შიშით საით გადაკარდნილიყო. ის თუმცა იმერეთის  
 მეფედ ისახულებოდა, მაგრამ თამარის შიშით გერათურს აკე-  
 თებდა სამეფოში. თავის უფლების გასაძლიერებლად და მომ-  
 ხრეების საშოვნელად იმან შეირთო გურიელის ქალი და თა-  
 მარის და ანუკა განუტევა. ეს იწუნა გაათრებულმა დედო-  
 ფელმა დაი მოაკვლევინა სვიმონ მეფე, როცა ის ცოლთან მწო-  
 ლარე ადგა და გამოვიდა გარეთ «ბუნებრივსა სამჭირნოსა ად-  
 გილსა.» დარჩა ახლა მას ხელში ბურთი და მოედანი მოქმე-  
 დებისა. თამარ შავარდენივით დასტრიალებდა იმერეთს თავს.  
 თავად-აზნაურობამ მართალია გურიელი გაამეფა სვიმონის სიკ-  
 ვდილის შემდეგ, მაგრამ ვაი იმ ყოფას, რა ყოფაშიაც გურიე-  
 ლი იყო. თამარის ხელში იყვნენ «სამეფო დაბანი და შემო-  
 საკალნი, და მის მოახლედ იყვნენ წარჩინებულთა ცოლნი, ძენი  
 და ასულნი.» გურიელს მხოლოდ სახელი მეუობისა ჰქონდა:  
 სახრავი კი თამარის ხელში იყო. რომ კელარს გააწყო-რს მის  
 წინააღმდეგ, გურიელმა დასტოვა იმერეთი და გაიქცა გურია-  
 შივე.

ამის შემდეგ ცოფიანმა თამარმა ახლა თავის ბიძის გი-

არგი მიქელაძისთვის მოიცა. იმას არ ავიწყებოდა ის სიბ-  
ცხვილი, რომელიც გიორგიმ მიაყენა, როცა მივიდა მას-  
თან სახლში ჩიქვანის ქმრად შესართავად. ჩამოემტერა მას  
ამ მიწეზით და იმდენი იმეცადინა, რომ გაგდო თავის სამ-  
ფლობელოდგან ქართლში და მისი მიწა-წყალი ჩიქვანებს უძლ-  
ვნა. მაგრამ ამ საქმემ თავათ იმასაც კეთილი არ დააყარა. ამის  
შემდეგ იმასა და იმის მამას გიორგი ახაშვიდეს დაუწყეს ყო-  
ველგნით მტრობა, გაუარძეს და ჩაუძწარეს სიცოცხლე. 1782  
წელს მოკვდა თამარ სენიოთა ბოროტითა.»

ჩვენ უკვე ვსთქვით ზემოთ, რომ ლიპარიტ ჩიქვანს  
ჭყვანდა «შვიდი შვილი მოწითულნი», როცა მან ცოლი განუ-  
ტევს და შეირთო მოუსვენარი და დაუდგრომელი თამარ. ამ  
შემთხვევამ მამასა და შვილებს შორის დაჭადა ურთიერთობა.  
შვილები აღარ დადგნენ მამასთან, გარდაიხეცნენ აქეთ-იქით და  
დაუწყეს მამას მტრობა, მაგრამ ვიდრე მათი დედი-ნაცვალი თა-  
მარ ცოცხალი იყო, შვილების მტრობას არა ჭქონდა ლიპა-  
რიტისთვის ცუდი შედეგი. ის რომ მოკვდა, მაშინ კი უფრო  
გამხსნელობენ მისი შვილები, განდევნეს მამა სამფლობელოდგან  
და თვითონ დაიჭირეს რდიში.

შვილებზე გაჯავრებულმა ლიპარიტმა თამარის სიკვდილის  
შემდეგ შეირთო მესამე ცოლი, ასული გურიელისა, აგრეთვე  
სახელად თამარ, და გაძლიერდა ისევ ცოლის მეხებით. ეს  
თამარ ღირსეული მოსახელე იყო პირველისა. ვითარცა პირვე-  
ლის მოადგილე, მეცადინეობდა ჭქონოდა იმერეთში ისეთივე გა-  
ჯენა და სახელი, როგორც პირველს. პირველსაკით მხნედ მოქ-  
მედებდა ქმრის სასარგებლოდ. მისის შემწეობით ლიპარიტი  
ძლიერდებოდა და ემუქრებოდა შვილებს.

ამ გარემოებამ შვილები შეაშინა და აფიქრებინა რომე-

ლიძე ხრიკით მამის დაჭერა. რამა შვილმა — ჯაჭიამ და ბუყანამ  
 იხმარეს მამის წინააღმდეგ მზაკვარება. «იხმარა ბუყან მზაკვარება  
 და ჭყურ ქათალიგოზი გრიგოლ შუამდგომელ მამისა თვისისა-  
 თანა და აღუთქვა ფიცით; რათა ზაკ-ჭყურს, იხილეს მამა თვი-  
 სი და დამოწმდეს მას.» ლიპარიტი დაენდო ქათალიგოზის  
 სიტყვას და ესტუმრა შვილს «მცირედითა მონითა.» ბუყანი  
 გულ-მხიარულად დაუხვდა მამას, გაუწია კარგი მასპინძლობა  
 იმ დღეს, შეიჭერა მამის გული, მაგრამ იმ ღამეს „შეიპურს  
 უოკელი მონანი მისნი», მერძე «მოჭვარა მამას იარაღი», და  
 დილა რომ გათენდა, «შეიპურს იგიცა და ვატიმარ ჭყურ ციხე-  
 ში; მერძე მოიყვანა დედა თვისი განტეკებული და მოუდგინა  
 გვერდით ქმარსაკე, და იუვენე ერთად ცოლ-ქმარნი დამწყვდე-  
 ულნი სიკვდილამდე.»

ამ სახით ლიპარიტი ჩამოეცალა ისტორიულ ასპარეზს;  
 მაგრამ ნაცვლად იმისა დაიწყო მოქმედება მისმა ცოლმა თა-  
 მარმა. ბუყანმა მამა რომ დამწყვდიან ციხეში, მაშინ ეს დედის  
 ნაცვალთა ახალ-ციხეს წავიდა. ამ დროს აქ იყო იმერეთის ტახ-  
 ტის შემკვიდრე გიორგი. ამას ცოლად ჭყურსა ქართლის მე-  
 თის ვახტანგ მეექვსის ნათესავი; მაგრამ განუტევა კახიანი  
 ცოლი და შეირთო ჩიქვანის ნაცოლარნი თამარ. 1720 წელს  
 ეს გიორგიც მოკვდა და დარჩა ერთი შვილი სახელად ალექ-  
 სანდრე, რომელიც იზრდებოდა ქართლში.

თამარ დარჩა ახლა უპატრონოდ. მისი სული და გული  
 შფოთავდა და ბრძნდებოდა იმათზე, ვინც მას ქმრები დაუ-  
 ხარცა. უკვლავზე მომეტებულად ის იყო გაბოროტებული ბუყან-  
 ზე, რომელიც პირველად იწოდა დადიანად, ნაცვლად ჩიქვანი-  
 სს. მას უკვლასთვის ამ დროს მხოლოდ ავი და ბოროტი ეწა-  
 და. იმდენს ეცადა, რომ გადაიბიჩა თავისკენ გაბრიელ ჭყურ-

დიდელი. ორივენი ერთად მივიდნენ აწმრუმის ქალაქში, მის-  
ცეს თუშას ქრთამი და იხილეს ბეჟან დადიანზე. საჩივარი იმა-  
ში მდგომარეობდა, რომ ბეჟანმა ახალ-ციხის თუშას ისაყს დი-  
დი ქრთამები მისცა, იმანაც მოიყვანა ქართლიდამ ალექსანდრე  
და გაამეფა იმერეთში; მაგრამ მეფეს არავითარი განგარგუ-  
ლების მოხდენა არ შეუძლიან სამეფოში: ის ტყვესავითა  
ჭყავს დადიანს, და უკვლავ ამ საქმეებში დამნაშავე არის ისაყ-  
თაშა, რომელმაც დადიანისგან დიდი ქრთამები მიიღო: სი-  
მისთვის ისაყ-თაშა დაიბარეს აწმრუმში და დიდი ბოროტუ-  
ბა, უსამართლობა და უბატონობა შეამთხვიეს მას თამარის სიტ-  
ყვით.

ეს ამბავს შეიტყო ბეჟან დადიანმა და მიჰხვდა, რომ ეს  
ოინები თამარმა მის საუბედუროდ ჰქვასხდენად ჩაიღინა. იმან  
მოილაშავეს ალექსანდრე მეფესთან... გაუგზავნეს ამანაც თა-  
ვიანთ მხრით აწმრუმის თუშას დიდი ქრთამები ჰსთხოვეს ისაყ-  
თაშის გამართლება. ჯილდომ ჯოჯოხეთი გახანთა და ისაყი  
გამართლეს.

ამის გამომართლებიერ შეიტყვალა: დაიჭირეს ტყუილად ჩი-  
ვილისთვის თამარ და ჭყონდიდელი, რომელნიც ამას წინად  
დღესასწაულობდნენ თავიანთ გამარჯვებას. ისაყ-თაშა გამოიყვან-  
ნეს საპყრობილიდგან, მისცეს ხელთ თამარ და ჭყონდიდელი  
და გამოგზავნეს იმერეთში. მან მოიყვანა ისინი გათავისუფლები  
და გადასცა ბეჟან დადიანს, რომელმაც თამარ დაამწყვდია დეხ-  
ვირის ციხეში, მორჩეს კი ჩამოართო ჭყონდიდლობა და გა-  
ხუტევა, რადგან სასულიერო პირი იყო. ამით მან პატივი-სცა  
ეკლესიას.

როგორც ეტყობა მემატიანის ლაშავეს, დიდ ხანს არ  
უოფილა ტუსად თამარიცა. ის განუთავისუფლებიათ, მაგრამ

შინც კიდევ არ მოუსვენია. იმას ეწადა ტახტიდგან ალექსანდრეს გადაყენება და თავის მცირე-წლოვანის შვილის გამეფება. ამ საქმეში ჭეშქვლედიან ბეყან დადიანი, რაჭის ერისთავი და ზუგდიდის აბაშიძე. ესენი იმისათვის მიემხრნენ თამარს, რომ ალექსანდრე ახლას ისე გაძლიერდა, რომ აღარავისი ეშინოდა ჭეშქვლედიანს უბღკროდა. ამით ყველამ განუცხადეს მეფეს თავისი მტრობა. მაშინ «ალექსანდრემ მოიყვანა დედის-ნაცვალი თამარ, აბრალა მას ყოველი ყოფილნი, შეიპყრა და მოჭკვეთა თავი»<sup>1)</sup>.

ამით დასრულდა თამარის უღვთო ცხოვრება. დაიწესა ახალი მოქმედება სხვა ქალებმა. ისინი ბურჯბასკით ირეკიან, ყოველ საქმეში მონაწილეობას იღებენ და თავისებურად ტრიალებენ. მეფეები, დადიანები, რაჭის ერისთავები—ყველანი იმათის შემწეობით მოქმედებენ და იკლებენ ერთმანერთს. ერთის სიტყვით ქალები ისე ძლიერნი არიან თავიანთ გავლენით ხალხში, რომ მათ შეუძლიანთ, მთავარი გადაყენონ ტახტიდგან და მის ნაცვლად სხვა გაამთავრონ. მაგალითად 1717 წელს დედა ელენე გაუწერა რადაცაზე შვილს გიორგი გურიელს, „მოიყვანა მონოზონ ყოფილი ძე თავისი, გაკრიჭა, უწოდა ქაინოსრო და დასვა გურიელად.“<sup>2)</sup>.

ეს საქმეები ელენემ შეასრულა ბეყან დადიანისა, გურიის ერისთავისა, ნაკაშიძისა და ზუგდიდის აბაშიძის შემწეობით, რომელნიც მან ქრთამით მიიძხრო. მაგრამ ამ საქმეს თან დიდი განხეთქილება მოჰყვა. ასტყდა უსიამოვნება, ურთი-ერთ შორის სამდურავი და მტრობა. ყლიტეს ერთმანერთი ელენეს მომხრეებმა და გიორგის თარაფმა. გამარჯვებისათვის ისინი ნა-

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. 229—236.

<sup>2)</sup> იხ. იქვე გვ. 227.



თესავეებს ცოლებს აწმეკდნენ და სხვაზე ათხოვებდნენ. მაგალითად ბუყან დადიანმა წაართვა კანონიერი ცოლი ბაკა ჩიქვანსა და შერთო ზურაბ აბაშიძის შვილს დავითს. ამავე დადიანს სთხოვა გიორგი გურიელმა, წაართვი შენი ასული ნაკაშიძეს, რომელიც ჩემი ძეგრი არის, და მე მომეცი ცოლად. ის თანახმა გახდა. მაშინ გურიელმა გააგდო თავისი კანონიერი ცოლი, შარვაშიძის ქალი, და შეირთო ნაკაშიძის ცოლი. ამ მოყვრობამ გურიელი და დადიანი შეარბია. შერიგების ქალაქი დაიწერა ქალის მკერდით. ამის თანა სჩქმეები ამ დროს არა ერთი და ორი მოჭხდა. ვისაც უნდოდა ვისმესთან შერიგება, პირობის ქალაქის დაწერა არ იყო საჭირო. პირობის და შერიგების ქალაქის ნაცვლად შუაში შემოდოდა ქალი, რომელიც ამოყვრებდა გადამტყრებულ პირთ. ქალი ხდებოდა ხიდათ, რომელზედაც ერთობა, მეგობრობა და სიყვარული დაიარსებოდა.

როცა საჭიროება მოითხოვდა, ამ დროს, ქალები ხმალსაც იღებდნენ ხელში. ასე მოიქცა ზაზუნა წერეთლის ცოლი. იმან დიდი მხნეობა და ვაჟ-გაგობა გამოიჩინა. 1735 წელს ალექსანდრე მეფემ ლაღატობით მოჭკლა მისი ქმარი ზაზუნა და განიზრახა მოდი-მნახეს ციხის დატყვაც; მაგრამ ზაზუნას ცოლმა არ დაანება მეფეს. იგი შევიდა ციხეში, გაამაგრა და დაუწყო გაშმაგებულად ისეთი სასტიკი ბრძოლა, რომ მეფე იძულებული შეიქმნა ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

ამავე დროს დიდი ვაჟ-გაგობა, ერთგულება და გულ-შემატკივრობა სამშობლო ქვეყნისადმი გამოიჩინა მაჭავარიანის ქალმა. რადგან ძალიან შეწუხდა და აოხრდა იმერეთი ზურაბ აბაშიძისაგან, ამ (?) ქალმა განიზრახა ქვეყნის ამრევთ დასჯა. ერთ ღამეს იგი თავს დაესხა ზურაბს და ანაზღად დაიჭირა ცი-

ზე სვერი, წაართვა ხაზინა, რომლის ძალითაც იგი მოქმედებდა და გააგდო შვილიანად ქართლში. მერმე მიიწვია მან მეფე ალექსანდრე და გადასცა მას ციხე და სამოღობულო. ეს ამბავი მოხდა 1744 წელს<sup>1)</sup>.

ამ ქალის (?) მოქმედების აღწერით ქართლის ცხოვრება უნებლიედ მოადგამს გვირგვინს იმ გვარ ქალების ღვაწლს, რომელთაც სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობა ეწადათ. ბორცო-მოქმედება თუ სრულიად არ მარცხდება მაჭავარიანის ქალის მეცადინეობით, ჯერ-ჯერობით გამარჯვება მაინც კეთილგანწყობას რჩება. ერთობისა და ქვეყნის კეთილ-დღეობის სურვილი იმარჯვებს ქალის ბუნებაში. ბორცოებს განიდევნება ქალის სიქველისაგან და მემატიანეც კარგად ჩადის, რომ ამით ასრულებს იმერეთის ცხოვრებისა და ხანგრძლივის ბრძოლის აღწერას.

სოლო ჩით და ან როგორ გათავდა ქალების მოქმედება ქართლ-კახეთში, — ამას კიდევ ამ სურათების გაგრძელება შეგვატყობინებს.

მლ. დ. მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 236.

სინა უიზნილა ბატონილი.

(შემდეგი \*).

თავი მეშვიდე.

მოჩვენება.

ამაღიამ წინ და-წინვე მოახდინა განკარგულება, რომ სახ-  
ლიდამ გარეთ სინათლე არ გამოსულიყო. იმ კარებისა და ფან-  
ჯრების გარდა, რომელნიც წულისკენ იუყრებოდნენ, დანარჩენი  
უკელა ჩაკეტეს.

ზაღაში ლუიზა მიეგება თავის ქალ-ბატონს, მერე შედ-  
რატ გამოჩნდა, რომელსაც უნდოდა დაწმუნებულიყო, რომ  
თავის პოლიკოვნიკის ქალი უკნებლად დაბრუნდა.

— დანიელ არ მოსულა?

— ჯერ არა, ქალ-ბატონო, ედუარდოს შემდეგ არავინ არ  
მოსულა.

ამ დროს შედრამ გაიხედა თავის ბნელის ოთახის ფან-  
ჯრიდამ გზისაკენ და სთქვა:

— მოდიან, ქალ-ბატონო, დანიელ და ფერდინი.

— დიდება ღმერთს... ცხენებს უური უბდე.

\*) «ივერია» № 10, 1882 წ.

— დანიელ ჩვენი მოვარკული ანგელაზია, ედუარდო.

— დანიელისთანა კაცი მეორე აღარ არის ქვეყანაზედ! სთქვა უმაწვილმა კაცმა ამხარტავნებით.

დანიელ შემოვიდა თავის ამალიას ზაღაში მხიარული, როგორც ყოველთვის. ტანზე მოკლე მანტია ეცვა, რომელიც მარტო მუხლებამდის სწკდებოდა.

— რა! უმანკო მტრედებს ჯერ სადილი არ უჭამიათ!... სთქვა დანიელმა კარებშივე და დაუკრა თავი ამალიას, ედუარდოს და გაშლილ სუფრას, რომელიც სამისთვის იყო მომზადებული.

— შენ გელოდით, უთხრა ღიმილით უმაწვილმა ქალმა.

— მე?!..

— კგონებ შენ გელაზარაკებთან, ბატონო დონ დანიელ! უთხრა ედუარდომ.

— დიდად გმადლობთ, თქვენისთანა მოსიყვარულე გულის ხალხი ჯერ არ მინახავს. ვინ იცის რა რიგად გწყინდათ ჩემი ჯოღანი. მაინც მოწყენილება იქნებოდათ!!...

— დიად, ცოტათი, მიუგო ედუარდომ.

— მე კი არ ვიცი! თქვენ ყოველთვის მოწყენილნი ხართ, როცა მარტო რჩებით. — ჰედრო!

— რა გნებავთ?

— ჰური გვაჭამე, ჰედრო, უბძანა დანიელმა, მოიხადა მანტია, მოუჯდა სტოლს და დაისხა ღვინო.

— ეგ უზღველობა მოგდით, ბატონო: მასხინძელზედ აღარე თქვენს ჯდებით სუფრაზედ.

— ეჰ, ბატონო ბელგრანო, რა გუერთ, მეც უზღველი ფედერალი ვარ. როგორც წმინდა ფედერაციის დაუკითხავად ჩამოგვესახლა, ისე მეც დაუკითხავად ვჯდები სუფრაზედ.

ამაღია და ედუარდოც დასხდნენ სუფრაზედ ღამის მეცხრე საათზედ.

— ეს ჩვენი სადღეგრძელო იუოს; სთქვეს ამაღიამ და ედუარდომ და მიახალეს დანიელის სტაქანს სტაქნები.

— შენ ტუჩები ანც კი დაისკედე, ამაღია, და მე და ედუარდომ კი სტაქნები დავცალეთ. კარგადაცა ვქენით, ამისთვის რომ ღვინო ვაცს ამაგრებს, ჩვენ ამაღამ კარგა მანძილი უნდა გაკვიროთ.

— თუქნი არ არის, თუ აქამდის არა დაგკმაკებია-რა, ანც ეხლა დაგკმაკდება, სთქვა ედუარდომ.

— არა, ჩემო მეგობარო, არა. რაზასის მონები თითო-თითოდ არ დადიან, ექვს-ექვსმა ვაძმა ერთად იცის ხელმე სიარული...

— მეჩე, ჩვენ რომ სამის ქმეტი არა ვართ...

— მართალია სამნი ვართ, ჩემო ამაღია, მაგრამ იმათი მცდი ვაძვირებ, თუ საქმე გაჭირდა.

— მაინცა და მაინც იმათთან ჩხუბს მხეჩიდეთ, პირუბას მადლეკოთ თუ არა?

— მე ჩემის მხრით გაძლევი, თუ ედუარდო ძალათი არ გადიკიდებს მათთან ჩხუბს. მიკვირს რატომ არ ეზარება ამას იარაღის ტარება, სთქვა დანიელმა.

— მე საიდუმლო იარაღს არ ვატარებ, მიუგო ედუარდომ.

— რაც გინდა სთქვი და ის კი სჯობიან შენს იარაღს.

— მართლა, დანიელ, აბა ერთი მაჩვენე შენი იარაღი, რომელსაც ასე აქება.

დანიელმა ამოიღო ჯიბიდან და აჩვენა ამაღიას ის იარაღი, რომლითაც ედუარდო სიკვდილს გადაარჩინა. ამ იარაღს ჭრანტუზულად თავის საჩხები ეწვევა.

— ეხლა კი დროა წასვლისა, თერთმეტის ნახევარია, სთქვა დანიელმა.

უკვლანი წამოდგნენ.

— ამალია, ახა ერთი ჩვენი ტანისამოსი და იარაღი გაძიგვიტანე.

ამალია გავიდა სხვა ოთახში. ეს ოთახი მთვარის შუქით იყო განათებული.

როდესაც დანიელ და ედუარდო წაღებულად ლაპარაკობდნენ, უცრად ამალიას კვილისა და ფეხის ხმა მოისმა.

უმაწვილი კაცები გაქანნენ იმ ოთახისკენ, მაგრამ ამალია შეხვდათ წინა და შეახერხა.

— რა არის? რა მოხდა? ჭკითხეს ორივე მეგობრებმა.

— არაფერი... მაგრამ ნუ წახვალთ. ამლამ ნუ წახვალთ, მიუგო შიშისგან გაუკითხებულმა ამალიამ.

— თუ ღმერთი გწამს, გკითხარი, რა იყო? ჭკითხა დანიელმა. ედუარდო კი ცდილობდა ბნელს ოთახში შესვლას, მაგრამ ამალია არ უშვებდა.

— ეხლავე გატყუით, ეხლავე, ოღონდ კი იქ ნუ შეხვალთ.

— განა იქ არის ვინმე?

— არა, არავინ არის.

— მაშ რას ნიშნავს შენი ყვირილი, ამალია, და რათა ხარ ასე შეშინებული?

— მე დავინახე კაცი, რომელიც ღუიზას ოთახის ფანჯარაში იყურებოდა. მე ჯერ ვეძრო მეგონა, მაგრამ როცა ფანჯარას მოშორდა და მთვარის შუქი მიაღვა—ვიცანი, ვინც იყო.

— ვინ იყო, ამალია? ჭკითხეს ორივემ.

— მარინო.

— მარინო! დაიუვირა დანიელმა.

— დიად, ის იყო. გული ვეღარ შევიძარგე და დავიუვირე.

— უოკელმავე ჩვენმა ცდამ და შრომამ ამაოდ ჩაიარა. სთქვა ედუარდომ.

— ის უეჭველად მე მადეკნებდა თვალ-ყურს, როდესაც არანასგან გამოვედი, წარმოსთქვა ჩათვიქრებით დანიელმა.

მერე უმაწვილმა კაცმა მიიხედა კარებისკენ და პედროს დაუძახა, რომელმაც ის იყო სუფრას ააღაგა და გაკიდა.

— პედრო, თუკმინი სად იყო მამინ, როდესაც ჩვენ პურსა უსჭამდით.

— თუკმინს სამზარეულოდამ თუხი არ მოუტკლას.

— ან იმას, ან შენ არათუკრი დაგინახავთ ან გზავნედ, ან სახლის ახლოს.

— არათუკრი, ბატონო.

— ვიღაც კაცი ლუიზას ოთახის თანჯარასთან დიდ ხანს მდგარა და ყურს გვიგდებდა თურმე. — სალდათი შეთვიქრინდა.

— მამ შენ არათუკრი გაგიგია, პედრო. ამას იქით გაუთხილდი. თუკმინს დამიძახე აქა და შენ კიდევ ის ცხენი შეკმაზე, რომელითაც თუკმინი მოვიდა.

პედრო გაკიდა ჩუმად და იმავე წამს დანიელის მოსამსახურე შემოვიდა.

— თუკმინ, მე მინდა შევიტყო, აიბ ხეების ქვეშ ხომ კაცები არ არიან, და თუ იქ არ არიან, მამინ მინდა ვიცოდეს საით წავიდნენ და რამდენნი არიან. თუ რომ აქედამ წასულან, ჩვენ შეგვიძლიან ხუთს წამში დავეწიოთ მათ.

თუკმინი წავიდა. იმავე წამს დანიელ, ამალია და ედუარდო შევიდნენ ლუიზას ოთახში და იქილამ გასტკეროდნენ გზას, რომელზედაც თუკმინი მიაქროლებდა ცხენსა. სამივემ კარგა ხანს ილაპარაკეს ლუიზას ოთახში და შემდეგ წაღასივე

დაბრუნდენ. ათს წამს არ გაუკლავ, რომ თუკინმაც შეაღწა  
შაღის კარები და შევიდა.

— დიაღ, იქ მიდიან, ბატონო, სთქვას თუკინმა.

— რამდენნი არიან?

— სამნი.

— რომელს გზავნენ?

— ზემოთავად.

— ცხენებიც დაინახე?

— დიაღ, ბატონო.

— იმ ცხენებში ერთ-ერთს მაინც არ იცნობ?

— ვიცნობ, ბატონო.

— რომელს?

— შავ ცხენს, რომელზედაც მარინო ზის.

ამაღიამ განცვიფრებით შეხედა ედუარდოს და და-  
ნიელს.

— კარგი, ცხენები წყლის ნაპირზე ჩაიყვანე.

— განა მიდიხარ? ჭკითხა ამაღიამ.

— ამ წუთაშივე, მიუგო დანიელმა.

— ამაღიას მარტო ხომ ვერ დავაგდებთ, დანიელ.

— თუკინი დაჩხება აქა; ისა და ზედრო უგდებენ უუჩსა.  
მე ამაღამ მოდარაჯე გენერალს თან უნდა ვდიო, შენ კი ჩე-  
მის სახლის ბანზედ გაატარებ ღამეს.

— ღმერთო ჩემო, მაგას რაებს ამბობთ! შეჭკივლა ამაღიამ  
და წაიკლა თავში ხელი.

— დიაღ, ჩემო ცქრიალაკ, კიდევ ახალი განსაცდელი მოგ-  
ველის; ამ სახლში ჩვენ კელარ დაკრებით, სხვა სახლი უნდა  
მოვნახოთ.

— წავიდეთ, დანიელ, წავიდეთ, სთქვას ედუარდომ ისეთის



სისწრაფით, რომ ამაღლია თითქოს მიხვდა იმის აზრს, დაუჭირა ხელები და უთხრა:

— ჩემის გულსათვის, ედუარდო, ჩემის გულსათვის...

ამაღლია ისეთის კედლებით წარმოსთქვა ეს სიტყვები და ისეთის გრძნობით, რომ ედუარდომ პირველად მოაჩინა მას თვალი, რომ იმის სიბრძნე არ შეეტყო ამაღლიას.

— ნუ გეშინიან, ჩემო ამაღლია, ყველაფერი მე მომანდო, უთხრა დანიელმა და აგოცა თავზე, როგორც ჩვეულება ჰქონდა უკუკლთვის, როდესაც კი შოკდებოდა ამ მშვენიერს, დიდ სუფოვანს, მაგრამ უბედურს ქმნილებას.

სამნივ ერთმანერთს ჩუმად გაშოკდნენ, ყველა თავ-თავისთვის ჭთუჭრებდა. ამაღლიას მათი წასვლა ძლიერ ეძძიებოდა. ედუარდოს ის აწუხებდა, რომ რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენი უფრო შოკდებოდა მათ; დანიელ კიდევ იმაზედ სწუხდა, რომ არ შეეძლო რაღაც გაყოფილიყო: აქ ცარიელს სახლში ამაღლია დაეთარა და ქალაქში კიდევ ედუარდო.

უმაწვილი კაცები შესდნენ ცხენებზედ, ფერმინს კი უბანეს დაჩინილიყო ამაღლიასთან დილის ექვს საათამდის.

გააჭენეს ცხენები, ამაღლია კი მათ თვალს ადევნებდა. როდესაც იგინი მიუთარნენ, ამაღლიამ ზეცისადმი აღაპურა დიდ-რინი შავი თვალები.

თავი მერვე.

მასზედ, თუ რამ გააოცა მარინო.

— ტყუილი შრომაა ედუარდო: ტყუილად ცხენებს დავლა-ლაკო და შენს გულს წადილს მაინც ვერ აასრულებ.

- ვითომ იცო, წატყეობინდა?
- ვიცო.
- ახა რა?... მინდა, რომელიმე პირობაზე ვინა...
- მაჩინოს მთქვენა. მთელი მთელი მთელი მთელი...
- გამოცან.
- ეგ არ შეიძლება.
- ვითომ?!
- რასაკვირველია, არ შეიძლება, ამისთვისაც წინააღმდეგობა არ გიხდები.
- აი ნახავ, მოკეწევი თუ არა.
- ის რცის წამით ადრე წავიდა წინა.
- ბევრი არაფერი.
- სკამა.
- ჩვენ აგერ ათი წამია მოკვდივართ.
- რა იქნება თუ გინდ კიდევ მოკეწიართ.
- მაშინ მე იმას ვახკენებ...
- რაგონ?
- დაუწყებ ჩხუბსა და ამარბაში ხანჯლით გამოკვამყამ.
- საუცხლო არიან!...
- თუ საუცხლო არა, კარგად გამოკვირე მანც არის.
- ვკლნებ დაგაკვიწყდა, რამ ისინი რთხნი არიან.
- თუ გინდ ხუთნი იყვნენ; მე კი ვიცო, რამ სამის მეტნი არ არიან: ისა და რცის სალდათი.
- არა, რთხია: მაჩინო, რცის სალდათი და მე.
- შენა? ჩემს წინააღმდეგ?... მთელი მთელი მთელი...
- დიალ, შენს წინააღმდეგ.
- გამაღობთ;
- ასე ლაპარაკობდენ უმწიკლი კაცები და თან ცხენებს მი-

აქროლებდნენ. დანიელს არ უნდოდა, რომ დასწყოდნენ მარინოს, რადგანაც იცოდა, რომ ედუარდო უსათუოდ აუტყენავდა რასმეს მარინოს. ამ დროს გზაზედ, გამოჩნდა ორი ცხენოსანი მგზავრი და დანიელმაც ეს ამბავი გამოიყენა.

— აგერ, შეხედე, ედუარდო... აგერ სამი კაცი მიდის მარჯვნივ... ორმოცდაათ საყენზედ... ჰხედავ?

— ვხედავ, მაგრამ ისინი ორნი სჩანან.

— არა, მე სამნი დავინახე; მესამე არა სჩანს, რადგანაც სხვა ცხენოსნებს აფარია.

ედუარდო მაშინვე იმთვენი გაეჭანა, დანიელიც თან გაჰყვა. ამით დანიელმა დააკრგვინა დრო, რომ მარინოს დასწყოდა.

მგზავრებმა რომ დაინახეს ეს ორი უმაწკილი კაცი, მაშინვე შედგნენ. ედუარდომ დაინახა, რომ ისინი არ იყვნენ, რომელთა მოწვევასაც ცდილობდა. გაიგო ისიც რომ ეს სულ დანიელის ეშმაკობა იყო.

ედუარდომ მსწრაფად გამოაბრუნა ცხენი და წავიდა პირდაპირ გზაზედ, საითკენაც მარინო წასულიყო. დანიელიც აღარ ეწინააღმდეგებოდა ედუარდოს, რადგანაც იცოდა, რომ ეს იმთვენი დაეწყოდა.

მეგობრები მიაჭენებდნენ ცხენებს, მაგრამ ამ დროს უეცრად მოისმა გუშაგის ხმა: «ვინ მოდის!» ისინი მისულიყვნენ იქ, სადაც რეზასის ჯარი იყო დაბანაკებული.

— დიდება ღმერთს, მოკვდით! მიუგო დანიელმა და შეაყენა თავისი ცხენი, ედუარდოს ცხენსაც მოსწია ადვილი და გააჩერა.

— ვინა ხართ? განაგრძო გუშაგმა.

— პატრონისანი თუდოქალები, მიუგო დანიელმა.

— მამ გაიარეთ.

ედუარდოს ის იყო ცხენი უნდა გაეჭენებინა, რომ ვიდამც მალაღის ხმით დაუყვირა:

— დადექით!...

ყმაწვილი კაცები შედგნენ.

სამი სალდათი გადუღვა ჩვენს მგზავრებს წინა და დაუწყეს დათვალიერება. ამ დროს მათ სხვებიც მოემატნენ.

— რად შეაყენე ჩვენი ცხენები, გენერალო, წარმოსთქვა დანიელმა აუჩქარებლად და დამშვიდებულის ხმით; ეხლა დანიელმა იცნო გენერალი მანსილი, რომელიც დაჩაჯად იყო აქა.

— თქვენ... თქვენა ხართ აქა, ბელო? გაუკვირდა გენერალს.

— დიაღ, ბატონო, მე გახლავართ, ცხენი სიწმილით მოკვანი და ვერ ვი დაგეწიეთ, თქვენი ნახვა ვი ძლიერ მიხდოდა. რაც უნდა იყოს, თქვენი ცხენი უნდა მაჩუქოთ, რადგანაც თქვენს დევნაში ჩემი ცხენი თითქმის დამიკარდა.

— თქვენ ავი თერთმეტ საათზედ შინ წასვლა გინდოდათ, მეც აქეთ მეთორმეტე საათის თერთმეტ წამზედ გამოვედი ქალაქიდან.

— მაშ მე ვყოფილვარ დამნაშავე.

— რასაკვირველია.

— მაშ ცხენს ალარა გთხოვთ.

— დიაღაც!...

— ახალი ამბავი რა არის, გენერალო.

— ვგონებ, არათუ არი.

— მე ავი გთხოვეთ წაგეყვანეთ და გეჩვენებინათ ჩემთვის ჩვენი სალდათები.

— მე ეს-ეს არის რეტირდამ დავიწეე და ჩვენ უკვლა დანაჩენის ჯარების ნახვა მოგვინდება.

— ეხლა სად მიდიხართ?

- ციხეში.
  - იქ უკუვლას ეძინება,...
  - არა, უკუვლას არ ეძინება.
  - უფრო კარგი; ეხლა რომელს გზავნის წახვალთ, გენერალ?
  - ქვემოთაზვად, ამისთვის, რომ იქ ზარბაზნებიც მინდა გაკვირვდეს.
  - კარგი, მაშ რეც ციხესთან დაგხვდებით.
  - მერე იქიდან ერთად წახვალთ.
  - არა, გენერალ, მე ჯერ ეს ჩემი ამხანაგი ქალაქში უნდა წავიყვანო; ამასაც ჩვენთან უნდა წამოსვლა, მაგრამ უნდა რად ავად გახდა...
  - ღმერთმანი ეხლანდელი ემაწვილები ცალ-ოგულად არა დიან... დედა-კაცები არიან!..
  - მეც კი არ გითხარი დღეს დილით?
  - ცოტა სიტყვი უყოფათ, რომ ავად გახდნენ... მაშ, ახა წადი და ციხესთან მომიცადე; იქ ვიკახშირთ.
  - ამ ერთს წამს იქ ვიქნები, გენერალ.
  - მოგელოთ.
- ათის წამის შემდეგ დანიელმა გააღო თავის სახლის კარები და შეიყვანა თავის მეგობარი, ცოტა ხნის შემდეგ თვითონ გამოვიდა და გამოიკეტა კარები. იგი თავის ქუჩის ცხენზედ შეჯდა.
- დანიელ წავიდა იმ ციხესთან, სადაც გენერალი მანსილი უნდა ყოფილიყო; მართლაც იქ დახვდა გენერალი. ჯერ მიესალმნენ ერთმანეთს და მერე დაიწყო გენერალმა ყარაულების დათვალიერება.
- ყარაულების უფროსად მარინო იყო დანიშნული და კერ

წამოიღებოდა, როგორ გაუკვირდა, როდესაც დანიელ დაინახა გენერალთან. მარინოს აზრით დანიელ ეხლა ცარიელს სახლში უნდა ყოფილიყო.

დანიელმაც არ იცოდა, თუ დღეს უაზრულების უფროსად მარინო იქნებოდა, მაგრამ სასურვედ მაინც აზრითაჩი გაკვირვებას არ შეეცოდა. დანიელმა კი შეატყუო მარინოს გაოცება და ამისათვის უთხრა გენერალს მანსილიას.

— აი რა არის ნამდვილი სამსახური, გენერალე, მარინოს კალმისთვის თავი დაუხეებია და ხმალი აუღია ხელში.

— დღეს ამას თხოულობს ჩემი სამსახური, ბატონო ბელე, მიუგო გაკვირვებულმა მარინომ.

— აქ არავისა გუბინას, ყველანი ოსიზღადა ვართ.

— საუბედუროდ სხვაგან აგრე ოსიზღად არ არიან, დაურთო დანიელმა და სწულიად გადაჩია მარინო, რომელიც თქვითობდა, რომ თუ დანიელ გენერალს დასდევდა, მაშინ დაცარიელებულს სახლში ნანახი ხალხი დანიელ და ამალა არ იქნებოდნენ. მარინომ კვლავ მართმინა და ჭკითხა დანიელს:

— დღეს თქვენ ცხენით არსად გაგისუიჩნიათ?

— როგორ არა.

— ჭოო!...

— შვიდ საათამდის გუბერნატორის მოადგილესთან ვიყავი, მეჩე, ვიდრე გენერალს მანსილიას შევხვდებოდი, ცოტა გაგისუიჩნე. ჩემზე წინ გზაზე ვილაც უცნობი კაცი მიდიოდა ცხენით.

— შენს წინ?

— დიაღ, ჩემს წინ, ზემოთ გზაზე, მიუგო დანიელმა.

— რას ვიზამთ? განაგრძო დანიელმა, — ჩვენ საწყლებს ერთის წამის მოსკვირებაც არა გვაქვს.

— მარტალს ბძანებთ.

— ნეტა რადის ჩამოკარდება მშვიდობიანობა, რადის გამარჯვებენ წმინდა თედორეაღური აზრები, რომელთაც თქვენ გულ-მოდგინედ ჭქადაგობთ გაზეთში!..

— რადესაც აღარც ერთი უნიტარი აღარ იქნება.

— აი დღეს სწორედ ამასვე კელაზარაკებოდი ბატონ გუბერნატორის მოადგილეს.

ამ დროს მოვიდა გენერალ მანსილიას ადოუტანტი ბელლას და მარინოს დასახმარებლად.

ესენი შინ შევიდნენ.

სტოლის გარშემო თორმეტი თუ თოთხმეტი კაცი იდგა თუბრედ და გენერალთან ერთად სუამდენ ღვინოს. მაგრამ საკუთრული ის იყო, რომ თედორეაღიის სადღეგრძელოს წაყინა სუამდა.

— თქვენ რაღა გნებავთ, ბელა? ჭკითხა გენერალმა მანსილიამ.

— საჭმელი კი არაფერი, მაგრამ თედორეაღიის სადღეგრძელოს კი დაკლევ.

— გუბერნატორის სადღეგრძელოსაც, დასძინა მანსილიამ. უკვლამ დალიეს სადღეგრძელო.

— ბატონო მარინო!

— თქვენი მონა და მოსამსახურე გახლავართ, გენერალო, მიუგო მარინომ და მივიდა მანსილიასთან, რომელმაც უურში უჩურჩულა:

— უბძანე ხალხს, რომ დაიძინონ; ეს დიდ ხანს გაგძელებს და ისინი ჩილასთვის იყვნენ ზეზე.

— ხიდრე ავიღოთ?

— რა საჭიროა.

— თქვენა გგონიათ, გენერალ, რომ ამაღამ ანათუერი ამბავი იქნება?

— სრულად ანათუერი.

— კიდევ მიბძანდებით?

— დიაღ, სხვა ჯარებსაც დაკათვალეოებ და მერე მეც დაკობინებ.

— თქვენ კარგი თანა-მგზავრი გყავთ.

— ვინა?

— ბეჯა.

— მართაჯს ამბობ, ეს უმაწვილი კაცი სწორედ განძია, განძი.

— რაგორ, გენერალ.

— არ ვიცი რაგორა, თუ დათუერილი სპილენძი, მაგრამ ძლიერი კი ბრწყინავს, სთქვა მანსილიამ, გაიღიმა და ჩამოართვა მარინოს ხელი.

უკუღანი კიბეზედ ჩაკიდნენ, და მაშინ, რადესაც მანსილია წავიდა ცხენზე შესაჯდომად, დანიული მივიდა მარინოსთან და უთხრა:

— სწორედ შესაშური თანამდებობა გიჭირავთ, ბატონო მარინო, ნეტა რა იქნება მეც კვრეთი ალაგი მქონდეს, რომ ჩემი ერთგულება დავამტკიცო.

— თქვენც გინდათ იმ უსიამოვნობაში იყოთ, რა უსიამოვნობაშია ც მე ვარ ფედერაციის გულისათვის.

— დიდის სიხარულით... თვით ცილის-წამებასაც კი ავიტანდი.

— რაგორ თუ ცილის-წამებას?

— აი აქვე ჩამდინიძე პირი ჭკიცხავდა თქვენს უფა-ქცევას.

— ჩემს უფა-ქცევას.



— ამბობდენ, ვითომც თქვენ ცისკში ღამის თერთმეტ საათზედ მოსულხართ, და საღამოს შვიდ საათზედ კი უნდა მოსულიყავით.

მარინო ყურებადის გაწითლდა.

— ეგ კინ გითხრა, ბატონო ბელო? ჭკითხა აღეკვებულმა მარინომ.

— მაგას კი ვერ გეტყვით, ბატონო მარინო. თქვენ ხომ იცით, რომ ქვეყანა სავსეა სიცრუითა, და ძლიერ ცუდი იქნებოდა, რომ ეს კანონების აღმადგინებელსაც გაეკო.

მარინო გაუკითლდა.

— სიცრუეა. სთქვა იმან.

— ჩასაკვირველია, ეს მხოლოდ სიცრუეა და სხვა არაფერი.

— მაგრამ მაინც გთხოვთ ეგ აღაწავის უთხრათ, ბატონო ბელო.

— პატროსანს სიტყვას გაძლეკთ, ბატონო მარინო. მე იმ გაცებს ვეკუთვნი, რომელნიც პატროსას სტემენ თქვენს ნიჭიერებას. ამასთანავე მე ძლიერ მადლიერი ვარ თქვენი იმ მფარველობისათვის, რომელიც გსურდათ გაგეწიათ ჩემის ბიძა-შვილის ამადიასთვის.

— ხომ კარგად არის თქვენი ბიძა-შვილი?

— მადლობა ღმერთს, კარგად არის.

— ხომ არ გინახავთ ამ ცოტას ხანში?

— დღეს საღამოზედ ვიყავ იმასთან.

— მე შევიტყე, რომ ის თავის სახლიდამ გადასულა.

— არა, ცოტა ხნით ჩამოვიდა ქალაქში და მალე ისევ წავა.

— მას ისევ მალე წავა?

— ამ დღეებში.

— წავიდეთ, ბელო, დაიძახე ცხენზე მჯდომარე გენერალის მანსილიამ.

— წავიდეთ, წავიდეთ, გენერალ; ღამე მშვიდობისა, ბატონო მარინო.

— გთხოვთ დაივიწყოთ ყველა ეს ცილის-წამებანი, ბატონო ბელო.

— მე აღარც კი რამე მახსოვს, ბატონო მარინო.

ამის შემდეგ დანიელ მთავარ ცხენსა და ისა და გენერალს წავიდნენ ერთად. მარინო გაოცებული დარჩა და სულ დანიელზედ ფიქრობდა: უნდოდა გაეგოთ თუ რა ჯურის კაცი იყო ისა. მარინოს სძულდა დანიელ, მაგრამ იმის სავნებულად კი ვერაფერი მოეხერხებინა.

თავი მეცხრე.

მოდარაფე გენერალი.

ჯერ ისევ მეთორმეტე საათი იყო, მაგრამ ქალაქში კი მდუმარება სუფევდა. მხოლოდ აქ-იქ ღამის გუშაგები მოჩანდნენ. უწინდებური მხიარული ხალხი ბუენოს-აიჩესის ეზლს რუდიად მიხუძებულ იყო და აღარსად აღარა სჩანდა ის უმაწვილ-კაცობა, რომელიც სულის ცხენებსაჲთ მთელის ღამეს, რომ მხიარულებას მოჭყუეს და გააენებადის იჭეიფოს.

ამ მიუჩუებულს ღამეში მხოლოდ დანიელისა და გენერალის მანსილიას ცხენების ფეხის ხმა ისმოდა.

— ჩვენს ქალაქს ჯერ კიდევ არა სძინავს... ვერ ამჩნევთ, გენერალ, რომ ჩვენი მოქალაქენი კიდევ ფხიზლობენ.

— ყველანი რაღასაც მოელოან, ჩემო მეგობარო, სთქვა გენერალმა მანსილიამ.

— დიაღ, ყველანი ერთსა და იმავეს მოელოან, გენერალ...

— დიაღ, ყველანი.

— საკვირველია, რა წიგის ერთ-სულელობით მოქმედებენ ყველანი!...

მანსილიამ იღუმალად შესედა დანიელს.

— განსაკუთრებით ერთს შემთხვევაში. მიხვდი.

— ვერ მიხვდი, რა შემთხვევაში?

— ყველას გულთ უნდა, რომ ეს მალე გათავდეს.

— ესა? რა ესა, გენერალ?

მანსილიამ კიდევ შესედა დანიელს, რადგანაც ამ გვარის კითხვა იმას ყველაფერს გამოათქმევინებდა.

— მე მდგომარეობასედ გელაპარაკები.

— მდგომარეობა!! თქვენთვის პოლიტიკური მდგომარეობა თავის დღეში არ გამოიცვლება.

— რატომ?

— თქვენ ცოცხალი-შვილის ფეხთით საჯდომად არა ხართ დახედებული. თქვენ გინდათ პოლიტიკური ასპარეზი მოქმედებისა, — ეს მართებლობის სასარგებლოდ იქნება, თუ მის წინააღმდეგ. თქვენ მაინც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა გექნებათ ჩვენს სამშობლოში.

— თუ გინდ უნიტარებმაც გაიმარჯვონ?

— მაშინაც კი. მგონია, რომ მაშინ ბევრი ფედერალი გადავა იმთკუნ.

— დიაღ. ბევრნი კარგ ადგილსაც დაიჭერენ საღრჩობელაზედ. მაინცა და მაინც ალმადგინებელს არ უნდა ვუღალატოთ. თუმცა დანიელ გენერალის რჩ-აზროვან ლაპარაკს კარგად

მიხვდა, მაგრამ მაინც ბავშურის გულ-წრფელობით განაგრძო საუბარი:

— დიაღ, ის ღიწლი არის, რომ ჩვენ ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში არ დავანებოთ თავი.

— ნუ გეშინიან, კარგად გამოიძვრენს თავს. იმ კაცს ბედი არსად არა ღალატობს.

— ეს იმისთვის, რომ იგი თვითონ არის წარმომადგენელი ფედერაციის წყობილებისა.

— საუკეთესო წყობილებისა, არა? სთქვას მანსილიამ და შეხვდა დანიელს.

— მეც თითონ მაგ არჩისა ვარ მას აქეთ, რაც კონგრესზედ დავესწარი.

მანსილიამ ტუჩზედ იგბინა. ის კონგრესის დროს უნიტარი იყო; მაგრამ დანიელ ისეთის უეშმაკო თვალთ უყურებდა, რომ მანსილია ეკრც კი მიხვდა დანიელის იჩინიულს ჯაშარაკს.

დანიელმა განაგრძო:

— ამ წყობილებას თავის დღეში ვერ დაარღვევენ უნიტარები. გენერალ ლეზასის დამარცხება მხოლოდ ფედერაციებს შეუძლიანთ.

— კაცს ასე ეგონება, რომ შენ ლეზას-და-ათის წლისა ხარ, ბატონო ბელო.

— ეგ იმისთვის, რომ მე უკვლავ ვიხსოვებ, რასაც კი გავიგონებ ხალხი.

— ახა რა გაიგონე?

— მაგალითებზე გავიგონე ზოგიერთა ფედერაციების ქება — და თქვინიც გენერალ.

— ჩემი?

— დიაღ, თქვენი. თქვენ რომ გუბერნატორის ნათესავი არ იყოთ, მაშინ ის თქვენ თვალ-ყურს გადაკნებდათ, ამისთვის რომ თქვენი ვაჟ-კაცობა, ჭკუა და ხალხისგან სიყვარული იმისთვის დამალული არ არის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ გუბერნატორს 1835 წელს მაინც ეთქვა, რომ თქვენ რაში გამორუსადეგარი ხართ.

მანსილიამ იმავე წამს მიაყენა თავის ცხენი დანიელის ცხენთან და გაჰყავრებით უთხრა:

— აგრე უსვინიდილად ლაზარაკი მხლელად იმას შეჭტეკრის, — მაგრამ იცო ეკ რად უთქვამს?

— იქნება ხუმრობითა სთქვა, გენერალ, მიუგო დანიელმა.

— ამისთვის უთქვამს რომ ჩემი ეშინიან, უთხრა მანსილიამ და თანაც უკადრისის სიტყვებით მოიხსენია რომასაი.

ასე გულ-ღია ლაზარაკი მანსილიას ხასიათად ჭქონდა, მაგრამ მიხვდა კი, რომ ასეც არ უნდოდა. ეხლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა, ამისათვის იმან განიზრახა, რომ დანიელისათვისაც გამოეთქმეკინებინა გულის საიდუმლოება და უთხრა ცბიერებით:

— მე კარგად ვიცი, რომ თუ საჭირო იქნება, ყმაწვილ-კაცობა ჩემს მხარეს დაიჭერს, ამისთვის რომ ეხლანდელი წულობილობა არავის არ მოსწონს.

— იცით, გენერალ, მეც აგრე ვთვლილობ. მიუგო დანიელმა ისეთის კილოთი, რომ თითქოს მას ეს არცე პირველად ესმოდა.

— და თქვენც თვითონ ჩემს მხარეს დაიჭერდით.

— არეულობის დროს?...

— ჭმ, რომესაც უნდა იყოს, უთხრა მანსილიამ, რომელსაც ეს საზარელი სიტყვა არ უნდოდა წარმოეთქვა.

— დიაღ, მე მგონია, რომ ბევრს მომხრეს იზოვიდით.

— თქვენ, თქვენ დადგებოდით ჩემის დროის ქვეშ? ჭკით-  
ხს მანსილიამ, რომ გამოსაშვარკვებით ეთქმევინებინა ჩამე.

— მე? მე მაგას ვერ ვიზამდი, გენერალ, სხვა-და-სხვა  
მიზნებისა გამო.

— რა მიზნებისა?

— იმის გამო, რომ მე დაკვიფრე არ მივბამო ჩემის ხნის  
უმაწვილ-გაცობას, ამისთვის, რომ ისინი მომეტებულად უნი-  
ტარები არიან და მე კი თედერაციის ერთგული მომხრე.

— ჭა! ჭა! ჭა!...

— ახლა კი გაკვირდეთ, პოლკოვნიკის რაკეტას ჯარს და-  
გუხანდობით.

მარტლაც ისინი მივიდნენ რაკეტას ჯართან. გენერალმა  
დაათვალიერა ესენი და მერე სხვა ჯარებთან წავიდა.

დილის მესამე საათი იყო, რომ გენერალი მანსილიას  
მოჩნა ჯარების დათვალიერებას და წავიდა შინისაკენ პოტო-  
ვის ქუჩაზედ.

დანიელმა მიატოლა ის სახლამდის, მას არ უნდოდა, რომ  
გენერალს შეენახა თავის გულ-ღია ლაზარაკი დანიელთან, რის-  
თვისაც უთხრა მას სახლის კარებთან:

— მე ძლიერ ვწუხვარ, გენერალ, რომ თქვენ ჩემდამი  
რწმუნება დაჭკარკეთ.

— მე ბატონო ბელო?!!

— დიაღ; მე კარგად ვიცი, რომ ჩვენს უმაწვილს გაცო-  
ბაში ბევრი უგუნურად იქცევა; თქვენს მტრდობით მე და ამი-  
სთვის იმაზედ დამიწეეთ ლაზარაკი, რასაც თქვენს გულში  
არა გრძნობდით. მე კარგად ვიცი, რომ აღმადგინებულს გენე-  
რალ მანსილიასთან ერთგული არავინა ჭყავს. მაგრამ ჩემდა სა-  
ბედნიერად, თქვენ ჩემში თედერაციის ერთგულების მეტი ვე-

რა იზრუეთ-რა, — არა? ჭკითხა დანიუღმა განგებ მოშიშარის-  
ხმით.

— სწორედ, სწორედ, მიუგო მანსილიამ და მხურვალედ  
ჩამოარტყა ხელად.

— მაშასადამე, თქვენ ჩემი მფარველი იქნებით, გენერალ,  
არა?

— ყოველთვის, ბელო.

— მაშ ნახვამდის.

— ნახვამდის.

დანიუღმა გამოაბრუნა ცხენი და სიცილით ლაპარაკობდა  
თავის-თავად:

— შენ, ჩემო ძველი მეგობარო, თავს არ დამანებებდი, თუ  
გი გცოდნოდა, რომ მე შენი გულის საიდუმლოება ვიცი.

თავი მეთუ.

სამშობლო, სიყვარული, მეგობრობა.

დანიუღმა დაბრუნდა შინ, თავის ცხენი თვითონვე დააბა-  
თავლაში, წადგანაც თეიმინი შინ არ იყო და სხვა მოსამსა-  
ხურებმა კი არა იცოდნენ-რა დანიუღის ღამე მოგზაურობისა.

დანიუღმა ანთო სანთელი და პირველად იმ ოთახში შე-  
ვიდა, სადაც ედუარდოს ეძინა. დიდ ხანს დასტყეოდა ძმინა-  
რე ედუარდოს და ათას ხარბი თქვები ეწეოდნენ თავში.

ბოლოს შევიდა თავის კაბინეტში და დადგინდა-დაწყო-  
ლი დაეშვა სეფზე.

უეტრად შეკრთა იგი, გაისწორა თმები, ამოიღო სტო-

ლის უჯრდამ წერილები და ერთს იმათგანს დაუსვა რიცხვი. მეჩუ დასწერა ეს წერილი და წაიკითხა დამშვიდებულის ხმით:

«ბატონს ბიუშე-დე-მარტინის და სხვ. და სხვ.

«ბუენოს-აირესი, 1 სექტემბერს 1840 წ.

«დილის ოთხ საათზედ.

«დიდად პატრივ-ცემულა ბატონო.

«მე მივიღე თქვენი წერილები წაწმენის თვის 23 და 24 რიცხვით, რომელთაც დამარწმუნეს, რომ ჩემს სამშობლოს ეხმარებიან აწამც თუ მარტო თავის შვილები, აწამელ უცხოებაც, რომელთაც კი წმინდა გული და გრძნობა აქვთ.

«ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა ჩემთვის ცხადია: ან ქალაქი აღემულ იქმნება ორის კვირის განმავლობაში უეცრად თავზე დასხმით,—და მაშინ რომასი სამუდამოდ დაიღუპება, —ან ანა ზე თავისუფლების დამცველი ჯარი უკან დაიწევს და მაშინ ჩვენი საქმე წაგებულ იქნება და კელაჩავის მოშველება კელარ გვიშველის.

«ჩვენ უნდა ყოვლის ღონისძიებით დავეხმარეთ ლავალეს, ჩვენ უეცრის თავ-დასხმით თუ გაკიდარჯვებით, თორემ რიცხვით მტერი ჩვენზე უფრო ძლიერია. ბუენოს-აირესის მცხოვრებლებიც მაშინ მოგვეშველებიან, როდესაც ჩვენის ჯარის იარაღის ჩხარა-ჩხურს ქუჩებში გაიგონებენ.

«ლავალე თავის ჯარით უნდა შეებრძოლოს რომასს, თუ სხვებიც უნდა მიიშველიონ? კითხულობენ ბევრნი.

«ვიდრე ამ საგანს ავხსნიდე, მე მინდა დავარწმუნო ლავალე ზე ყველა სხვებიც, რომ რომასის ძალას ციხეები, წაწმენები ზე სალდათები არ შეადგენენ, —იმის ძალა ბუენოს-აირესშია. ბუენოს-აირესი — თავია და სხვა მარტები კი იმის ასლები. ამ შემთხვე-



ვაში შეიძლება ამ ნაირი კითხვა აღკმათ: უნდა პირ-და-პირ ქალაქზედ მივიდეთ, თუ არა?

«ლავალეს ადგილას რომ ვიყო, მე უსათუოდ პირ-და-პირ ქალაქისკენ გასწევდი ჯარით, რადგან უკან დაწევა ჩვენის ჯარისათვის მავნებელი და დამღუბველი იქნებოდა. ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაში მე იმ მოედანზედ ვამჯობინებდი ბრძოლას, სადაც გამარჯვების იმედი მექნებოდა, თუ გინდ რომ კიდევ ნახევარ-ჯარი გამწევეტოდა.

«ქალაქში ლავალეს ჯარს თავ-გამოდებით არავინ შეებრძოლება; თუდერალეები ძლიერ მოწყენით არიან; მოძეტებულნი მათგანნი ლავალესკენ გადავლენ, რომ შემდეგში ლიბერალეებისგან აღარ იყვნენ დევნილნი.

«წინანდელს ჩემს წერილებში გაცნობებდით რეზასის ჯარის მდგომარეობას, მათს დაწყობილებას & სხვ. თუ რომ ეს ჩემი წერილი მიიტყვეს თქვენს ყურადღებას, მაშინ ჩემი სურვილი აღსრულებული იქნება.

«დასასრულ გთხოვთ დაწმუნებული იყოთ თქვენდამი ჩემს პატივის-ცემასა და ერთგულებაში.

«ბ.»

დანიელმა დაბეჭდა ეს წერილი, ზევიდამ რამდენიმე სიტყვა დააწერა დუგლასთან და დამალა იგი სტოლის საიდუმლო უჯრასში.

შემდეგ დასწერა ეს წერილი:

«ამაღია! მე ნამდვილად ვაკვირე, რომ წუხელის ჩვენს ოჯახში მოცქერალი მარინო ყოფილა და მე ყოველივე ღონისძიება ვიხმარე, რომ იმისთვის გზა და კვალი ამეჩია. ეხლა იმან აღარ იცის: მე დამინახა ოთახში, თუ შენ.

«ამ დღიდგან უფრო გულ-მოდგინებით დამიწეებენ ზვე-

ჭვას. მაგრამ რა გაეწეობა, გაჭირვებაში უფრო გაბედვით უნდა ვიმოქმედოთ.

«საჭიროა, რაც შეიძლება მალე, შენ ქალაქ გარეთ სახლში გადახვიდე.»

«დრონი ანაზღეულად იცვლებიან და ჩვენც ანაზღეულად უნდა ვიმოქმედოთ, ვიდრე ან არ გაკვირვებთ, ან არ დაკმარცხდებით.»

«ღმერთმა უკვლავ კეთილ ხალხს უშველოს!»

ამ წერილის შემდეგ, დანიელმა მისწერა თავის თვალრენსიას ეს წერილი:

«საუკრელო თვალრენსია! თუმცა მეტის-მეტი ბრძოლა მტარვალბთან მე ძლიერ მაუძღურებს, მაგრამ მაინც უბედნიერესად ვთვლი ჩემს თავსა, რადგან შენი გული მიზურია და შენს წმინდა სახელს მარადის ვაკედრებ ღმერთსა...»

«დღეს ძლიერ ბევრი დავიტანე და სანუგეშებლად ისა მქონდა, რომ შენ აღასრულებდი ჩემს სურვილს. უნდა დააჩწმუნო დედა შენი, რომ შენ და ის მონტეკიდეოში წახვიდეთ, მხალხლად, რაც შეიძლება, მალე კი, თუნდა ხვალაც. უკვლავ ამას მე მოგიხერხებთ.»

«თუ რომ შენს დასამშვიდებლად საჭიროა, რომ წასვლამდის შენ ჩემი მეუღლე შეიქმნე, ხვალვე შეგკავრებთ ეკლესია, რომ გარეც შეგკავრთა ღმერთმა სამუდამოდ.»

«ცა, რომელიც ჩვენს გვთავაზს, ჭკერი, რომელითაც ჩვენს ვსუნთქავთ—უკვლავური უბედურობას გვიქადის და, იქნება კიდევ... ვინ იცის! ამისთანა დროს მე არ მინდა, რომ შენ ჩემი იყო, შენ, ჩემი ნეტარება, ჩემი სამოთხე. მაგრამ თუ შენთვის ჩვენი შეერთება საჭიროა, უკვლავთვის მზადა ვარ.»

«მე ნულარავურს მკითხავ. მხალხლად შემიძლიან გითხრა,

— რამ ჭყარი ამ გარყვნილის ქვეყნისა ნულასა შესამავს შენს სუნთქვას. ნუ მოითხოვ ჩემგან მონტეკიდეოში შენთან ერთად წამოსვლას... ეს შეუძლებელია. ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია, მე მიღუწისმული ვარ ბუენოს-აირესზედ და... მაგრამ ერთის, ან ორის კვირის შემდეგ ჩვენ ერთმანერთს ვნახავთ. ეს ხომ მთელი საუკუნეა— არა? რა გაეწყობა! მაგრამ სადაც გინდა იყო— ჭყარში, თუ ცაში, ყველგან შენ მე უნდა მესაუბრო, ჩემო ფლორენსია, ზე მეც მოწიწებით შევინახავ შენს სიტყვებს იმ სადგურში, რომელიც სწულიად შენ გეკუთვნის— ჩემს სულსა და გულში.

«გამიგონე, ჩემო მშვენიერო!...

«ღეღას შენი ვერაფერში უარს ვერ გეტყვის.

«რატო კი გთხოვე, ჩემსა და შენს საბედნიეროდ გთხოვე.

«დანიელ...»

ყმაწვილმა კაცმა დაბეჭდა ეს წერილი, შეინახა უბეში და ელლდა დილას, რომ ეს წერილი და სხვებიც გაეგზავნა.

(შემდეგი იქნება)

## გზავრის უნიზონები

საინგილოსა და ქიზიყზედ.

...სიტყე ვაპანაქება იუო. მე ჩამოვხდი ს. მახსანის კა-  
ლოებზედ ესრედ წოდებულ ყარლაჯში. იმ ყარლაჯში, სადაც  
უწინ ყოფილა სადგური ჩვენთა მეფეთა და რომელიც შემდეგ  
ხანებში უქცევიათ მათ პატარა ქალაქად—თავიანთ ადგილ-სამ-  
ყოფელად. უშველებელის სიგძის და სიგანის ციხის კედლე-  
ბის საძირკვლები-ლა მოჩანს ამ ადგილების წარსულ ცხოვრების  
მოწამედ. დანარჩენის ნანგრევებით ქიზიყელთ საბძლები გაშენე-  
ბულა. ოც-და-ხუთ ვერსტამდე იქნება მანძილი ამ კალაქებიდან  
თვით ს. მახსანამდე! მაგრამ ეს კიდევ არაა თეორი. ზედ აღაზ-  
ნის ხიდთან არის გაშენებული კალაქი ს. ბოდბისხევისა და  
ამ სოფლიდან კალაქამდე ორმოც ვერსტზე მეტია! ამ სო-  
ფოვზე ჭხნავს და ჭსთესავს უშველებელ სათემო მინდორზე  
ქიზიყელი კაცი! კალაქობას ჩამოდის თავის ჯალაბობის მტი-  
რე ხაწილით, აქვე ჭლეწს უშველებელ მოსავლის ძირებს, მეტე  
სამ-უღელს შებიულ ურძით სიტყე-ვაპანაქებაში მიეზიდება ურძის  
ურძემზე, პურს თუ ქერს თავის სოფელში. დასათქვამად აქე-  
დამ სამოც ვერსტზე მაინც, ან საინგილოში, ან გარე-კახეთში  
მიქვს!—დამეთანხმებით, რომ ეს მართლაც ცეცხლის პურის

ჭამას ჭიზიუელის გლეხისათვის, რომელიც ჩვენში ამ მხრით სხვა თემის გლეხობაზე ბევრად უფრო გაჭირვებულია, თუმცა სიღატაკით, თუ გონების გამჭრიახობით სხვა თემის გლეხის მას ვერ დაუმხარდამხარდება!... აღონდ იულის თავისუფალი ღ თართო ალაგი გუთნისთვის და შავ-თვალა ხარისთვის, თორემ ათასის წლის გუთნის კულტის რწმენას მისთვის ტანჯვაც კი ღხინად გადაუქცევია!.. ასეთი თავისუფალი და უხვი სახნავი ქართლელ გლეხის გონებაში მართლაც სეულებელი რამ არის... ქართლში გლეხი ამ გვარ ბედნიერებას სამოთხეშიაც ვერ წარმოიდგენს! ჩემის აზრით სახნავ-სათესის სიმორე უნდა იულის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი ჭიზიუელი ეკლამდის სარჩოთა ამსებული და ზოგს კი ნატისუსალი ასდის სიღატაკისა და სიღატაკისაგან.

— რა უნდა ქნას თქვენში უილაჯო, უხარო კაცმა ამ სიმორეზე ხვნა-თესვის გამო? — დაკუთხე ჩემს პირდაპირ მჯდარ ჭიზიუელს დუქანში, სადაც მე ჩამოვხტი ჰატარა ხანს დასასვენებლად.

— რა და, ხარინ და მქონეს გვიშველის-უე და ჩვენც უხნამთ, უღეწავთ-უე...

— ეგ კარგი, ძმობილო, მაგრამ ლუკმა-პურის შოგნისათვის, ხომ მთელი წელი შენ უნდა გეუმოს უილაჯო კაცი? იმიტომ ამბობენ კიდევ რომ თქვენში საწყისი განადგურებულია?! კუთხარი მე.

— დალოცვილო-უე, კაცს ჭამა უნდა და ჭამამ უმობას, თუ ეშმაკი, არ იცის გამოკითხვა-უე. აი, ეხლა შენ თეგზ მირთმეკ, ფული რომ არა გქონდეს — მუდუქნეს ჰალტო უნდა მისცე-უე — ჩვენშიაც აგრეს.

— მართლაც ამბობ, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ: მამა-  
პაპით გუთანი გვწამს—მედუქნეს კი დუქანი.

— ეხლა უწინდებურად რომ მაგასვედ ალბ დგანან-უე—გუთ-  
ნურს დუქნური მან დემეტრე-უე—თქვა გონიერმა ქიზიუელმა  
ტთან მომეტანა, რადგან წყლის ლიტრას მოკეუდა—ე წყალს  
მაგრე ნუ მიიწითევ—მან ბეჭი წურბელა იტის-უე...

— აქ ამასე მეტი წყალი ხო არ არის და თუ წურბელა-  
ნია, უწინ მეფეებს რომოვ უცხვრით აქ? ვკითხე უნებუ-  
რად ქიზიუელს...

— მაშინ წყალიც წმინდა იქნებოდა-უე, ეხლა კი რა ამბა-  
კია—ამის თქმასე მე მოვიხედა წყლისკენ. იქ საშინელ სიტხის  
აუღმედ სამასამდე სულ გალოს ხარ-გამეხს მოუყარა თავი თა-  
ვის მწყემსებით, წყალი კი უმაწვილის მკლავის სისხლ ძლივს  
გამოწანწკარებდა საშინელ უწინდურობიდა. იყო ერთი თავ-  
პირის მტკრევა თუ დიდთა, თუ პატარათ შორის. იყო უდიე-  
რი ლანძვა და ლანძვა მართლაც ქიზიუერი... უნებურად ჩე-  
მის ამხანაგის თქმამ: «ეს ქიზიუელების სკოლაა» ჯერ გა-  
მადიმა და მეც დამაფიქრა...

— აიმი გზის პირს საყდარი ყოფილა, მარტო საკურთხევე-  
ლია ჩანს—არ იტი, ძმობილო, დიდის ხნისაა, ან სახელად  
რას ეტყუით? ვკითხე ქიზიუელს კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— საყდარია-უე, მაგრამ სახელს ვინ უკითხამს?

— რატომ არ უკითხამთ, ძმაო, მაგ საყდრებმა არ შეგვი-  
ნახეს მამა-პაპის მამული და მტერმა თუმც მრავალჯერ დაგვიწა-  
ბგვიკლო, ისევე საყდრის საყუდრევეს ვატანდით?...

— იქნება უწინ ჩვენს სახნავ-სათესს, მიწა-წყალს ჭსამნამდენ-  
უე საყდრები, მაგრამ ეხლა ვილა კითხულობს?—ვანგრეთ-უე  
და საბძლებს ვიშენებთ.

— მას ხატისა აღარ გეშინიანთ? თეთრ-კაბა მკითხავები მუხრუჭს აღარ გიჭიჩებენ?!...

— ჭიიი, გათავდა-ყე ის დრო, ეხლა საყდრისა კი არა, მკვდრისაც აღარ ეშინიანთ...

— მას ხატი-პაჩიები ჭყრთუილხანთ, ქრისტე-პაჩიები? ვუთხარ მე დიდილით.

— ზოგი გოჭს იპაჩავს და ხატი რომ მოვიპაჩოთ, რას — ხო არ იჭყივლებს-ყე მითხრა მან დატინკით...

## II

გასცდით აქ მეტად შეგუბებულ და მდორე ალაზანზე გადადებულ მულაღნოს ხიდს და თქვენ დაიწყებთ სიარულს უწინდელ წუკეთის საეჩისთაოზე, რომელსაც შემდეგ ალი-სასულთნო ჩქმეკია და დღეს კი საინგილოდ და შაქათლის მარჯად არის სახელ-დებული. ეს ქვეყანა ისე მდიდარია ბუნებით, რომ მის სიდიდრეს დიდ ვაებისა ჭ ტანჯვის შემდეგაც არა სთმობენ მისნი შვილნი; თუმცა ზედ უნაცვალებიათ თავიანთი ადათებიც და საწმუნოებაც... მაგრამ ისევე ქვეყანას შერჩენიან და არავისთვის კი არ დაუთმიათ. ეს ქვეყანა, რომელც ნაპირი ტანჯულის საქართველოსი, ათას-ჯერ უფრო მეტად ტანჯულა და წამებულა, ათასჯერ მეტად გაყენთხილა ადამიანის სისხლით, ვიდრე შუაგული. ამ გაცხარებულ ბრძოლაში ხან-მოკლე ბერს ერს ჩაჭკადნია ეს დიდებული ქვეყანა ხელში... ელინნი, ლეკნი, მულაღნი, სპარსნი ყოფილან ქართველთ მოცილენი, მაგრამ დღეს განგებას სამი-ათას კვამლ ქართველთათვის კიდევ მიუცია იგი სამარხად და საკვებად. ლეკთა და რსოფელ

მულაღთ უკვე რკებიანთ ლუკმა ამ მშენიერ მამულში... ხიდის გასწვრივ ჩრდილოეთით მოჩანს შარბანი დაღესტანი და ჩაგრულ ინგილოს შუა ამართული კბილებიანი კაკასიის ქედის შტო; კბილებსა და კბილებს შუა გასდენია უხვად მდინარენი ქურმუხი, ბელაქნის ხევი, ჭარის ხევი და სხვები, რომელნიც იკლანებიან შემუშავებულ და ზედი-ზედ მიწყობილ სოფლებით საკსე საინგილოს ველზედ; უხვად რწყამენ მის დალოცვილ ნიდაგს. უამათოდაც წამ და უწუმ შეგხვდებათ ქვით-კირით ამოგებული წყაროები, ზღვა ჩალოთუკის ნათესობისა, კელური კაკლის ხეები, ხეხილი, ვაზები, ბზის ტყეც კი...

გზა-ტკეცილმა შემიყვანა ს. მულაღნოში—მულაღთ საგანეში. ბუნების ძალთა ამბოხებას ხვან-თესვისთვის მიუჩვევია ეს სისხლის მსმელი ჯილაგი, თუმცა მათი სასე ეხლაც ცხადად გეუბნებათ: «ჭაი, ჭაი, სელ სისხლის მოსვრით უფრო ჩვენებურ «სიგემრიელით» გჭამთ ლუკმასაო.» რა განსხვავებას დეკს ამათა და ივრის პირზე დასახლებულ ხელ-უურკლთ, ნადირთ და წუმბიან ქოხებში მომხვრჩალ მულაღთ შორის!! აქ ესენი სოფლის სისუფთავის გულისთვის განაპირის კალაებზე უშველებელ მოსაკალს ჭლევვენ... სოფელი ლამაზ ხეხილშია მოქცეული. ვაზებიც კი ჩაუშვრებიანთ რიგზე, ეზოები, მშენიერი სახლები კირით დაღესილი, ფანჯრებიც კი! უკელს ნაბიჯზე მერეთები გარს გალავნით და გკერდზე სკოლით!... გზა-ტკეცილი ამათვე სოფელ ფარდაღოში მიგიყვანთ. იმასვე ნახავთ აქაც... წასდგამთ ფეხს და წინ გიხვდებათ ს. კანდანი დასახლებული მომეტებულად ინგილოთი და ცოტა ლეკითაც. რჯულით ორნივე მაჭმადიანნი არიან. გაკვირვებთ სისუფთავე გზებისა, ეზოებისა, სახლებისა, სიმრავლე ხეხილთა, მაგრამ უკელაზე ძლიერ მერეთები სკოლებით!... ოთხ ვერსს მო-



შორებით ამ სოფელზე გზა-ტკეცილმა მიმიყვანა მარტო ინგილოებით, მაგრამ გამაჭმადიანებულ ინგილოებით, დასახლებულ უშველებელ სოფელს აღიარებდა. ათას-ორასი კომლი ინგილო სახლობს ამ აუარებელ ხეხილში ჩამხვრჩალ სოფელში, რამდენსაც მრავალგან სჭრის ფართო გზა-ტკეცილი თავით ხელმძღვანის ნაპირებში მომდინარე წყლებით. აუარებელი წვილი მეჩეთებია სკოლებით, მაგრამ ერთი ყველაზე უშველებელი მეტად მშვენიერია და თითონვე ხალხის დადგმული ამ ცოტა ხანში, რადგან წინად ქრისტიანნი ყოფილან. როგორ ცოტა ხანს წინად ქრისტიანნი?! მკითხაძთ თქვენ. ამ თხუთმეტ-ჩვიდმეტის წლის წინად აქ ყოფილა ქრისტიანების ეკლესია უბადრუკის სკოლით. გამოუკლავ ერთ დღეს მთავარ-მმართველს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და უთქვამს თავ-მოყრილ ჯამათისთვის: «ჩემთვის ქრისტიანი, მაჭმადიანი სულ ერთია, აღონდ ხელმწიფის ერთგულნი იყავითო» და ამის შემდეგ არ გასულა ერთი წელი — ეკლესიაც დაუწვამთ, სკოლაც და სამაგიეროდ საზოგადოებას აუშენებია ეს უშველებელი მეჩეთი ღირებული, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ორი-ათას თუმნად!... ღირს-შესანიშნავი და თავ-სამტკრევი მოკლენას: მამით-პაპით ქრისტეს მოწმუნე ინგილო ქრისტიანობისკე წამქეზებულ მთავრობის ქვეშ ასე უღირსად ილტვის მაჭმადიანობისკენ!...

აღიარებთს გარდა ნახევარზე მომეტებულნი მცხოვრებნი ს. მოთავარასი, ვერხვანისი, ყოჩღნისა, თასმალოსი და სხვებისა, თუმცა მამა-პაპით ქრისტიანნი ყოფილან ზღვრაც ქურუმების წმინდა გიორგის მოწიწებით მომხსენებულნი არიან, მაინც მაჭმადიანობისკენ მიდრეკილან, თუმცა მთავრობა ქრისტიანობას აქეზებს — სახელმწიფო სარჯს ქრისტიან ინგილოს ოთხ მანეთს ართმევს, მაჭმადიანს კი ექვსსა და სხვ..

ზირველ შეხედვას ამ მოკლეების საბუთად ჩასთვლით იმას, რომ მანქმადიანთ ცოლის შეერთვა იათად უჯდებათ (ათ თუმნამდის), ქრისტიანს კი ძვირად (სამოც თუმნამდის); რომ ქრისტიანული მღვდლები ნაკლებ უქდაგებენ ხალხს და მანქმადიანთ მღვდლები, ეთენდები, ყაზები სულ ყოჩანს ჩასჩინებენ; რომ მანქმადიანთ მოლა თავის სამწყსოს შეილებსაც უსწავლის, ლოცვებითაც სწამლობს და ჩვენი მღვდელი კი დამარხვა—მონათულის მეტს აწას უკეთებს და სხვ.—მაგრამ ჩემის აზრით ღრმა მიზეზი ამისი ინგილოთ მიერ მიწის-ხვნის კულტის წამებაა. ამათ მრავალ-ჯერ უწვინათ ამ ბოლოს ყამებშიაც კი—თუ რა რის მანქმადიანთ თანატომი. გარე-შემოტყმულ მეზობელ მანქმადიანთაგან კიდევ მრავალჯერ ესმით დღესაც მათის რჯულის უგუნიური აღთქმა, რომ მთელი დუნია მუსულმანთ დაჭრებით მალე და გაიურნი კი მათ ხელით მოიმუსვრებიანო: უნებურად სჯერათ ესა და აღონდ მათ ხვნა-თესვის წმინდა წესებს ნურა შეარყევს-რა და რჯულს საითაც უნდა, იქით გადასდებს. ამასვე მხარში უდგა ის მტარვალური მხარე მანქმადის რჯულისა, რომ ქრისტიანთაგან მოზარული საქონელი მუსულმანს ტებილად შეერგებაო. ძლიერ სარგებლობენ ამით მუსულმანები: ჩემს იქ ყოფნის დროსაც კი ენახე როგორ დაატუსაღა რამდენიმე მოლა ნაიბის ამ გვარ ქადაგებისთვის. საქონლის მოზარვა, რასაკვირველია, არღვევს ხვნა-თესვის კანონებს და მათს შეუტვლელად ყოფნას სწირამს ყველას ქართულთ ჩამომავლობა. ამის შესახებ ერთ ამბავსაც ვუამბობ მკითხველს: 1877 წელს რომ ზაქათლის მაზრაში მუსულმანთ მოძრაობა იყო, ს. კაკის ხეობაშიც ჩამოვარდნენ ლეკნი «ლა ალაჭის» მღერით. იქ მყოფნი სამსახურის ხალხნი, თუ ვაჭარი სომხები, მაშინვე აიბარგნენ. კაკელი ინგილოები კი, რომელნიც ქრისტიანე-

ნი არიან, თუ არ იცვლიდნენ. «თავები ყველას ხომ დაზარსუ-  
ლები გვაქვს, მოკლენ ლენი და ჩვენ ვატყუით, რომ მაჭმადიანნი ვართ» ამბობდნენ ისინი.

ამ გვარს აწინდელს, თუ წარსულს საცოდავ მდგომარეო-  
ბას ინგილო შეუქნია საშინელი პირ-მოთხე — უხასიათო. ეს  
სახის-მოტყუებლებიდანაც კი ცხადად გამოსჭვირს. პირის-სახეს  
ქრისტიანიც კი იკეთებს, იზარსამს ისე, რომ მაჭმადიანს ემ-  
გზავსება. რჯულიც სულით და გულით არც მაჭმადისა უჭი-  
რამს, არც ქრისტიანული. მე თითონ დავესწარ ნათლობაში,  
სადაც მომანათვლინეს ორი ინგილო ემაწვილი. მღვდელს რომ  
არ ეთქვა, ქუდს არ იხდიდნენ — პირ-ჯვრის წერის ხსენება არ  
იყო. შემოსილ მღვდელს, წყალში ჩაუჭრებულს, გმევას,  
სანთელს, საცინელი ზედ-მოქმედება ჭქონდათ მათ სახეზე. მხო-  
ლოდ თითონ ნათლია მამა-პაპით ქართველურად მიახნიათ დიდ  
ნათესავად. მირიანი ძლიერ სწამთ, ასე რომ რადგან ინგილო  
ერთის სოფლიდან მეორე სოფელში ქაღს არ ათხოვებს და  
ბევრის ნათესავების მოკიდება თავის სოფელში ეჯავრება, იმი-  
ტომ სხვათა სოფელს უფრო ანათვლინებს თავის შვილებს.  
სომხებს აქაც უპოვიათ ამ შემთხვევით ცარცვის საშუალება,  
რადგან მეჯვარობა, თუ ნათლობა ინგილოთ ამათთვის დაუ-  
ლოცნიათ. ესეც ქართველობის მჩვენებელი ზ ამოუთხევი დამ-  
და! აქ იყვნენ დარბაისელი ინგილოთაგანნი, რომელთაც მო-  
იგონეს ვარანცოვის მიერ თბილისში თავიანთ დანათვლა: «ჯული  
ძალი წყალი ცივი იყო, მაგრამ ვარანცოვი კაი კაცი იყო, კარ-  
გი საჭმელი გვაჭამა» — ამბობდნენ ისინი... მე როგორღაც ნათ-  
ლიას, ჩვეულებისამებრ, მიიქეშეს ხელოვნურად ნათლი-დე-  
დის მიერ ნაქსოვი ხურჯინი, ჭრელი წინდები, ცხენის გარ-  
საკრი, ხურჯინის სახლართები და სხვ. გამაკვირვა ინგილოს

ოჯახის ქალის ხელმოკლულობა და მომაგონდა ის ჩემ ხსოვნაში  
სამწუხაროდ გადაკარდნილი ჩვეულება ჩვენის ოჯახის ქალის,  
რომელსაც უსათუოდ უნდა ესწავლა და სცოდნოდა ქსოვნა  
ოჯახში უცხოებლად საჭირო ნივთებისა: ხურჯინისა, საცა-  
ლოსა, თარღაგ-ხალიჩისა, შალისა, ხამისა, მერდინისა, ჭიკრი-  
შისა და სხვ. დაუვიწყარი სურათი უნდა იყოს იმისთვის, ვისაც  
უნახავს სოფელში ამ ხელობის მცოდნე ქალებთან \*) როგორ  
დაიარკობდნენ ოცემდის ქალი-მაგიერი ყოველ-დღე ამ ხელო-  
ბების შესასწავლად, რადგან ამ ცოდნა-მოკლებულთ არავინ  
ითხოვდა... სადღაა ეს მშვენიერი ადამიანი სოფლებში?!... ვახის  
გამოჭრაც კი სძირად არ იცის ესლანდელმა ქალმა — უკვლავს  
მზა-მზარეულს თხოულობს. ხელობის მაგიერ ეხლა «კერძა-  
ობამ» და «კავალრებზე» ოხვრამ დაიჭირა ალაგი!... ვაჟებიც  
კი ამ გვარ «ახალ-მოდის» ქალს უფრო ეტანებიან...

ინგილო დღესაც პრას უიდულობს სახლში, ლოგინის მა-  
გიერად მის სახლში რამდენსამე ალაგს ჭნახვით სუთოდ და-  
კეცილ ოჯახში ქალთაგანვე ნაქსოვს დიდ გრავა თარღაგებს,  
ქვეშ ნახად წაკრულს, ხურჯინს, საცალოს; მშვენიერს მოვს,  
ხამს, შალს, დღესაც ქსოვს ქალი იქ და ჭმოსავს ოჯახს! ღვი-  
ნა, ჩალთუკი, პური, ერბო უხვად მოსდის ყველა ინგილოს.  
იმიტომაც ვერ იპოვი იმით უშველებელ სოფლებში ვერც ერთ  
დუქანს, ამ სულსა და გულს ჩვენის სოფლებისას. სოფ. ალია-  
ბათი და სოფ. კაკი კი თითონ მთავრობის ნებით შემკულა  
ამ «ცივილიზაციის» მაჩვენებელ სამკაულთ. მმართველს ამ  
ქვეყნისას, აწ განსვენებულს სომეხს შელოკონიკოსს, კრუხ-წი-

\*) ქიზიუსი ბევრ სოფელში დარჩომილა დღესაც ეს ადამიანი და  
ხალხიც სულით და გულით თანა-უგრძნობს.

წილასაებ მოურკენია ნუხ-ყარაბაღიდან ეს თანა-მოძმენი და ამ  
 რი სოფელში დაუსახლებია. უგვარნიათ ამ ღიწსეულ შვილებ-  
 საც და ამ სოფლებში გაუბამთ ქსელები—დღეს ინგილოს ბაღ-  
 დსაც რომ ჭკითხო «ვის უფრო ბევრი ვალი ჭმარტებს თქვენ-  
 შიო? გიზასუხებენ—გაკელებსაო. ქვეყანა წახედულობით არის.  
 სხვა სოფლებსაც ათილისძებენ, თორემ მარტო ერთი და  
 რი სოფელი კიდევ არათუ... აი ღიწსეული ნაყოფი ღიწ-  
 სეულის მცენარისა, რომლის აღზრდასაც და ფესვის გადგმასაც  
 ეხლანდელნი აქაური მძარტველნი ეკელაფერს ხელს უმართა-  
 ვენ... ამ რი სოფლიდან დაუწევია მაინც «ცივილიზაციის» შე-  
 ტანა მთავრობას. უშველებელის გალანით გამოპრანჭულან აქ  
 ნაიბთ სასახლები, ამათ პირის ფარქმად გვერდზე მშვენიერ  
 გალანით და სასახლით სკოლაც ამართულა. მას სკოლა არ  
 არის ცივილიზაციის შეტანა?! ნამეტნაკად ვაკის სკოლა, სადაც  
 უბედრუკ რუსს, სამოქალაქო სასწავლებელიდან გამოგდებულს,  
 თიანეთიდან მეტის-მეტის განათლების მომხრეობისთვის გა-  
 მოპანხურებულს, აქ ეძლევა საკმაო ფულები, რომ ინგილონი  
 გაანათლოს ნაიბთან ზედ დამატებით!... ეს განლამთ ღვაწლი  
 ინსპექტორის ღიხარვისა, რომლის რინებს თახახები მოუნდე-  
 ბა ასაწერად... სხვათა შორის, არ ვიცი რა მოსაზრებით, ეს  
 ბატონი მასწავლებლებს მამასახლისებს უქვემდებარებს, ქარ-  
 თულს სრულებით სდეგნის სკოლებიდან და რუსს უგზავნის  
 მასწავლებლად უშველებელის ღ ეკელას მომსპობ ვაების შემდეგაც  
 ქართულად მოუბარს ინგილოებს!...

სხვა ინგილოთ სოფლებში კი ხალხი შეურუეკლად ცხოვ-  
 რებს და კმაყოფილია იმითი, რაც ეძლევა მშვენიერ ბუნების  
 და თავიანთ მოჭირვების წყალობით. აქ, როგორც იქნება გა-  
 გიგიათ კიდევ მკითხველო, უკიდური მდიდარ-ღარიბობა არ არ-

სებობს. მიზეზი ამისი სხვადასხვა არის, მაგრამ უზიარესი კი ეს მეტად შესანიშნავი მიწის მფლობელობის სისტემა გახლამთ. ცამდის აჭყავს ამ უკანასკნელ ყამს მთელ განათლებულ ეკონომისტების დასს რუსეთში საერთო მფლობელობა თავის ექსის თუ ათის წლის განაწილებით (передѣлы). ჩვენ, ქართველთადაც გვაქვს საერთო მიწის მფლობელობა გარე-კახეთში, ქიზიყში, მაგრამ მეტად ფართო და მარტივი \*). ხოლო საინგილოში სულ სხვა ყოფილა. ინგილოები მოძებნულად რიგზედ არიან დასახლებულნი: სახლები გზის აქეთა და იქითა ნაპირს მისდევენ გაყოფებით. უკვლასა აქვს სათემო მამულადამ მოჭრილი მშენიერი ვაკე ეზო, ეზოს იქით საკენახე, ამ უკანასკნელს მოსდევს ხილის ბაღი, მეტე სათიბი. სათიბს შემდეგ ისევ სათემო მიწები იწყობა, სადაც ყოველი ჯამათი ირჩევს საჩაღთუკე მიწებს და ანაწილებს კომლობრივ. აგრეთვე ყოველ წელს იქვე ირჩევენ საზურე მიწებს და ჭყოფენ; საბოსტნეც ყოველ წელს ირჩევა და იყოფება რჯახობის რაოდენობის მიხედულობით. საბოსტნეს ნახვას მეტადრე სასიამოვნო. აი შედინახო, ვთქვათ, ს. ყორღანში — თქვენ გხვდებათ ყორღანელების

\*) ჯერ არავის არა უთქვამს. რა ამ გვარ ჩვენ საერო მიწის მფლობელობაზე ქიზიყში, თუ გარე-კახეთში, სადაც სოფლებ შორისაც არ არის დაყოფილი სახნავ-სათესი — ჰხნავ საცა გინდა და რამდენიც გინდა, მარტო არ უნდა მოჰხნა სხვის ნასიმინდარი — რათაო? რომ ჰქონო ხალხს — გიპასუხებენ — ნასიმინდარი გენახივით არის: მთელი წელი შიგ თოხს ატრიალებს პატრონი და როგორ მოჰხნამს სხვა, ღმერთი არ არისო!! — ბევრი, ბევრი რამ წმინდა ადათები არსებობენ ჩვენს ხალხურ სამართალში, რაზედაც ჩვენ ჩვენდა სამარცხვინოდ თვალ-ყური არ გვიჭირამს; თუმცა საშიშია, რომ მალე მტარვალნი დრო იმსხვერპლავს მათაც.

ბოსტნები, ერთად მოხსნული, მერე განაწილებული მიჯნებით, რომელსედაც დათესილია სიძინდი. ყველას ბოსტანში უთესიათ ნესვი და საზამთრო. საზოგადოებას საბოსტნეს თავში დაურჩვია უშკელებელი ხეები და ზედ გაუძარტაძს საყარაულა. ყოველ-ღღე ოჯახი თავის წილში სწუკეტს სამყოფ საზამთროს, თუ ნესვს. გარე-კახეთისა და ქიზიყის სათემო მინდვრებში კი მდიდრები საზოგადოებენ ხოლმე ბოსტნის მოყვანით—ჭხნამენ სამოც და ასის დღისას საზამთრო-ნესვის ბოსტანს დაჭყიდინან, რომორც ქალაქებში, ისე თავისვე სოფელში. უილაჯონი ამით თავიანთ გაფრქვნის იარაღს აძლევენ მდიდარ მოძმესკე და ინგილოსებურად ვერ გაუწევიან საქმე. ყველა კომლის წილად ხარკებ ეზოს, ბადის ხეხილს, კენახს და სათიბს ინგილოები ეძახიან რუბს. რუბი თავდაპირველად ტოლი ყოფილა ყველასთვის, მხოლოდ ბოლო დროს სუიდას შეჭვარკვით და ზოგ მდიდარს ორი რუბიც უჭირავს. ყოველ-წლივ გაყოფასა და განაწილებაში კი ყველა ტოლია. საქართველოში დასახლებულ ნემეტების კალონიებს, რომელთაგანაც აღტაცებაში მოდიან ბევრნი ჩვენში, არ დაუვარდებიან ამ გვარ თავდარიგში ინგილოს სოფლები: თავის რუბში ყველასა აქვს მწკანე, კაკე და მეტად სუფთა ეზო ხეხილებით სამსე (ხშირად ფუტკრის სკებიც მოიპოვება) ზედ ქართულ თაროთი, მამა-პაპურ კერათი და დედა-ბოძით მორთული ქართული დარბაზი, მხოლოდ ერთ მხარესე ყველა ინგილოს დერეფანი გძელ ბალონის მგზავსს რამედ უჭტევია. იქ დაუწევია მრავალი სის კოდები ბრინჯისთვის, თუ პურისთვის. შუა ეზოში დაურჩვია ღერძი, ღერძზე ურძის თვალი და თვალზე სუფთად დარეცხილი სპილენძის წველის იარაღები შემოუმწკრივებია. უშკელებელ მრგვალ სტოლად მიიღებთ ამას მშკენიერ მწკანე ფონზე. უმთავრესად

ამათი წარმოება აბრეშუმია, რომელსაც კომლი ათის თუმნიდამ  
 რც-დაათს თუმნიდელ ურკელ წელს ჭყიდის. მამით-პაპით უფ-  
 რთ შესანიშნავი და მთელ ევროპაში გათქმული ტყის ხმაკე-  
 ბის წესი ჭქონიათ ინგილოებს. უკელა სოფელს თავის სასოფ-  
 ლო ტყე აქვს, რომლის ნახევარს რამდენსამე წელს სხესამენ,  
 რომ პირველი გაიზარდოს ისევ. გარშემო მუსულმანთ სოფ-  
 ლებს კი თავიანთ ადათებზე და შარიათებზე აქვთ მოწყობი-  
 ლი მიწის მთლიანობა და ძლიერ განსხვავდება ინგილოები-  
 სგან. «როცა სოფელში რომელიმე კომლი გვემეტება, იმას  
 ან სოფლის თავში ვაძლევთ რუბსა, ან სოფლის ბოლოში»,  
 მითხრეს ინგილოებმა ს. ყორღანში, რომელიც სხვა სოფლებ-  
 ზე უფრო კარგად არის გაშენებული. ამ ოთხმოც წლის წი-  
 ნად ს. კაკში ახალ წესების წყალობით იქამდის მისულა საქმე,  
 რომ რუბსაც კი თავის დანიშნულება შესცვლია.

დაჭმეზავრობთ საინგილოში და გაკვირვებთ უკელა სოფ-  
 ლიდგან სოფლამდის გაუკანალი მშვენიერი გზა-ტკეცილები.  
 გზის აქეთ-იქით ნაპირებში მწკრივად ხეხილები არიან ჩარიგე-  
 ბულნი. აუარებელი კაკლის ხეების აქ გამწკრივებული, რომელ-  
 თაც ზოგან ჩრდილი გადაუბამთ. საამოვნებით მიემგზავრები  
 ჩრდილ-ქვეშ გველამაშსებ მიკლავნილ - მოკლავნილ გზა-ტკე-  
 ცილზე. ორ-სამ წელს უკან იჯარით გაცემა ამ ხეხილის  
 არამც თუ მთელ მარცის მოსეებს შეინახავს, ფუფს მისცემს  
 სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. უკელა ესეები შე-  
 მოულია უკვე მოხსენებულ ზაქათალის მმართველს შელკონი-  
 კოკს. უნებურად ჭკითხვით თქვენ თავს ამის ნახვაზე: ამ მშვენიერ  
 მხრის სიუკარულმა დაჭბადა კაცთ-მოყვარე და ენერგიით სამსე  
 გულში ამაების დამყარება, თუ თავ-მოყვარულ ანგარიშმა. გზა-  
 ტკეცილები კი სულ უზირატესად მიქცეულნი არიან ზაქათალის-



კენ. იქნება აქ ჩანდეს მამლის ბოლო, მაგრამ მაინც დიდ მად-  
 ლობის ღირსად ჭხდით კაცს, რომელის დაწესებულებას მუ-  
 ლაღიც კი სტუმს დღეს პატრის და სიამოვნებით ამყნობს გზის  
 პირში ჩაჩიგებულს ხეხილს!... საწყალი ჩვენი შიდა ქარ-  
 თკელები გაწყალდებოდენ საზარელ მებეჭრეების ხელთ, რომ  
 ამდენი გზები ჭქონდეთ საბეგროდ. კაღამს წვერი მოსტუდე-  
 ბა იმ საზარელ ოინების აწერაზე, რომელიც მოჭხდა თიონე-  
 თის შოსის გაკეთებაზე... აქ კი სამხედრო ადმინისტრაციას  
 სულ უბრალოდ მოუმაჩთამს ეს საქმე. რომ ჭკითხო გლესს:  
 ბუკრს გამუშავებენ ამ გზებზე? გიპასუხებენ, რომ უკუღას თა-  
 ვისი წილი საკეთებელი გზა მოზომილი გვაქვსო, როცა გა-  
 თუჭდება ან პირზე ხეხილი მოსტუდება, ან ხეს გარშემო წნუ-  
 ლი მოეშლება, გაკალთ და გავაკეთებთო. წინააღმდეგ შემთხვე-  
 ვაში, ან ჩინოვნიკი ჩამოივლის, ან სხვა ვინმე დაგვაბეზლებს  
 და დაგვშტრავაძენო.

სამხედრო მთავრობას აქ უკუღას ჩვენ მაზრების მმართველე-  
 ბის წინააღმდეგ გამოუგონიათ: «**He дубьемъ битъ народъ,  
 а рублемъ**», მაგრამ არ კი დაივიწყეთ, რომ მმართველნი  
 ასე იქცევიან აქ უბრალო შემთხვევის შესახებ, თორემ სხვა-  
 თრივ სამხედრო მმართველობის წესისამებრ: «გუტუზკა, ჭ მუ-  
 რე «კატორგა» სრულს ძალაშია აქ... ძლიერაც ეშინიანთ ინ-  
 გილოებს უკუღას ჩინოვნიკისა. მაგრამ «უსუსტნიათ» ამ ბოლო  
 დროს, როგორც მითხრეს, და „ქურდობა გავრცელებულაო.“  
 ქურდობა მართლაც სუთუკვს ინგილოებ შორისაც კი, და რასა-  
 კვირკულია, როგორც სხვაგან, აქ ქონების უსწორ-მასწოროდ  
 განაწილების შედეგი არ არის, არამედ პირადობის, ანუ შუ-  
 რის შედეგი უფროა.

ეჭ, რამდენ რასმეს გვეუბნება აწმუო ამ ხალხისა! ბუკრს

გვეტყუა მისი ვაგლახი წარსულიც, მაგრამ მუსულმანულს  
 ფანატიზმს, ამბოხების დროს, გუჯარი, ან რაიმე ქალაქის  
 ნაგლეჯიც კი აღარ დაუტოვებია ინგილს სახლში!... სიმღერა,  
 ეს ერეკლების სულიც კი ამოუგლეჯნია მათ ხსოვნად და  
 ქართულად მოლაპარაკე ინგილს დიდინებს ანუ მღერის თათ-  
 რულად. ერთი ლექსი ქართული—ერთი ანდაზა აღარ მოიპო-  
 ვნბა მათ შორის!—ერთ ძველ ადათთაგანს კიდევ შევხვდი მე  
 აქ. ეს განსაზღვრულად ერთხელ სათუღავეზე გამოტოვდა  
 ინგილოებისა—უფრო მარადობისთვის ერთს რომელსავე უკა-  
 ნასკენელს შაბათს. ჩემის აზრით ამათ ხსოვნაში ჩაჩენილსა ქარ-  
 თული «სულთაობა», რომელიც უკუკეთვის 13 კნკენისთვის  
 მოდის. ინგილოთ დაჭვიწეებით ნამდვილი მნიშვნელობა ამ  
 ცერემონიისა და მღვდელი უნიშნამს რომელსავე შაბათს მარია-  
 მობის თვეში. შუა-დღისას მოგროვდა ს. ალიბეგლში მღვდლის  
 მიერ დანიშნულ შაბათს მთელი ამ სოფლის ხალხი სასათუღაო-  
 ზე ურმებით, კაცებმა სათუღავეები გაასუთავეს, ხალხი ქალებმა  
 ზ მათ შორის მცირე-წლოვანებმაც კი მწკრივზე დაიხიქეს თავ-  
 თავიანთ მკუდრის სათუღავეზე. უფროსი დედა-ბერი იწყობდა  
 მოთქმას და დანაჩენისი ხანს აძლეკდენ, ანუ ჭზარამდენ... რომ-  
 ცა გრძნობაში შედიოდნენ, მაშინ ყველასგან ისმოდა საშინე-  
 ლი გოდვა, ლექსაობა ზ მთელ სასათუღაოებიდან ისმოდა ერთ-  
 ბაში «ჭარაია ჭარაია!» (კაიმე, ვაიმე). ლექსებს ქართულადაც  
 ამბობდენ და თათრულადაც.

III

გამოკტილდი ინგილს სოფლებს. შემოველ ლეკის უშ-  
 ველებელ სოფელ გულუკში, სადაც გზის პირზე „დაუბამთ ავად-

მყოფობა.“ მრავალ დარტყმულ ჩხილებზე მწარედ გელიძებათ, თუმცა უძეცრებას, ეტყობა, ებრძვიან გულუკელები, რადგან მეჩეთები ზ სკოლები ბლმდა აქვთ... ეჭვით მართლაც არ იფიქრო, მკითხველ, რომ ვითომ აქ სკოლის საქმეს რაიმე ფესვი ჰქონდეს გადგარი. მანამდინათ მეჩეთები სკოლებითურთ უფრო ამხინჯებენ ხალხის ცხოვრებას. ლინჩოვის სკოლებთან ერთად, ზიდრე ანათებენ... შეველ ჩვენ მამა-პაპურ ჭარში, ახლაც წაქათალად გადაკეთებულში. ერთ წუთს შემოვიარე პატარა ქალაქი—დასავლეთიდან ამართულ სახელოვან ციხე-სიმაგრით, რომელიც, ვინ მოსთვლის რამდენ რამის მნახველია! ციხის ძირში სომეხთ საყდრიდან გაისმოდა გალობა, რადგან შიგნით წირვა იდგა. ქართულს აქ არა რა გეუბნება-რა. რუსი და ხუნის აუარებელი გაღიზილი სომეხები, აგრეთვე სამსახურში მყოფი თუ სავაჭრო ქალაქში შემოსული ლეკები სჩაჩხამენ აქ თავიანთ საქმეებს. ციხიდან წაბასანს გამოეყო ტუჩი, რუსის შტიკებიც ელაკდენ ზედ... გამოველ წაქათალიდან მშენიერ ჩრდილში მიმავალს გზა-ტკეცილზე.—ჩვენი მამა-პაპური სახელოვანი სიძეეა, «ჭარელთა ჭაანა და ჭარელთა ბიჭო, ჭარელთა და!...» მიზურუნებდა ყურში. «ჭაი, ერთი პატარა ჭარელი და შაება დიდსა ჭარელსა», «თოფები და თოფები ჩაახალესა» არ მშორდებოდენ ყურიდან ამ ჩვენ უწინდელ მრავალ რამეებში გათქმულ ციხეზე ქართული შემოდინილი, საცაღიანი სომეხები დღეს თამამად დაბოტებენ. ჭარიდანვე იწყობა უშველებელი ციხე-გალავანი, გამოსდებს იქიდან სოფელ კატეზზე, მაწუხზე, ბელაქანზე, რამდენსამე რც კერსტზე. ეხლაც გალავანი, რომელიც ქართველთ მიერ ამართულ იყო დაღესტნელთ წინააღმდეგ კიდევ კარგა ეტყობა და ლეკის სოფ-

ლებში ზედ ყუჩძნის მტკვნები საამურად გადმოკიდებულა ნან-  
გრეკებზედ...

...«И на ней укоромъ

Вѣтви винограда

Расползлись узоромъ.»

მაგონდებოდა ზოეტის თქმული...

ს. ბელაქანს რომ მივატანეთ, ჯერ ზოგან თოვლიან კავ-  
კასიის მთის ქვეშ, ხევის ზირზე ჩემთან მყოფმა მიმიტითა  
მურთუზ ალიას სახლზე, იმ მურთუზ ალიასაზე, რომელმაც  
მოკლა შელგოვნიკოვი. მურთუზ ალია ყოფილა ბეგი ბელაქანე-  
ლებისა, სახლი მისი დღესაცა დგას ქრისტიანულ დაქტეულ საუ-  
დალზე. თითონ მურთუზა ყოფილა რუსის ჯარში გაპიტნად.  
რადგან ბელაქანში სცხოვრობენ მერე ქრისტიანი ბეგნი-გა-  
ლაჯოვები (წინანდელი ვახნაძეები), იმიტომ ამათ შეუტანიათ  
სახივარი, რომ მურთუზ ალიას სახლი ნაშენია ჩვენის მამა-პაპის  
ეკლესიაზედა და ჩვენვე უნდა დაგვიბრუნდესო. ამბობენ, მთავ-  
რობა გალაჯოვებს მიუდგაო, მურთუზს ეს ეწეინა და ნელ-  
ნელა მთელ ზაქათაღის მარცხის მუსულმანებთან დაიწყო მო-  
ლების და ეფენდების შემწეობით ქადაგება, რომ მუსულმანო-  
ბას ცუდი დღე ადგასო... მერე ბელაქანშივე მყოფ მაჭმადიანთ  
რადაც წმინდა სათლავზე ღამ-ღამით მომხრეებმა დაიწყეს გა-  
ფიცვა და ერთ მშვენიერ დღეს უკელა მაჭმადიან სოფლებში  
შესძახეს მუსულმანებმა ჩვეულებრივის ხმათ: «ვერა ჭხედავთ  
მუსულმანებს, ვერა ჭხედავთ, სჯული მაჭმადიასა ისობაო!» ამ-  
ზე გატოვებული თანატოლით მოჩბოდა და გროვდებოდა  
უკონდახო თოფებით, თუ უბრალო ჯოხებით ლეკი დახეძოთ  
ნათქვამ შემოდახილს ხანით ათავებდა: «აა ილაჭა ილა ალაჭა, მაჭ-  
მად რასულ, ალაჭა...» ამ საშინელ ძახილით მურთუზი ზაქათ-

დასკენ გაუძღვა ჯარს—არ გადაუდგამს რამდენიმე ნაბიჯი ბელაქნიდამ, როცა ერთის გალაჯოვისაგან დაბესღებულს, მას შეესხა შეჯგოვნიკოვის ჯარი წარბაზნებით. მურთუზი გაიმართა თავის ჯარით გზის პირაზე, კლდეზე. შეჯგოვნიკოვმა ჭკემოდამ შეძროსძახა: «ჭაი, მურთუზ, ჩემო მურთუზ! რამ გაგაგოყა, ჩამო აქ, მე ყველა მიპატრიკებია!» მურთუზმა მოწიწებით მოახსენა: «შეკცდი, გუნჯალა, მპატრიკო» ჭ ჩამოვიდა ძირს... შეჯგოვნიკოვმა ხელი მიასწოდა ჩამოსართმევად ჭ მურთუზმა კი ამ დროს გულში დასცა დამბახა... რუსის ჯარი ლეკთ იფრინეს... მაგრამ საქათალაში კი პანტასაკებ დაეწევენ საბრალენი...

საშინელთა მატყმადიანთ ფანატრში!... აი შეუღამეა და მე მშვენიერ სოფელ კობახხოზე მივემგზავრები. მამლების აუარებულ ყივილთან მეხითიდან ხან იქ შესძახებს მოლლა, ხან აქ აღვიძებს მუსუღმანთ, რომ დროს ლოცვისათ—მეც ვხედამ იქვე ლეკებს, რომელნიც დგებიან ამ ხმაზე, იღებენ წყლით რკინის ლიტრებს და შვრებიან «ხამაფსა» (ლოცვას). სკოლები ჭ მეხეთები საშინელ რელიგიურ წვრთნის კალაპოტში სამყოფლად არსებობენ ამ უშველებელ სოფლებში!.. ბელაქანი მაგალითად ისე დიდია, რომ ცხრა მამასახლისის თანა შემწე, ანუნაცვალა ჭყავთ! კობახხოში ხუთი!... გაიური ამათთვის ყოველ უამს სიკვდილის, გამუსკრის ღირსია... ყრუანტელი მიკლიდა უნებურად ტანში, როცა ამით სოფლებიდან პირდაპირ სილხადის გაწმემო ზედი ზედ მიკრუსწიწილებულ ქიზიუს ვაცქერდებოდი; საიდანაც სანთლების სინათლეს კი მოხანდა.

რეჟრეჟი იყო. მე გავტოპე ალაზანში, გადავდგი ფეხი ქიზიუს არე-მარეში და კალაებზე, იქავ შემხვდნენ უშველებელი ქიზიუელთაგანნი, რომელთათვისაც დაღისტნელი ბელაქნე-

ლები თითქმის ბუნებრივად აჩვენებდა, ისე ფილოსოფიური სიღრმეებით დასძახებდნენ «ჭოროკელს». «იქვე კი შეწყნარებით უყურებდნენ კიბებით ნისიის მკრეფავ სომხის პირა ბიჭებს...

## IV

შუა-ღამე იყო, რომ ბოდბის-ხევის სათაურში დიდშენ, მშვენიერ და გუმბათოვან ეკლესიას წმინდის ნინოსას მოკვადებ. წყნარმა მღვდელმა იმერთაგანმან გაძილო კარგი მამა-პაპათ სალოცავისა და მალე მოწიწებით ვათვალისწინებდა წმინდა ნინოს სათვლავს, შემკულს მეფე ბაქარ 25-ისაგან. საწყალი უკანასკნელი ბოდბელი (ეპისკოპოსი, გვარად მყაშვილი), «იქვე სკოტზე შემოსილად დახატული, თითქმის დაფიქრებით, უმხერის სათვლავის მარტოაღმოსა ღოდს, რომელიც პირდაპირ კარებიდამ მოხანს. ზურგი შეუქცევია იქვე კედელში მდებ სათვლავის ღოდისთვის პირველ რუსის ეპისკოპოსისა, რომელსაც სდომებისა და ხალხთა სახსოვრის და სიწმინდის მოსკოვში გადატანა — მაგრამ მართლ-მსაჯულებას აღარ უცლია მისთვის...

«აი, დედოფლის ნაქსოვი ენქერი!» «აი ძვირფასი ქსოვილი მეფისკე შემოწირული!» მეუბნებოდა მე, ფიქრებით სავსეს, წყნარი ხმა მღვდლისა, რომელსაც თავს კადექით უშველებულ ეკლესიის ძვირფას საძოვრით სავსე სალაროს... ძვირფასი ძველებური ბარძიმ-ოქუშუმნი, სანაწილენი, შანდლები, ჯვრები — რიგზე დაეწყო მღვდელს — მაგრამ რკინის ჯვარი იტაცებს ჩემს ყურადღებას, ჯვარი ობეში და ყაძთა-ვითარებისგან გაშვებულა! ეს ჯვარი სასპასპეტო, წინამძღვარი ობეში და ლამაზობაში სრულის სადროშის, ქიზიყილამ მოყოლებული სოფ.

კონდოლამდე!... ბევრჯერ მოსდით ხელმე მოწერილობა საწ-  
 უალ ამ ეკლესიის მოსამსახურეთ კანტორიდან, რომ ეგ გან-  
 ძეულებს ჩვენ გადმოგვეცით, მაგრამ, საწულებს ცოტადენ  
 უარ-ყოფობით აქამდე რჩება კიდევ რამ აქა. უკვალს საქართვე-  
 ლის ეგზარხოსს მუქთად დება ამოდენა ძვირ-ფას სამოსლისა  
 ეხანება ხელმე და თავიანთ მოსკლის დროს სწიწამენ ხელ-  
 მე აქა. ხელთ აწინდელს მოსკოვისა და კოლომნის მიტრო-  
 პოლიტს ირანიკეს კი ცოვად უკვალს აეთვალეულებინა და მეტე  
 დიმიტით ებძანებინა: კინ იცის, აქ არის მართლ დათუული  
 წმინდა ნინო?! ძნელი დასაჯერებელია?!... არც წიწვს, არც...

შაქრო.

## ქართული თეატრი.

აგერ ეს მესამე წელიწადი მიდის, რაც სამუდამო ქართული დრამატული დასი დაარსდა და მოღვაწეობს. დადის გაჭირვებისა და მეცადინეობის შემდეგ სათეატრო საქმე ჩვენში ფეხს იკიდებს და ფესვებს იდგამს. იყო დრო — და მას აქეთ დიდი ხანი არ არის გასული, — რაც ქართული თეატრი სრულიად არ არსებობდა, როცა იშვიათ მოკვლენად მიგვიჩნდა, რომ რ-სამ წელიწადში ერთი წარმოდგენა გვეჩვენებდა მოყვარულთა მიერ გამართული. ეს სამწუხარო დრო ქართულის თეატრისთვის დადგა 27-40 და 50 წლებს შემდეგ. მანამდენ ვი მაშინდელის მთავარ-მმართველის თ. ვორონცოვის სურვილისა-მებრ თ. გ. ერისთავის შრომით და ღვაწლით შედგენილ იქმნა სათეატრო დასი და მცირე რეპერტუარი სათეატრო პიესებისა, რომელთა შორის უფრო მოძეტებული წილი ეკუთვნოდა თვით მოთავს და ქართულის თეატრის დირექტორს თ. გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს. მაგრამ ეს დასი, ხუთისა თუ ათის წლის არსებობის შემდეგ, დაიშალა და დაიშალა. მთავრობის მიერ სასიცოცხლოდ გამოწვეული საქმე ჭკუქიან არსებად გამოდგა, ხალხი თუძცა თანაგრძნობით მიეგება ამ საქმეს პირველად, შემდეგ თან-და-თან გაგულ-გრილდა. ამის მიზეზი იყო, ჩვენის აზრით, ერთი ის რომ, ქართული თეატრი პირველი საქმე იყო მაშინ ზ დიდი შრომა და ჯათა ეჭირებოდა მმართველთა და დასის მხრით, დიდი თანაგრძნობა



ხალხისა და საზოგადოების მიერ, დიდი თუელი და შემწეობა მთავრობისაგან, და დიდი ნიჭი — დრამატურგებისაგან. ყოველივე ეს მასშინ ძნელი გამოსაძებნელი იყო. თეატრს მიეცა ბაღაგანის ხასიათი, ახანძვს-გინება — შეადგენდა პიესების შინაარსს, მთავრობამ თეატრისთვის შემწეობას უკლავ, რადგან მერე სხვა პოლიტიკა დადგა ბარიათინსკის მთავარ-მმართველობის დროს, რომელსაც არა სცალოდა თეატრისთვის ეზო-ჩუნა. მერე მიზეზი ამისი იყო თვით მასშინდელი დრო: მასშინ ვერატური საზოგადოებრივი საქმე ვერ აღმოძინებოდა, რადგან არც და გონება ქართულთა, ძილს მისცემოდა და საითაც გაიტაცებდა მასშინდელის დროის მიმართულებას, იქითკენ მიიწევდა ჩვენის საზოგადოების მთავარი გონებაც, მოლაღული თიქრით, დასუსტებული ბრძოლით.

გავიდა ყაში, დრონი იცვალნენ. ქვეყანა ძილიდამ გამოვიდა. ბატონ-ყმობა ზღაპრად გადაქცა და გამოუხიზლებულმა გონებამ ცოტაოდენად თრთები გაშალა. სხვათა მიხედვით საზოგადოებრივმა არცმა ძიება მუშაობა დაიწყო. ცხოვრება გახალდა. ცოტაოდენი სიძლიდრე დაიბადა, ურთუნული ცხოვრება გამოგვერგვა და სხვა-და-სხვა საქმისათვის მიგვაყოფინა ხელი. ამ სახით დაარსდა სხვა-და-სხვა ახალი დაწესებულება და მათ შორის ქართულმა თეატრმაც ნელ-ნელა თქნი აიღვა, რეგორც წააწერა სათაურად თავის პატარა წიგნს ქართულ თეატრის შესახებ მისმა ერთმა დიად სვინიდიისიერმა მოღვაწეთაგანმა.

ამ სახით უხალხდელი ჩვენი თეატრი გამოწვეულია საზოგადოების მოთხოვნილებით, მისის სურვილით და მოწადინებით და არა ზემოძვალის მთავრობებით, მოსურვებით და ბრძანებით. ეს ერთი გარემოება, კარგი ნიშანია ჩვენის თე-

ატრისათვის და შეიძლება მის დღეგრძელობასაცა მოასწავებ-  
დეს. მკაცრე კარგი ნიშანი — საზოგადოების თანაგრძნობა და  
მომეტეხულად დაბალის ხალხის თანაგრძნობა. მესამე კარგი  
ნიშანი, და მთავარი ნიშანიც, რომელიც შეიძლება საოუძვლად  
დაედოს ჩვენის თეატრის კეთილ-დღეობას, არის ჩვენის სა-  
ზოგადოების ეროვნული გამოფხიზლება, ეროვნულის ცნო-  
ბიერობის განმტკიცება და ცოტაოდნად გაღვიძებული ჩვენში  
მამულის-შვილობა და სამშობლოს სიყვარული)

ჩვენის ფიქრით, აქ საჭიროა მოვიხსენოთ, რაში იხატე-  
ბა ჩვენის ცნობიერის ქართველობის ვინაობა, რა დაწესებულე-  
ბაა მისგან მიღებული ნიშნად და ემბლემად მისის ვინაობისა  
და ეროვნობის არსებობისა. ჩვენ გვგონია, რომ თითებზედ  
დასთვლის კაცი ამ გვარს დაწესებულებათა და მათ შორის უსა-  
თუოდ თეატრსაც დაასახელებს. მართლაც, რა დარჩენია ქარ-  
თველს და რას უნდა მოეჭიდოს იგი თავის ეროვნობის გა-  
მომხატველ და გარეგან ნიშნებთა შორის? საწმენობას და  
ეკლესიას? — არა. იმიტომ, რომ ამ სფეროში ქართული ენა და  
სიტყვა დადუმებულია. სკოლას? — არა. იმიტომ, რომ იქაც  
ქართული ენა და მეტყველება მისუსტებულია. საზოგადოებრივს  
ცნობებს? — არა. რაღა დარჩენია მასში? სად არის გუთხე, სად  
არის თავ-შესაფარი, სადაც წმინდა ტრადიციები იყოს ამართული,  
რომ გვიძღვლოს, ტანჯული და წამებული, შეგინებული და შეუწაცხ-  
ყოფილი წარსულს საუკუნეში ქართველთ სუნიდისი მოთავსდეს?  
სად არის ადგილი, რომ მას თავისი ხატება თვალ-წინ ედგას,  
რათა იგი არ წაიშალოს და არ განქრეს. ამ გვარ ადგილად უნ-  
და იყოს, ჩვენის ფიქრით, ქართული თეატრი. ქართული თე-  
ატრი უნდა იყოს სადგური ქართველის სულისა, ეს ის ადგი-  
ლი უნდა იყოს, სადა ქართველს შეეძლოს შეისვენოს, დას-

ტებს მშობლიურის სიტყვით, მშობლიურის გრძნობით. ამ ადგილს უნდა იყოს, როგორც თეატრში მოგზავნილი ყოველივე, რაც მის სახეს, მის ხატებას, მის ეროვნობას, მის ქართველობას შეადგენს. ავსაცა და კარგსაც თავის ცხოვრებისას, წარსულსაც და აწმყოსაც აქ უნდა ჭებდავდეს ქართველი, თავის ზნეს, თავის ჩვეულებას, ჩაცმასა და დახურვას, ლხინსა და ჭიჩს, სულისა და გრძნობის მოძრაობას აქვე უნდა ჭებავდეს. ამისათვისაც უნდა მიდიოდეს იგი თეატრში, უნდა მიდიოდეს, რომ იქ იტინოს და იტიროს, მოილხინოს და მოიწყინოს, განიმსჭვალოს მოძმესადმი სიბრალულით და ათრთოდეს მამულის სიუკარულით. ამისათვისვე უნდა შეფრთხილებოდეს ქართველი და, კვანებთ კიდევაც შეფრთხილება, როცა მის თეატრის სტენაზე გამოტანილს სათეატრო დროშას ლანძვას ვინმე სალახანა, ვინ იცის საიღამ მოთრეული, ურცხვი და უსკინიდირო სულდგმული.

აქ მწერლობას ერთი მოვალეობა აწევს ტვირთად. ამ შემთხვევაში მწერლობას ერთი სამსახური შეუძლიან გაუწიოს ქვეყანას და საზოგადოებას. მწერლობამ უნდა აუხსნას და ნათლად დაანახოს მას თავისი სურვილი და საწადელი, თავისი მთავარი მიდრეკილება და მისწრაფებანი, რომელნიც მას ბუნდოდ აქვს გამოხატული. — ხალხს და ქვეყანას ერთი ენა არა აქვს, რომ დაიძახოს, მე ესა და ეს მინდა: (მე მინდა ჩემს სულს და გონებას არავინ შეეხოს, მე მინდა ვიდრე განათლებისა და წარმატების გზაზედ, მე მინდა სკოლები — ქართული სკოლები, მე მინდა სარწმუნოება და ეკლესიის მხლელად — ქართული მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და ეკლესია, მე მინდა სამსჯავრო — მხლელად ქართული სამსჯავრო, მე მინდა თეატრი — მხლელად ქართული თეატრი. აქ მწერლობამ უნდა და-

სასხელოს ზ გამოსთქვას ის, რაც საზოგადოებას ენის წვერზე უტრიალებს. ცხადია, რომ ქართულ საზოგადოებას ქართული თეატრი უნდა. გარნა თეატრის ქართველობას ის ვი არ შეადგენს, რომ სტენიადამ ქართული ენა ისმოდეს. თეატრი უნდა ქართველობდეს, მარტო გარეგნობით ვი არა, — შინაარსითაც. ენა ფორმის უფროა, ვიდრე შინაარსი, ენა სახეა უფრო და არა სული. თუძცა სახეზედ ხშირად მეტყუელებს სული, მაგრამ ეს ხდება ხშირად და არა მუდამ. აქ იდეალი, აქ მთავარი საწადელი სულისა და სახის ჭარბობნია უნდა იყოს. სისრულე საქმისა და საგნისა — შინაარსისა და ფორმის შეწყობაში უნდა მდგომარეობდეს.

დიაღ, შეიძლება კაცმა დარწმუნებით სთქვას, რომ ქართველს საზოგადოებას ნამდვილ ქართული თეატრი უნდა. ქართული თეატრი უნდა მარტო ფორმით ვი არა, შინაარსითაც, მარტო გარეგნობით ვი არა, სულითაც.

რად მიეგებება ხელმე საზოგადოება სინარულით ისეთს პიესებს, რომელნიც მას ჭებრდებიან ქართველთ ცხოვრების მის თვალ-წინ გადაშლას. რად იმტკრეკდა თავსა და პირს იგი, რომ «სამშობლოს» წარმოდგენას დასწრებოდა. ჩვენ მოწამენი ვიყავით, რაგორც ზღვასაკით ლელაკდა ქუთაისის საზოგადოება ამ პიესის წარმოდგენის დროს. (ჩვენ ვგრძნობდით, რომ მან მთელი საზოგადოება ერთის აზრით გაიტაცა, ერთის გრძნობით გამსჭვალა. ჩვენ მაშინ ვიგრძენით სათვალ-და-თვალად თეატრის დიდი ძალა, ხელფენების სიწმინდე და მნიშვნელობა,) და მარტო იმაზე ვსწუხდით, და დღესაც ვსწუხვართ, რომ ამას კარგად გრძნობენ და უკვე ნაღარასაცა სტეძენ ისინიც, ვინც აქ მაინც არათუკს შუაში უნდა იყოს.

ამ სახით უკეთუ ამ თვალით დაუწყებთ თეატრს ტყეკას,

უკეთუ თეატრი ჩვენთვის ღ ჩვენის საზოგადოებისათვის ეროვნულ დაწესებულებად უნდა იქმნას ცნობილი, მაშინ მისი მსკლელობა და მოწყობაც მტკიცედ უნდა იყოს დამყარებული ეროვნულს საძირკველზე და აწაკითარი სხვა საჩხული არ უნდა დაედებოდეს მის დღეგრძელობას საფუძვლად.

ამას ითხოვს საზოგადოება და ქვეყანა, ამას მოითხოვს კეთილ-გონიერება ყველგან და ჩვენში სომ, სადაც ერის ეროვნობას ათასი საშიში საფთხე ბადესავით გარს შემოჭსკვკვია, უფრო მეტი ყურადღება უნდა ექმნას მიქცეული ისეთს ნაწის და ს.ფრთხილად დაწესებულებას, როგორც არის თეატრი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ თეატრის სასურველად მსკლელობას ბევრი რამ უშლის ხელს, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბევრი რამე ყურადღებასა და ბეჯითობაზედ არ არის დამყარებული თეატრის საქმეში, მაგრამ მაინც იმედი არ უნდა დაკარგოთ, რომ ასე თავს-მოსული საქმე აღარ ჩაგვეფუშება და საიდანაც კი მოეკლება რამე, აწათყერი შრომა და ჯათა, საფასე და სასყიდელი არ უნდა დავიშროთ.

უზირველესად ყოვლისა თეატრს აბრკოლებს ორიგინალურ პიესების სიმცირე და ღარიბი რეპერტუარი. აგერ ორი თვე გადის, ათი და თხუთმეტი წარმოდგენა გამართულა და წარმოდგენილ პიესებს შორის ერთი ორიგინალური პიესა არ გვინახავს. ამ გაჭირვებას, რასაკვირველია, ძნელად მოეკლება. ნიჭსა ღ ტალანტს, რასაკვირველია, გზა უნდა, მაგრამ ხან გზაც არის ხოლმე და ნიჭი კი არა ჩნდება. პიესების ნიჭიერი მწერალი ჩვენში სულ არ არსებობენ, ერთსა და ორს გარდა. აი ამასია მიზეზი, რომ ორისთვის განმავლობაში საზოგადოება თავის სტენაზედ ნამდვილს თავის პიესას ვერა ჭხედავს. ეს დიდ დანაკლისათ მიგვაჩნია თეატრისათვის ჩვენ კერძოდ, რად-

გან, თუ ჩვენმა თეატრმა ჩვენივე თავი არ გვაცნობა, ჩვენივე  
 ნაკლულეკანება და ღირსება არ დაგვანახვას, მას ნახეკარი მნიშ-  
 ვნელობაც აღარ ექმნება. რასაკვირველია კარგია, როცა უცხო  
 ხალხის ცხოვრებიდამ დაწერილს ჩინებულს პიესას უცქერი, მაგ-  
 რამ მაინც უცხო ისევე უცხოდ რჩება და გულს ისე ვერ ხვდუ-  
 ბა, როგორც მშობლიურ, ღვიძლ ცხოვრებიდამ ამოღებულ  
 სურათები და სადრამო მდგომარეობა და მასაღანი. ჩვენ იმ  
 უკარგის ნათარგმნს პიესებზედ აღარას ვამბობთ, რომელნიც  
 თავიანთ სამშობლოშიც მოსწყენიათ და რომელთაგანაც არავი-  
 თარც სარგებლობა არ გამოვა, არც გონებრივი, არც ესტე-  
 ტიური.

მეორე მთავარი დაბრკოლება არის ის გარემოება, რომ  
 თეატრს არსაიღამ გარეგნად მუდმივი წყარო შეკლასა არ მო-  
 ეძებნება. უკუღან ჭეშკელის თეატრს მთავრობა და ჩვენში კი  
 ეგ შეკლა სიწმრათაც არ ელანდება. დახმარებას უჩენს მთავ-  
 რობა თეატრს, მაგრამ სამწყურად არა ქართულს თეატრს.  
 თეატრი იგივე სკოლაა ხალხისათვის, რაც სხვა-და-სხვა სას-  
 წავლებელი მოზარდ ახალ-გაზდობისათვის. უკეთუ მთავრო-  
 ბა უკუღან თავათ ჭკისრულობს ნიუთიერის მხრით სკოლების  
 მოწყობას და საშუალებას არა მოგავს, მან თავისი საშუალე-  
 ბა არც აქ უნდა დაიშუროს. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ  
 ჩვენში არც ქართულის სკოლის არსებობის განონიერებაა აღი-  
 რებული ჯერ და არც ქართულის თეატრის არსებობა არის კა-  
 ნონიერ მოკლენად ცნობილი ზოგიერთებისაგან. იქ საცა ქარ-  
 თულის სკოლის გამართვას წინ ელბებიან, რასაკვირველია,  
 თეატრსაც, რომელსაც იგივე სკოლის მნიშვნელობა აქვს ცხოვ-  
 რებაში, შემწყობას არ აღმოუჩენენ.

ეს შემწყობა კი ერთი-ორად და სამად საჭიროა ჩვენში,

სადა თეატრს მუდმივი შემნახველი არა ჰყავს. მართლაც, დი-  
დას ის საზოგადოება, რომელიც ჩვენში ქართულს თეატრს  
ინახავს?

ვინ ინახავს სხვათა ქვეყანაში თეატრს? კუჭ-მადლანი  
აღებ-მიტემის ხალხი, ესრედ-წოდებული ბურჟუაზიის მომეტე-  
ბულს ნაწილად, რომელიც უფრო მოცდილია და კმაყოფილი  
თავის ბუდისა, რომელიც არსობითის პურის წუხილისათვის ბუდს  
უზრუნველი გაუხდია. ჩვენში ამ გვარი ხალხი — ე. ი. მოკატრე-  
ნი სხვა ერგონობას ეკუთვნიან და არა რაცხვენ ქართულს თე-  
ატრში სიარულს საჭიროდ და ვერც ქართული თეატრი დაა-  
მაყოფილებს მათ. ვიღა დარჩა? ჩინოვნიკობა? მაგრამ ჩინოვ-  
ნიკობას რად უნდა ქართული სკოლა, ქართული მწიგნობა,  
ქართული ენა, ქართული თეატრი. იგი მომხადებულა ჩინოვ-  
ნიკად იქ, სადა ყველა ესე გვარნი საგნები უარ-ყოფილ არიან  
და არავის არა სჭირდება და გასაგალი არა აქვს.

მაშ რაღა დავარჩა ხელში ამ გვარ სამხელე პირობათა  
შორის?

დასი შემდგარია, თეატრის საქმე თითქმის თუხრედ დამ-  
დგარა, ნიჭიერი მოთამაშე სათეატრო დასში ბევრი უჩუკია,  
რეპერტუარი, თუმიცა ღარიბია, მაინც ზოგი ისეთი პიესა უჩუ-  
კია ამ ღარიბ რეპერტუარში და ისეთის ანსამილით ითამაშებს,  
რომ უჩუქუნოს რწმენას გაუღვიძებს და თეატრის ბუდს ეჭვს  
ქვეშ არ დააყენებინებს.

ასეა თუ ისე, ჩვენ გვჯერა, რომ უმრავლესობა ხალხისა  
და სათეატრო საზოგადოებისა მიხვდება, რომ ახლანდელს  
ჩვენის ქვეყნის მდგომარეობაში, თბლობაში გამომდინარე და  
აღორძინებულს ერგონულს თეატრს არ ელაღებება, რომ ეს

უკანასკნელი, რეგულარული ნიშანი და ემბლემა ჩვენის ერეკლესის  
 აწესებობისა, უნდა შევინახოთ, რათა უნდა დაგვიხდეს.

ჩვენ გვგონია, ესაა ისეთი დროა, რომ ერის ჭკუა-გონება,  
 ერის გენია მიხედება, — რა შეძენას ჩვენთვის ახლად-  
 თვისადგომული, რის გაჭირვებით გამომდინარე ქართული თე-  
 ატრი და ყოველს დონისძიებას იხმარს, თუ გონებრივს, თუ  
 ნივთიერს, რომ მან მტკიცედ მოიკიდოს ფეხი და ჩვენს გულში  
 თითქმის ერთად-ერთმა წმინდა ქართულმა დაწესებულებამ მაინც  
 მიკვიდრი ადგილი დაიჭიროს.

რაც შეეხება თითონ პიესებს და მათ აღსრულებას, ამ-  
 უხედ დაწესებულებით შემდეგში მოვილახაზარაკებთ ხალხი.



**ზინაური მიმოხილვა.**

ბ. ნ. მუხომბერის პროექტი შესახებ ღვინის აღებ-მიცემობის, ღვინის კეთებისა და აწყობის წესის, ანიერ კავკასიაში—განკარგ ღვინა ამის თაობაზე მთავარ-მარტებლისა—სამეურნო საზოგადოება და მისი მოქმედება ამ პროექტის შესახებ—ცალკე კამისია—აზრი წარმოთქმული კამისიაში—ცალკე აზრი თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილისა—დასკვნა კამისიისა—დასკვნა სამეურნო საზოგადოების საერთო კრებისა—ცალკე აზრი თ. ი. შალიკაშვილისა, ბ. ნ. იოსელიანისა და ელიოზოვისა—განხილვა ამ ცალკე აზრებისა და ბაასი მათ გამო სამეურნო საზოგადოების კრებაში.

ჩვენი საზოგადოება ამ ბოლოს დროს მეტად შეათუცხუნა ერთმა ამბავმა, რომელიც დღეს უკუღს სიტყვის მასალად გაუხდია და საცა კი მისკალთ, უკუღს მაც ამბავზედ აწის ერთი გაცხარებული ლაპარაკი და ბაასი; ზოგი ჭოს იძახის, ზოგი აწას ერთნაირის სიტყვითა და რისითა. ესეთი გაცხარება, ესეთი აზიზილება ცხადი ნიშანია, რომ თვითონ ეს ამბავი მეტად გუღს მოხკედრია ჩვენს საზოგადოებას, და მისი საგანი მეტად ძლიერ შეჭსებია ჩვენს აწსებითს უღთა-ცხოვრებასა. ამიტომ ც ჩვენ, როგორც მეტეტიანე და თვაღმადეკნებელი ჩვენის შანაურის ცხოვრებისა, მოკაღენი ვაწთ ეს ამბავი გაცნობით თავიდან ბოლომდე ჩვენს მკითხველებს. ეს ამბავი გახლავთ ბ. ნ. მუხომბერის ორი პროექტი, რომელიც წარუდგენია მთავარ-მარტებელთან და მთავარ-მარტებელს

კიდევ გარდაუდია აქაურ სამეურნო საზოგადოებისთვის გასაშინჯავად იმ მხრით თუ, — სასარგებლოა ამიერ-კავკასიისთვის წინადადება ბ.ნ მეისნერისა, თუ არა. ბ.ნს მეისნერს მოუწადინებია დააარსოს ჩვენში რაღაც საზოგადოება: ერთი ამიერ-კავკასიის ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არაყის ხდისა და მეორე — ხალხულობისა და ბოსტნეულობის კეთებისა. რაღაც საზოგადოების საფუძვლად დაუდგია აქციონერობა. ბ.ნს მეისნერს შეუდგენია ამ საფუძველზე რაღაც წესდება და თანაც დაურთავს წერილები, რომლითაც იგი ცდილობს ერთის მხრით დააჯეროს აქციონერები, რომ დიდი მოგება გექნებათ და მეორეს მხრით გენახებისა და ბაღების, თუ ბოსტნების პატრონები, რომ თქვენს საქონელს დიდი ფასი, ფართო ბაზარი გაეხსნება და კაი ვაჭარი ეყოლება.

ეს რაღაც პროექტი, თავისის წერილებით, გადაეცა აქაურს სამეურნო საზოგადოებას იმ აზრით, რომ ამ საზოგადოებამ, როგორც ამ საქმეების მეცნიერმა თვალ-ყურის მადეკნებელმა ამიერ-კავკასიაში, უსთქვას: მოუხდება ამიერ-კავკასიის ეს პროექტები, თუ არა. დიდი მნიშვნელობა ამ საქმისა ჩვენთვის, — ვინაიდან გვდებს წარმოუდგინოთ ჩვენს მკითხველებს ამ საქმის ვითარება იმ სივრცით და დაწვრილებით, რომ მკითხველს ცხადად გამოხატული ჰქონდეს არსება და ღირსება იმ აზრებისა, რომელნიც წინ წაიძღვარა აქაურმა სამეურნო საზოგადოებამ თავისის აზრის დასასკვნელად. საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა ამოიჩინოს ცალკე კამიისა და იმას მიანდოს კრცლად გაშინჯვა \*) ამ რაღაც პროექტისა, რადგანაც ერთიცა და მეორე-

\*) Отчетъ Кав. Об. Сельск. Хозяйства за 1882 г. № 8, 9, 10. стр. 15.

რეც ქვეუნიასთვის მეტად მძიმე საგანს შეესება. კამმისიაში ამოწმებულ იქმნენ, როგორც კარგად მცნობნი ამ საგნისა: თ. რ. დ. ერისთავი, თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილი, თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილი, ვ. ს. გამბარაძე, ს. ი. მონასტრიჭკევი და ი. ს. ხატისაძე.

კამმისია ამბობს სხვათა შორის: «შეკუდიტით რა ღვინის კეთების, არაყის ხდის და ღვინის ვაჭრობის ამხანაგობის წესდების გასინჯვასა, გადავწვიტეთ, რომ იგი წესდება უნდა გასინჯოს იმის მიხედვით თუ რამოდენად სასარგებლოა, თუ საზიანო ამიერ კავკასიისთვის ამ წესდებაში გამოცხადებული წინადადება ბ-ნ მეისნერისა, ხოლო რამოდენად კარგია თუ ცუდი ეგ წესდება თვითონ აქტიონერებისათვის—ეგ ჩვენი საქმე არ არის, ამიტომაც ამ უკანასკნელის მხრით წესდების გარჩევას დაწვრილებით არ შეკუდიტებით \*).

ამიტომაც კამმისიას დაუდგენია: ავი და კარგი პროექტში მოხსენებულ აქტიონერების საზოგადოებისა, რომელსაც რჩ მილიონ ნახევარი თავნი ექნება,—განსაზღვროს ეხლანდელის ღვინის კეთების და ღვინის ვაჭრობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ბ-ნ ალ. ზ. ჩოლოყაშვილს ამ საგანზედ უთქვამს, რომ თუმცა აქაური მრავალ-გვარი ყურძენი ძლიერ კარგი არის, მაგრამ ღვინის კეთება და ნამეტნავად შენახვა, უცოდინარობით და უფულობით, არ ვიდრით; ამ მიზეზით ჩვენი ღვინოები დიდ ხანს გერ ინახება და ეს გვაძულებს, ჩვენც, ვინც ღვინოს ვაყენებთ და ღვინის ვაჭარსაც ღვინის ძალი გასაღებასა.

\*) Отчетъ Кавк. Об. Сельс. Хозяйства за 1882 г. № № 8, 9, 10. Страница 16-ая.

გლახ-კაცობა თაკიდამ თუქსამდე გაბლანდული ვალებში, უყრს  
 ან უგდებს ღვინის სიკეთესა, ცდილობს ბევრი მოიყვანოს,  
 ვაჭარი კი მარტო იმას უიღულობს; რაც კარგია დიდ ხანს  
 შეინახება: ამ უროვში რც მილიონ ნახევარი ფული რომ  
 მოაშველონ ჩვენს ქვეყანას, მერე იეფი ფულია და ამასთან-  
 ნაც ღვინის კეთების მცოდნენიცა, ძალიან მოუხდება ღვინის  
 მომყვანსა და თვითონ ღვინის სიკეთეც ისე აიწიკოს, რომ  
 დიდის ქალაქების ბაზარში გასაკვლი ექნება.

თ. რ. დ. ერისთავს უბასუხნია, რომ მე ამ საქმეში მარ-  
 ტო ერთი შიში მაწუხებს, ვაი თუ ამ აქციონერების საზო-  
 გადოებამ ეს წერილი ვაჭრები ღვინისა შემოგვიფიქროს და  
 მარტომ დაინარჩუნოს ბურთი და მოედანი. მაშინ ჩვენ, ღვი-  
 ნის პატრონები ხომ იმ საზოგადოების ნებაზედ დაკრებით,  
 რასაც შემოგვადგეს ღვინოში, იმას უნდა დაკჯერდეთ. ეს  
 შიში რომ არ იყოს, მაგ საზოგადოების დაარსებაზედ ჩვენ-  
 ში არა ვკეთებთ რა. თუ ეს შიში არ გაგვიძაწოდება და  
 ჩვენში სხვა მაგისტანს საზოგადოებანიც დაარსდებიან, უკუ-  
 ლია სასარგებლო იქნება ჯერ იმით, რომ ფული შემოვა,  
 მერე იმით, რომ ცოდნა მოგვემატება და ამით ვენახებ  
 გამრავლება და ვენახისა და ღვინის კეთებაც გაძლიერდება.

თ. ზ. ალ. ჯორჯაძეს უთქვამს, რომ რომელიმე წარ-  
 მოების აღმსარებლისათვის საჭიროა, რომ ნაწარმებს ბაზარში  
 ჭეხნდეს, მუშტარი ჭეხნდეს, ესე იგი საჭიროა წარმოების  
 ვაჭრობა იყოს გამართული. ღვინის წარმოებასაც ღვინის ვაჭ-  
 რობა უნდა. სიმდიდრე ქვეყნისა ის ნაწილი წარმოებისა კი  
 არ არის, რასაც თვითონ ჭსკამს, არამედ ის ნამეტურია წარ-  
 მოებისა, რომელიც ვაჭრს გასაყიდათა. სიტომაც ჩვენი  
 ღვინის მომყვანნი გალატაკებულნი არიან, თუმცა თვალად კი

მდიდარის წარმოების პატრონები არიან. რომელიმე საქონლის  
 აღებ-მიცემობისათვის ყველაზედ უწინარეს ის არის საჭირო,  
 რომ ერთ და იმავე ფასად ერთისაკე და იმავე ღირსების სა-  
 ქონელი ვიყიდო. / როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიც, საცა-  
 კი ვენახებია, სხვა-და-სხვა გვარი ღვინო ღებია. თუმცა ებ-  
 ღვინოები ბაზარში გადის აქაურ ვაჭრების შემწეობითა, მაგ-  
 რამ იმ სახით და ღირსებით გადის, როგორცათაც თვითონ იმ  
 ადგილას იყო, საიდანაც წამოღებულა. ამის გამო ღვინის  
 მსმელი იმულებულია დღეს ერთის ადგილის, ანუ სოფლის  
 ღვინო იყიდოს, ხვალ მუდრისა და ამ სახით ყოველ-დღე  
 სხვა-და-სხვა ღვინო სვასო ერთ და იმავე ფასათა. ეს გა-  
 რემობა არღუევს ერთს უმთავრესს საფუძველს ვაჭრობისას,  
 სახელდობრ, ერთ-გვარობას საქონლისას ხელს უტრისო. მა-  
 შასადაძე, ჩვენს ქვეყანაში ღვინის აღებ-მიცემობა არ არსებობს,  
 ამიტომაც ამ წარმოების აღუვალებადაც ლაზარაკი ტყუილი ნატუ-  
 რა იქნება. თუ რაც ღვინო მოდის ჩვენში სულ ჩვენშივე ისმისო,  
 ებ იმიტომ კი არა, რომ ღვინის აღებ-მიცემობა გაძლიერებუ-  
 ჳია, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, არამედ იმიტომ რომ  
 ჩვენში აღებ-მიცემობა არ არის და ამ მიზეზით იმოდენა ღვი-  
 ნო მოგვყავს, რამოდენიც მარტო ჩვენთვის არის საკმარისი  
 და იმ ხელ-მოკლე ბაზრისათვის, როგორც ჩვენი თბილისია.  
 ყველასათვის ცხადია, რომ ღვინის აღებ-მიცემობის შექმნისა-  
 თვის საჭიროა სხვა-და-სხვა გვარის ღვინის მოგროვება ერთს  
 ადგილს, რომ ერთი-ერთმანერთში გადარევით თვითონ გვარი  
 ღვინო გაკეთდეს და ამ სახით ბაზარში მუდამ ერთ-გვარი სა-  
 ქონელი გამოდიოდეს. ცხადია, რომ ღვინის მოძევანისათვის  
 ეს საქმე შეუძლებელია, — ეს ღვინის ვაჭრის საქმეა. უირო  
 ცხადი ის არის, რომ ამ საქმეს მეტად დიდი თანხა უნდა.

მართლაც, საოკრანგეთმა, რომელიც ამ შიშით ისე მდიდარია, რომ თავისი ღვინის გაჭრობით მთელის ქვეყნიერების ბაზარი ხელთ იგდო, ღვინის კეთება და აღებ-მიცემობა შეაჯგუფა იმისთანა ადგილებში, როგორც სეტტი, ბორდო, მარსელი და სხვანი, საცა რა მილიონ ნახევარისა კი არა, ათისა და ასის მილიონების ღვინო უწყვიათ საზღვაოებში და ჭურჭელში, რომელნიც თავის-და-წიგად მილიონებათ ღირან. ეხლა კვითხავ მათ, ვინც ამბობს, რომ დიდის თანხის შემოტანა მონოპოლიას შექმნისო ჩვენში და წვრილს წარმოებას გააუქმებსო: რას ჰგონებენ მწარმოებელნი საოკრან გეთისანი იმ მიზეზით, რომ ღვინის აღებ-მიცემობა შეაჯგუფდა მარტო მარსელსა, ბორდოში და ზოგ სხვა ადგილებში? განა საოკრანგეთი ეგრე გაძლიერებდა ღვინის წარმოებას, რომ ეგ ადგილები არ უფიქროს და იმოდენა თავნი (კაპიტალი) არ ჰქონოდა? განა შეიძლება რდესმე გაძლიერდეს ჩვენში ეგ წარმოება და ჩვენი ქვეყანა გაძლიერდეს, თუ თავნი (კაპიტალი) არ ექმნება?

დიდის ფული დატრიალება ჩვენში, უთქვამს შემდეგ ბ.ნ. ჯორჯაძეს, იმითაც იქნება სასარგებლო, რომ დიდი ფული ვერას იქნა, თუ ღვინის კეთების საქმე რიგინს გზაზედ არ დააყენაო. რაკი ღვინის კეთების საქმე რიგინს გზაზედ დადგება, ამისი შედეგი ის იქნებაო, რომ აღმოიფხვრება ცრუ-რწმენა ჩვენშიო, ვითამც ჩვენი ღვინოები დიდ-ხანს ვერა ჰსძლებენო. ბოლოს ბ.ნ. ჯორჯაძეს დაუსკვნია: განკარგება ღვინის კეთების საქმისა და გავრცელება ჩვენის ღვინის აღებ-მიცემობისა შეუძლიან მარტო ცოდნას და თავნათა (КАПИТАЛЬ) და ამიტომაც დაფუძნება ჩვენში აქციონერების საზოგადოებისა, რომელსაც დიდი ფული ექნება, მეტად სასარგებლოდ უნდა იყოს აღიარებული ჩვენის ქვეყნისათვისაო.

ბ-ნ გამბარების აზრით, ჩვენს აღებ-მიცემობას ღვინისას ამ ბოლოს ხანებში ფეხი წინ წაუდგამს. რამდენიმე ფირმის დაარსდა, რომელსაც ღვინის აღებ-მიცემობა წესიერს საფუძველზე დაუყენებიათ. მართალია, მაგ ფირმებს, შეუძლებლობის გამო, ჯერ დიდი აღებ-მიცემობა ვერ მოუხერხებიათ, მაგრამ უცბად მოკლებილი ზოგბა ფირმის აქტიონერების საზოგადოებისა რა მილიონ ნახევრით ეხლანდელ ფირმებს ჩაშლისა, რადგანაც კონკურენციას, ესე იგი, ცილებას, ადგილი აღარ ექნებათ. ამ სახით ეგ ზოგბა ფირმის აქტიონერების საზოგადოებისა გზას გადუღობავს ჩვენს ახლად ფეხადგმულს ღვინის აღებ-მიცემობასა და მის ბუნებრივს და თანდა-თანად ზრდას შეაყენებსა. ამ მხრით აქტიონერების საზოგადოება იმ სიდიდე ფულით ჩაოდენსამე ვნებას მოგვიტანსა. რომ ეს ასე არ მოხდეს, მე მგონია, კარგი იქნება, მაგ საზოგადოებამ თავისი საქმე დაიწყოს ნაკლებ ფულითა.

ბ-ნს მონასტრიცეკს უთქვამს, რომ დაარსება მაგისტანის აქტიონერების საზოგადოებისა სრულებითაც საშიში არ არის ღვინის წარმოებისათვის ამიერ-კავკასიასში, პირიქით, ძალიან სასარგებლოა ჯერ იმითი, რომ რა მილიონ ნახევარ ფულს მოგვიტანს და ფული ძალიან გვიჭირს, მეტე იმით, რომ ამისთანა რთულ და აზიზს საქმეში, რაგორც ღვინის კეთების საქმეს, გააკრძელებს ცოდნასა და სწავლასა. აქაურს ვაჭრებს ღვინისას ფიქრი ნურასი აქვს, აქტიონერების საზოგადოება იმოდენა ბაზარს შექმნისა, რომ საქმე ყველასათვის საკმაო იქნება.

ბ-ნ ხატისოვს უთქვამს, რომ თ. რ. ერისთავის შიში ვითომც მარტო ერთი ეგ საზოგადოება ხელთ იგდებს მთელს ჩვენს აღებ-მიცემობას ღვინისას და ამ რიგად ავნებს აქაურს

ვაჭრობას და თვითონ ღვინის ვატრონებსაც, უსაფუძვლად.  
 ამ ათის წლის წინად ამიერ-კავკასიის ღვინოები მარტო აქავე  
 სადღებოდან, იყიდებოდა უფრო იეფად, ვიდრე ეხლად და  
 მთელი აღებ-მიცემობა წკრილძან სირაჯების ხელში იყო.  
 ქალაქში მარტო კახური ღვინო იხმობდა, სხვა მხრის ღვინო  
 თავის ადგილასვე იხარჯებოდა. ეხლა ყოველივე ეს შეიცვალა.  
 აწამც თუ მარტო ჩვენს ქალაქში, სხვა დიდ ქალაქებშიც  
 რუსეთის იმპერიისაში იყიდება ყოველი გვარი ჩვენის ღვინო-  
 სად. იეთის თასის ღვინოსთან, ძვირ-თასი ღვინოებიც გამოჩნ-  
 და, ბოთლი მანეთიანი, მანეთ-ნახევრიანი და ორ-მანეთიანი-  
 ცად, მაშინ რადესაც უწინ ორი აბაზი და ათი შაური ბოთ-  
 ლზედ დიდ თასად ითვლებოდა. გამოჩნდენ სხვილ-სხვილი  
 ვაჭრობიცა, რომელნიც ადგილზედვე ჭყიდულბენ ღვინოებსად.  
 თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამით წკრილი ვაჭრობი სირაჯები არ  
 შემცირებულან, პირიქით გამრავლდენ კიდევცა, რაგორც თვი-  
 თონ თ. რ. ერისთავის სიტყვიდამ ჭსჩანს და თვითონ ღვი-  
 ნის ვატრონებიც ადგილობრივკე ჭყიდიან თავიანთ ღვინოებსა  
 ეხლა უფრო ძვირად, ვიდრე უწინად. ამიტომაც არავითარი  
 საბოთი არა გვაქვს, საშიში რამ ვიგულისხმეთ ან სირაჯე-  
 ბის, ან თვითონ ღვინის ვატრონების შესახებო სამეგრძისად.  
 ეჭვი არ არის, ამ უკანასკნელ ათს წელიწადში გაძლიერდა ღვი-  
 ნის მუშტარი, რადგანაც სხვა ახალი ბაზრები გაიხსნა, და ამ  
 გაძლიერებამ კენახები გაძრავლა ჩვენში, თუ კახეთში არა,  
 სხვა მხარეებში მაინც ამიერ-კავკასიაში. სხვილის ვაჭრობის  
 გამოჩენამ ჩვენში მარტო ისა ჭქმნა, რომ სირაჯებმა, თავის  
 ჯიბის მიხედვით, დაუწყეს ყიდვა იეფ თასიან ღვინოებსა, რომ-  
 ელიც უწინ თავის ადგილიდამ არ გამოდიოდა. თუ აქციონ-  
 ნელების საზოგადოება შეჭსძლებს იმოდენად განაკარგოს ჩვენი



ღვინოები, რომ რუსის საზოგადოებას ხელი ააღებინოს ეკონომიკის ღვინოებზე და ჩვენსა და შეხვიოს, თქმა არ უნდა, ჩვენს ღვინოებს დიდი მუშტაჩი გაუჩნდება. ეს ამბავი პირველ ხანებში ღვინის ფასს ასწევს, მაგრამ იმასაც კი იქმნის, რომ ვენახებს გაამწკვლებსო. მინამ ეს ასე მოხდება, უეჭველია, აქ ჩვენში ღვინის სმა შემცირდება, ნამეტნავად მუშა ხალხშიო და ამ შემცირებისაგან დიდი ზიანი მცხდვრებლებს, რასაკვირველია, არ მიეცემათო.

თუძეა უოკელივკ ეს ითქვას, მაგრამ მთელი კამძისია ერთხმად იმ აზრზე და დგარა, რომ უცხად მოკლენა ამოდენა ფულიან საზოგადოებისა, როგორც აქციონერების საზოგადოებაა, არამც თუ ხელს შეუშლის ვაჭრობის მიმოსვლას ეხლანდელის ფირმებისა, არამედ სამეომისოდაც გზას გადუჭრის ახალის ფირმების დაარსებასაო.

ამიტომაც კამძისიას დაუდგენია: ამიერ-კავკასიის ღვინის კეთებისა და აღებ-მიცემობისათვის დაარსება აქციონერების საზოგადოებისა ცნობილ იქმნას სასარგებლოდ იმ პირობით კი, რომ მაგ საზოგადოებამ დაიწყოს თავისი საქმე უფრო ნაკლების თაზნითა და მერე თან-და-თან უმატოს.

ამ გადაწყვეტილებასზედ ყველანი ერთხმად თანახმანი გამხდარან კამძისაში.

ჩვენ ესე ვრცლად და დაწვრილებით მოვიხსენიეთ ბ.ნ. მესხინის პროექტის ვითარება ღვინის შესახებ და სრულიად უუყრადღებოდ ვტოვებთ მის მერე პროექტს შესახებ ბაღეულობის და ბოსტნეულობისა, ჯერ იმიტომ რომ საზოგადოების უყრადღება მიზიდულია პირველს პროექტზედ და თუ ეხლა ჩვენში დიდი და გაცხარებული კამათობაა, მარტო ამ პირველის პროექტის გამოსა და მერე იმიტომ-რომ მარტო ამ

პროექტსა აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის, რადგანაც იმის-  
თანა წარმოებას ეხება და იმისთანა წყაროს ჩვენის სიმდიდრე-  
სას, რომელიც დღეს ჩვენ ხელთ გვიპყრია ზ რომელსაც დღემ-  
დე მოციფე არ გამოსჩენია.

თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილს წარუდგენია კამმისიაში ცალ-  
კე აზრი წერილითა. ამ წერილში თ. ანდრონიკაშვილი ამბობს,  
მეც დიდი მსურველი ვარა, რომ ამიერ კავკასიაში კარგად  
გაეწყოს საქმე ღვინის კეთებისა და ალებ-მიცემობისა. ამასაც  
ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ 1862 წ. მე თვითონ ვცდილობ-  
დი მაგ საქმისათვის და მთავრობასაც წარუდგინე ჩემი წინა-  
დადება მაგ საგანზედაც. საქმე იმაშია, როგორ და რა გზით  
შესაძლოს განკარგება ღვინის კეთებისა \*) ჩვენში? ამ მხრით,  
რომ შევუდგეთ განხილვას ბ-ნ მეისნერის პროექტისას, ვნახავთ  
რთმ თუმიცა პროექტს ძალიან კრცლად მოუხაზავს მოედანი  
მოქმედებისა ასე რომ სახეში აქვს ღვინის კეთებაც, ღვინის  
ალებ-მიცემობაც და აჩაყის ხდაცა, მაგრამ განსაკუთრებითი  
სურვილი კი ძარტო ღვინის ალებ-მიცემობას. ეს იმით მტკიც-  
დება, რომ პროექტთან ერთად წარმოდგენილი ხუსხა სულ იმა-  
ზეა მიძარტული, რომ მთელმა თავნმა საზოგადოებისამ ალებ-  
მიცემობაში იტრიალოს ყოველ-წლივ. მაშასადამე, ღვინის გან-  
კარგებაზე ტყუილი დაზიარებაა. რასაკვირველია, ძარტო ერთი  
გათვარტობა ღვინის ალებ-მიცემობის მოედნისა შემამულებათა-  
თვის, სანატრელია და სასარგებლოც, რადგანაც, შუათანა მო-  
სავალშიაც რომ ავიღოთ, ჩვენი ღვინოები კერა სადდება და  
უქმად იხარჯება, მაგრამ აქაც შემამულებათა დიდი საფრთხილე

\*) ჩვენ ვცოვებთ ყოველს იმ აზრს, რაც შეეხება ბაღეულობის  
და ბოსტნეულობის საქმესა წინად თქმულ მიზეზებისა გამო.

ჭმარებით. ამ მხრით საფრთხილოა აი რა არის ბ-ნ მეისნერის პროექტი. აქციონერებს რომ დიდი მოგება დაანახვოს, ბ-ნი მეისნერს შემოსავალში მოჭყვას უფრო ციფრები. მაგალითები: 626,000 კედრას უიღულობს ყოველ-წლივ და ჭყიდის არ ვიცი კი რა სასწაულით 646,000 კედრას. მერეს მხრით, რომ მთავრობას მონოპოლიის შიში მოუკლას, ბ-ნის მეისნერის პროექტი გვზივდება, ეგ რა მილიონ ნახევარი მთელს ამიერ-კავკასიაში განაწილდება ასე, რომ თვითყოფილად აღვივს იმოდენა ფული შეხვდება, რომ სხვა ვაჭარსაც გზა ჭჭონდეს. არა მგონია აქციონერების საზოგადოება აგრე მოიქცეს, ამბობს თ. გ. ანდრონიკაშვილი: იმიტომ რომ ეგრეთი განაწილება ფულისა და მოქმედებისა ძალიან ძვირად დაუჯდებათ. უფრო დასაჯერია, რომ საზოგადოება ეცდება ეგ მეტი ხარჯი აიცილოს და თავისი ალებ-მიცემობა ერთს რომელსავე აღვივს მიჭმართოს განსაკუთრებითა. მაშინ კამპანია რა მილიონ ნახევარიანი ხელთ იგდებს მთელს იქაურს ვაჭრობას ღვინისას და შეჭქმნის მონოპოლიას, მაკნებელს როგორც ღვინის ვაჭართათვის, ისეც სოფლის მეურნეთათვის, რომელნიც მაკ კამპანიის სრულს ნებაზედ უნდა დარჩნენ. ნუსხაში მოხსენებულთა კედრას (სამს თუნგს, ანუ უკეთ ვსთქვას თექვსმეტი ბოთლს) ხუთ მანკთად გაკუდილით. რომ მაკ ფასად ღვინო ჭყიდოს კამპანიაში იმ უზარმაზარ ხარჯთან, რომელიც ნუსხაშია ნახვენები, ამკარა ღვინო ძალიან იუფად უნდა იყიდოს და იქამდის დაათოლოს, რომ ღვინის პატრონს აწავითარი მოგება აღარა ჭჭონდეს. რაკი კამპანია ხელთ იგდებს მთელს ალებ-მიცემობას ღვინისას, მეტი რა გზა ექნება ღვინის პატრონს, თუ იმ კამპანიას არ მიჭყიდოს. ამ მიზნ-

ზებით, უნდა უარ იქმნას ბ-ნ მეისნერის პრექტივი, დაუ-  
კვნიან ბოლოს, თ. გ. ანდრონიკაშვილს: და თუ გვიანდა ღვი-  
ნის წარმოების საქმე ამიერ-კავკასიაში თქვენდ დაკავშირით,  
ვიშუამდგომლობთ, რომ თვითონ ღვინის მწარმოებელთაგან  
შესდგეს საზოგადოებას.

სამეურნო საზოგადოებამ კავკასიაში საზოგადოებრივად  
განხილეს უკუაღი ეს და გადასწყვიტა: აქციონერების საზო-  
გადოება ღვინის კეთებისა, ღვინის გაჭრობისა და არაყის ხდი-  
სა ამიერ-კავკასიაში ცნობილ იქმნას სასარგებლოდ ამიერ-კავ-  
კასიისა და ნებაც მიეცეს დაიწყოს საქმე მთელის რე მიღობნ  
ნახეკრითა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ სამმა პირმა თ. იოს. ივ-  
შაღიკოვმა, ბბ-ნთა იოსელიანმა და ელიზბოვმა ცალკე აზრი  
შეიტანეს საზოგადოებაში წერილითა. კრებამ საზოგადოებისამ  
საჭიროდ დაინახა ახალი კრება შეიყაროს ამ ცალკე აზრების  
განსახილველად და იგი კრება შეიყარა წარსულს სამშაბათს,  
30 ნოემბერს.

ამ სამთაგან რჩნი სრულებით უარ-ჰყოფენ და ქვეყნის  
საზიანოდ ხედავენ ბ-ნ მეისნერისაგან განზრახულს კამპანიას ღ  
ერთი კი სახელდობრ ბ-ნი შალვაშვილი მარტო იმასა ცდი-  
ლობს, რომ პრექტივი ბ-ნ მეისნერისა ხელახლად განხილულ  
იქმნას ან ახალ კამპიისისაგან, ან თვითონ საზოგადოებრივი-  
საგან, და თითქმის თანახმადა ხდება ბ-ნ მეისნერისა, თუ ზო-  
გიერთი მუხლი წესდებისა შეიცვლება შემამუშაოთა სარგებლო-  
ბის მიხედვით. ჩადგანაც ბ-ნ მეისნერის პრექტივი წარმოდ-  
გენილია არა შესასწორებლად არამედ იმისთვის, რომ მის  
ავ. კარგიანობაზედ გადაჭრილად ან ჰყოფილი ითქვას, ან არა და  
ჩადგანაც თ. შალვაშვილის წერილში არც ერთისა და

არსათვის არა წამყ საბუთის წარმოდგენილი, ამიტომაც მან  
 წერილს თავს განებებთ და გადავდივართ ბ-ნთ ილხუიანის და  
 ელიზბერის წერილებზედ. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ თ.  
 შალვაშვილი ჭაწუნობს კამმისიის მოქმედებას ამ საქმის შესა-  
 ხებ და აუქედრის, კამმისიამ ალალ ბედად წარმოსთქვა თავისი  
 აზრობა, არ განიხილა არც ბ-ნ მკისნიკის წესდების პროექტიონ,  
 არც მასზედ დართული ნუსხა. რომ გაეხილნა, სულ სხვა  
 აზრზედ დადგებოდა, მაგრამ კამმისიას ეგ განიხილა არ უნე-  
 ბებია, ჩვენი სანძე არ არის.

აზრი ბ-ნის ილხუიანისა ხუთის უმთავრესის საბუთით  
 წარმოდგარია ბ-ნ მკისნიკის პროექტის წინააღმდეგ: 1) ბლ-  
 ძა ფულის დატრიალება ღვინის კუთებისათვის ჩვენში იმ სი-  
 კუთეს ვერ მოიტანს, რასაც კამმისიის თქვობს. დიდი უმაწვი-  
 ლობა იქნება ჩვენი ვიფიქროთ, რომ ფული თავის-თავს სად-  
 ძე დაივიწყებს და მოგებას არ აჭყუებს. ფულის ნატურა გამორ-  
 ხლმა და მოგებას, უამისოდ ფული ადგილიდამაც არ დაიძვრის.  
 რა კი ფული ფებს აიდგამს რომელიმე ნაწარმების განკარგე-  
 ბისათვის, არ უნდა დავიწყოს ვაცმა, რომ ფული აქედამ გა-  
 მოჩხლმას მოელოდინება. სხვა ვაჭრები დააბოთხოს, ახალი  
 მუშტარა და ბაზარი მოიპოვოს, დიდი მოგება დაინარჩუნოს  
 — აი რაშია მუდამი წუურვი და სურვილი ფულის ვატრ-  
 ნისა და მისის წარმოებისა. რომ ეს ასე მოახდინოს ფულმა,  
 ყველაზედ უწინარეს ის არის საჭირო, რომ მოცლილი ხელი  
 მოიპოვოს სამუშაოდ. ესე იგი, ამისთანა მუშა ხალხი, რომ-  
 ძელსაც თავისი არა აქვს-რას და ცხროვობს მარტო თავის ცა-  
 რიელის მარჯვენითა და რომელიც ამის გამო იძულებულია თავ-  
 ვისი მრამა ჭვიდოს ხოლმე. თუ ამისთანა ხალხს არ იძოვის  
 ფული, და ყურ მოჭრილ უმათ არ გაიხდის, არც ერთი ეგრედ

წოდებული წარმოება კაპიტალისა თავს ვერ დაიჭერს. ამიერ-კავკასიაში ვერ არ არის ამისთანა უბინაო მუშა-ხალხი, მაშასადამე წარმოებამ კაპიტალისამ თვითონ უნდა შექქმნას მაგისტანანი. ნუ თუ სასარგებლო იქნება ეს ქვეყნისათვის? 2) რომ ღვინო რიგიანად კეთდებოდეს, ანუ ღვინის აღებ-მიცემობა რიგიანს გზაზედ დადგეს თავნის მუხებითა, ამისათვის მარტო ფული კი არა, ბოგანო, უბინაო კაციც არის საჭირო და კენახების ქონვაცა. უამისოდ შეუძლებელია კონკურენცია. გარდა ამისა საჭირონი არიან ღვინის საქმის ზედ-მიწევნით მცოდნენიცა. ამ სახით მაგ კამპანიას უნდა დაეთმოს კენახები, მუშა-ხალხი და ღვინის მცოდნენიცა, რომ საიმედო კონკურენცია გაუძარტოს უცხო ქვეყნების ღვინოებსა. კარგი იქნება ეს მკვიდრთა მცხოვრებთათვის თუ არა, აი საგანი, რომელსაც დიღს კაცი ღრმად დაუკვირდეს. ყოველის განვითარების საფუძვლად, სათავედ ყოველის რიგიანის წარმატებისა უნდა აღიარებულ იქმნას წკრილ მემამულეების გათახსილება კი არა, ბოგანო მუშის გამრავლება კი არა, არამედ ისა, რომ სოფლის მცხოვრებთა მიწა და მიწად-მოქმედება მტკიცედ ხელთ ეპყრას. 3) სხვათა საბუთთა შორის სასარგებლოდ ბ-ნ მეისნერის პრექტივისა ისიც იყო, რომ აუცილებელი შედეგი იმ კამპანიისა ღვინის წარმოების გაძლიერება იქნებაო. ეს ტყუილი იმედია. მაგას კამპანიას ვერ იზამს. ამას კი იზამს, რომ ღვინოებს იუილის რუსეთში გასატანად და პირველ ხანებშივე კაი ღვინოს მოაკლებს აჭარს ბაზარსა და მუორეს მხრით ისე გააძვირებს, რომ ღარიბი ხალხი, რომელიც ღვინის სმას აქ ჩვეულია, ხელს ვერ მიაწვდენს და უღვინოდ დარჩება. 4) აქტიონერების კამპანიას, რომელსაც უმთავრეს საგნად დიდი გამორჩეობა აქვს სახეში, რად მონდომებს გააკრტელოს აჭარებში ღვინის კეთე-

ბის ცოდნა და ხერხი. ჯერ ესაა რომ უკუვალთ ვიცი თუ თხლად  
 აჩიან ცოდნაზედ ხალხე ფულაინი — აქციონერები და თუ ჭკი-  
 დებენ ჩასმე ხელს ღვთის ანაბაჩაზედ ჭკიდებენ. ამის გამო  
 ხშირად ერთი მოხერხებული კაცი ჩაიგდებს ხალხე საქმეს  
 ხელში და საითაც უნდა თავს იქით უზამს თვითონ აქცი-  
 იონერებს. თუნდ ეგეტ არ იყოს, გამჟანა ჩად მოინდომებს  
 მაგ ცოდნისა და ხერხის გაკრტელებას ხალხში. თავის-თავს  
 თვითონვე ხომ არ გაუთხრის რჩმოსა, თავის-თავს თვითონვე  
 მოპირდაპირეს ხომ არ გაუჩენს!.. 5) ტყუილად აუცილებიათ  
 შიში, ვითომ ეგ გამჟანა მოხერხებისა არ შეჭქმნისო, ბურთსა  
 და მოკლანს ღვინის ალებ-მიცემობისას თვითონ არ გაისაკუთ-  
 რებსო. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენებურ ალებ-მიცე-  
 მობისათვის, ის დღესაც ხედავს, რომ მაგ მანებელს მოკლე-  
 ნას ჩვენში თუხი აუდგამს კიდევ. კონკურენცია ალებ-მიცემო-  
 ბაში მარტლად და საკეთილთა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას  
 სამზღვარე აქვს. სამზღვარე კიდევ ის არის, რომ ერთის მხრით  
 საკეთე ნაწარმოებისა სისრულემდე უნდა იყოს მიყვანილი და  
 ფასი კიდევ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ იქმნას. რაჟი კონ-  
 კურენცია მანდამდე მივა, მაშინ ამის წინააღმდეგ მოქმედობს  
 ხალხე. დაუბოლოებელი განკარგება ნაწარმოებისა და დაუბო-  
 ლოებელივე ფასების ძირ-დაწევა უკუვალდ შეუძლებელია და  
 კონკურენცია კი ცდილობს ეგ არ საქმეული ჭქმნას. ამიტომაც  
 მოტყუება, ფალობა, შერევა - არევა ნაწარმოებში მოზღვეს  
 ხალხე კონკურენციას. ხშირად გვსმენია საჩივარე კეთილსინი-  
 დისიან ვაჭართაგან, რომ კონკურენციის გამო იძულებული ვართ  
 იმისთანა ღონე ვიხმაროთ, რომელიც ძალიან საფრთხი-  
 ლოაო. დიდის შეძლების სოკდაგარნი ხშირად იძულებული  
 აჩიან დროებით ფასები იმოდენად დასწიონ, რომ უფრო უღო-

ნა სოკდაგრებმა კელარ შესდღონ ვაჭრობა. განონი დიდის  
თავნისა ის არის, რომ ვატარა თავნი აღარ გააწაწინოს, შეჭ-  
მუსრის ისე, რომ ბაზარში ციფობა, კონკურენციის უაწაწობით  
კელარ გაუწიოს.

არჩი ბ-ნის ელიოზოვისა იმავე შიშით არის მოართული,  
რომ მაგისტანა ზორობა გამზანია გააღატაკებს მამულების და  
კენახების ვატრონებსა. სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება  
ვაჭრობის სიმდიდრისაგან კი არა, არამედ მომქმედთა და ნა-  
მოქმედარის მხმარებულთა სიმდიდრისაგან. ინგლისი იმითი კი  
არ არის მდიდარი, რომ მდიდარი სოკდაგრები ჰყავს, არამედ  
იმითი, რომ მდიდარი წარმოება აქვს და კარგად გაწყობილი  
სოფლის მეურნეობა. ამიტომაც ბ-ნ მკისნერის პროექტი უნ-  
და გაისინჯოს იმ მხრით, რა მხრითაც იგი სასარგებლო იქ-  
ნება მამულებს მკეთებულთათვის და ნამაგარის მხმარებულთა-  
თვის. სხვებს თუნდა ნამცეცხვებაც შესდეს, ბევრს არას დაკარ-  
გავთ. პირველის შესდგოთ, გაიკვირებენ და იტყვიან: რა?  
ჩვენს ქვეყანას თუელი უჭირს, კაცს თუელი შემოაქვს და ჩვენ  
კი უმადურად ვკვიდებით და ვიძახით, არ გვიინდაო. რა კენათ,  
რომ ამის თქმას ჩვენი აწინდელი მდგომარეობა გვაიმულებს.  
სწეული, როცა მოჩვენაზედ მიდგება, პირს მოაჩილებს ხელ-  
მე მაძლარს სადილს და მსუქან თლავსა და უოკელს ამასედ  
უურთ მეტის სიამოვნებით რჩეობს თრითვე კოვსს კარგს  
შოჭვასა. სხვა გარემოებაში, სხვა გვარ ეკონომიურ უოთა-  
ცხოვრებაში, ზნეობითს აღმატებულობაში, ჩვენ პირველნი გა-  
ვუწვდენდით ხელს ჩვენს კეთილ-მეოთველთა და სიხარულით მი-  
ვებებებოდით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყმების გან-  
თავისუფლებას თავისი კუთვნილი დასასრული ჩვენში ჯერ არ  
მიუღია, მიწათ-მოფლობელობის საქმე არეულ-დარეულია, მომე-



ტებუღმა ნაწილმა — მებატონეს, თუ გლეხი — ან იცის რის პატრონია; სოფელი გადაწიბდა, მემამულეებს 27 წლით აღებულის ვაღას გადახდაც გაუჭირდათ, გლეხობას თავი ვერ დაუხსნია წურბელა-მედუქნეების ვაღასა და ვახშისაგან. ამ ყოფაში დიდი თავნი აქციონერების კამპანიის ხელში სიკეთეს ან მოასწავებს. ჯერ ეხლაც ფული აქურ ვაჭრების ხელში გემუსრავს და გვხვავს, ჯერ ეხლაცა ჭხანს შემმუსკრელი ძლიერება ფულისა ჩვენზედ. ჯერ ეხლაც ერი იმ ყოფაშია, რომ ვერცა ჭბედავს, ვერც მოუხერხებია და ვერც ღონე რამ მოუგონია წინააღმდეგს თავის მწიგნელს მედუქნეს. ჯერ ეხლაც ვხედავთ, რომ მეტი ნაწილი სოფლის მამულებისა მედუქნეების ხელში გადადის, ან როგორც ნასყიდობა, ან როგორც გირავნობა სარგებელში. მამულებს თვითონ მედუქნეები ან ამოქმედებენ, ან აკეთებენ, რადგანაც ამისათვის მოცლას ანა აქვთ. იმ მამულებში მუშათ ან უწინდელი პატრონივე ჭყავთ, ან ამავე გზით მისი გადატაკებული, კაცარცული მესობული. ეხლა რომ ესეა, რა იქნება მაშინ, როცა ასი და ათასი თუძანი კი ანა, მილიონები ფრთას გაიშლიან იგივე, რაც ეხლას. ხოლო განსხვავება იმაში იქნება, რომ ბრევე და გაუთლელ მედუქნის მაგიერ, ჩვენ მოგვეკვიან განათლებულნი. ესე იგი აღჭურვილნი ცოდნითა და ხერხითა და თავის დახელავებულ მოქმედებით აჩქარებულის ნაბიჯით მიგვიყვანენ იქამდის, სადამდინაც ეხლა ტანტით მიუყვართ. განსხვავება ის იქნება, რომ ბოლო უფრო ჩქარა მოგვეღება და უფრო მარჯვე მეტოქენი გვეყოლება. შესაძლოა, ჩვენ წინანდელი ღვინო დაგვაღვიონონ ა la Raphail, ანუ ა la რომელიმე ბორდოს chateau, შესაძლოა, ჩვენი საკუთარი შამპანსკი გვასვან, საკუთარი კონიაკი ჩაიში გვახმარონ, მაგრამ მთელი დასი მწარმოებელთა

რისა, არაკითხვის მხრით მის სასარგებლოდ არც ერთს საბუთს ვერა ვხედავთ, ამბობს ბოლოს ბ.ნი ელიზბეკი.

30-ს ნოემბერს ამ წერილების თაობაზედ დიდი ბაასი იყო სამეურნო საზოგადოების საზოგადო კრებაში. ახალი არაკითხვი იყო თქმული. ყოველი მოლაპარაკე მარტო იმას ცდილობდა თავისი წინადაცემით თქმული არაკითხვი უფრო ვრცლად აესხნა მსმენელთათვის. ახლად მოლაპარაკე მარტო ბ.ნი ხუდადოვი აღმოჩნდა.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით ამ წერილების ავტორებთან, აგრეთვე მათთან, ვისიც სიტყვები აქ ხსენებულა, რომ მათ წერილებიდან და ნათქვამებიდან მარტო ის ადგილები მოვიყვანეთ, რაც დედა-არაკის ბ.ნი მეისნერის პროექტისას ასე თუ ისე შეეხებოდა და სხვა კი გამოვტოვეთ. ჩვენთვის საჭიროა მარტო ეს და არა ამ დედა-არაკის შესახებ თქმული, იმიტომ-რომ თუ ჩვენგან მოწონებულა, ან დაწინებულა იქნას თვითონ დედა-არაკი მეისნერის პროექტისა, პირველ შემთხვევაში წერილმანი ნაკლულად ახლად გასწორდება და მეორე შემთხვევაში სრულებით საჭირო აღარ იქნება მაგ წერილმანებზედ ლაპარაკი.

ამ უამად მეტად გაგებულა ჩვენი «შინაური მიმოხილვა» იმიტომაც აქ მოვიყვანილ არაკების კრიტიკას შემდეგის ნომრისათვის გადავდებთ.

## განცხადება

ჟურნალის

«ი ვ ე რ ი ი ს»

გამოცემაზედ 1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

მომავალს 1883 წელს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი «ივერიი» გამოვა იმავე სივრცით და პრეზრადით, რეგულარულად აქამდე გამოდიოდა. მხალად რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოკლენა, რომელიც კი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო ქვეყნებისაში, ჟურნალმა უუჩრადლებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვას თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდან უფრო მეტი ადგილი ეჭირათ ჟურნალში, ვიდრე აქამდე ეჭირათ. ესაა რედაქციის ხელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდან, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი უუჩრადლება ჟურნალში მიქცეული ექნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თვისა-და-სავის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო

ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები, თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერხად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი კრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ყურნაღს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგოთქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

რედაქცია ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან, რომ წარსულში ყურნაღი ხშირად თავ-თავის დროზედ ვერ გამოდიოდა და შემდეგში ეცდება იგი, რომ ამ დაგვიანების მიზეზები მოსძიოს, რამოდენადაც კი რედაქციაზედ არის დამოკიდებული, და ყოველი წიგნი თავისა-და-თავის თავს გამოსცეს.

«ივერიაში» მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, მკ. ბაბაშვილისა, ბ. ბაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. მრისთავი, ბ. თუმანიშვილი, მკ. იოსელიანი, ნ. ლომაური, ი. მეუნარგია, ა. მოხუბარაძე (შაზბეგი), ა. ნანვიშვილი, თ. შორდანი, ნ. ძანანოვი, მ. შიფიანი, ბ. შიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მლ. ჯანაშვილი და სხვ.

ხელის-მოწერა ყურნაღს «ივერიაზედ» მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1883 წ. შემოიტანონ და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ დაეთმოებათ წელიწადში ხუთ მანათად, ან სამი მანათი პირველს იანვრამდე და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883 წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თ ბ ი ლ ი ს შ ი: შავერდოვის სააგენტოში, ბუღვარზე, ალექსანდრევის ბაღთან და ნანუკოვის და ჰაბადრის სააგენტოში, ბუღვარზე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდან ათ საათამდე. რედაქცია იმყოფება, ცოლოვინის პრესპექტზედ (ბუღვარზედ), ონანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІА.»*

რედაქტორები ილია ჭავჭავაძე და  
ი. მაჩაბელი.

მომავალს 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«**დ რ მ ე ბ ა**»

გამოვა იმავე პროგრამითა და წესით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალის თანამშრომლებისა და სხვა დონისძიების შემწეობით, მომავლის წლიდან გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალავინის პრესპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუფართან. ბათუმში: ლევ. მჭედლიძეილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი ВЪ Тифлисъ. Въ редакцію газ. „ДРОЭБА“

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: — — — — — — — —	9 მან.
ნახევარის წლით — — — — — — — —	5 „
სამის თვით — — — — — — — —	3 „
ერთის თვით — — — — — — — —	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. სკედარი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისთანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. კთხვით აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ მელიქიშვილი.

## ОБЪ ИЗДАНИИ

ВЪ 1883 ГОДУ

ЕЖЕНЕДѢЛЬНАГО ЮРИДИЧЕСКАГО ЖУРНАЛА

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ третій).

Журналъ какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста.

кромѣ приложеній, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства, краткіе отчеты* (а въ случаяхъ важныхъ стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, особенно интересныя гражданскія рѣшенія, случаи изъ судебной жизни и практики (*разныя извѣстія*), *корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника*, *перечень новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати, тезисы кассационныхъ рѣшеній: правительствующаго сената и Тифлисской судебной палаты, судебный указатель* и пр.

Редакція журнала—*Тифлисъ, Давидовская ул., д. Кананова.*

Администрація (для приѣма подписки, объявленій и розничной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул., д. Меликова.*

*Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересилкою: на годъ — 10 р., на 9 мѣс. — 8 р. 20 к., на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 20 к. и на 1 мѣс. — 1 р. 20 к.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные номера по 25 к.—Объявленія, казенныя и частныя, по таксъ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ Москвѣ, и С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.*

Издатель А. С. Френкель. Редакторъ А. В. Степановъ.

(Присяжный повѣренный)

## განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ესი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პრესპექტზედ (ბულვარზედ), თბილისის სახლებში № 9 ჭ აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერით წერილი ჭ თულის შემდგომად აღწესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІА»*

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, კთხოვით, მალე აღწობოს რედაქციას.